


Dirsi





სარჩევნი

Forbes Banker GEORGIA

№77, ივლისი, 2018

ფაქტი და კომენტარი

10 მეორედ მოსვლა მეორედ ნასვლისთვის // გიორგი ისაკაძე

LEADERBOARD

14 როგორ იწრთობოდნენ ბანკები საქართველოს საბანკო სექტორის ჯამური შეფასება.

19 შემოსავლიანი სექტორები ბანკებისთვის
საბანკო სექტორი საკრედიტო პოლიტიკას ცვლის და ახალ რეგულაციებს ერგება, რომელთა გადავადების შეთანხმებაზეც ზედამხედველი არ წამოვიდა.

20 მოსახლეობა და ბანკები
რამდენი ინახავს ბანკებში? სად ზოგავენ? სად სესხულობენ?

26 ტოპ-მენეჯმენტის ჰონორარი
ქართული საბანკო ჰოლდინგების მილიონერ მმართველთა ანაზღაურება

34 სადაზღვევო ბაზარი
სადაზღვევო კომპანიების ჯამური პორტფელი

რეიტინგები

12 მსოფლიოს 10 ყველაზე დიდი ბანკი

16 წლის შეჯამება
საქართველოში მოქმედი ბანკების რეიტინგი აქტივების, სესხების, დეპოზიტების, კაპიტალისა და წმინდა მოგების მიხედვით.



BANK OF GEORGIA

**Best Private Bank
in Georgia 2018**



**Best Trade Finance Bank
in Georgia 2018**



**Best Investment Bank
in Georgia 2018**



**The Best Sub-Custodian
Bank in Georgia for 2018**



**Best Issuing Partner for Women
Owned Businesses in
Europe and Central Asia**



18 ფიჭვის შეფასება
საქართველოში მოქმედი ყველაზე სტაბილური ბანკების რეიტინგი.

22 მიკროსაფინანსოების რეიტინგი
მიკროსაფინანსო ბაზრის სტრუქტურა აქტივებისა და სესხების მიხედვით.

24 აქსიონერი ბანკირები
ბანკის მენეჯერები აქციების პორტფელით.

26 ტოპ-მენეჯმენტის კონორარი
საქართველოში მოქმედი რომელი ბანკები უხდიან ყველაზე მეტს საკუთარ დირექტორებს?

28 უმსხვილესი დამსაქმებელი ბანკები
საფინანსო ბაზარზე ყველაზე მსხვილი დამსაქმებელი საბანკო სექტორია - 22,200-იანი სტაფით.

30 შესანიშნავი შვიდეული
საქართველოში მოქმედი ბანკები, რომლებმაც ყველაზე მეტი დახარჯეს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე ბოლო ორი წლის განმავლობაში.

32 ბანკები ინტერნეტში
საქართველოში მოქმედი ბანკების რეიტინგი ინტერნეტბანკინგის მომხმარებლებისა და დამლაიკებელთა რაოდენობით.

34 სადაზღვევო ბაზარი
სადაზღვევო კომპანიების რეიტინგი პრემიებისა და მოგების მიხედვით.

მოსაზრება

38 ქართული საბანკო ისტორია ათწლეულის მიჯნაზე
ლიმიტრი ჯაფარიძე

40 ახალი საბანკო რეგულაციები
ტარიელ გვალია

42 მომხმარებელთა უფლებების სადარაჯოზე
დავით კლდიაშვილი

46 ლარიზაციის ტრენდი
გიორგი შაგიძე

სტრატეგიები

48 მემბრი ლარი
საქართველო ბოლო წლებია, დოლარიზაციის შემცირებას ცდილობს და ამისთვის რეგულაციების გზა აარჩია.
ავტორი: სალომე მეცხვარიშვილი

ანტიკორუპციონი

52 ქებურიების ამბასადორიალი
Ambassadori Group-ის მართვაში 30 წლის თორნიკე ქებურია კარგა ხნის წინ ჩაერთო და მამის, ბუბა ქებურისა და ახალი ხედვით აგრძელებს.
ავტორი: ხათუნა ხვედელიძე

რეგულაციები

56 სტაბილურობის სასწორი
ეროვნული ბანკი ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის ყოველწლიურ გამოქვეყნებას დაიწყებს. ფინანსური სტაბილურობის ანალიზს ზვიად ზედგინიძე აწარმოებს - ამავე სახელწოდების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
ავტორი: თეაგრა გელანტია

60 ჭარბვალუანობის წინააღმდეგ
ინტერვიუ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ მურთაზ კიკორიასთან.
ავტორი: ელენე კვანჭილაშვილი

სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყნები

FM 102.8

RADIO
BEGINS WITH
US

FM
93.5
თბილისი

heretifm.com
tbilisifm.com
relaxwebradio.com





78

ეკონომიკა

64

რამდენად სტაბილურია საქართველოს საბანკო სექტორი? // ბესო ნამჩავაძე

74

პირველი ბანკები და დაზღვევა საქართველოში

საქართველოს მოკლევადიანი დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, თავისუფლება ბაზარზე იკიდებდა ფეხს. მასთან ერთად სერვისები, რომლებიც თანამედროვე ეკონომიკას ახასიათებს.

ავტორი: ემილ ავდალიანი

ისტორია

68

მეზამორფოზი!

Liberty Capital-ის მიერ შესყიდვიდან ექვსი წლის განმავლობაში ბანკი ქართულ საბანკო ისტორიაში ყველაზე დრამატული ტრანსფორმაციის მოწმე შეიქნა. გარდასახვა ლადო გურგენიძის ხელმძღვანელობით მოხდა.


ავტორი: ალექსი ხოროშვილი

მხრალი რიცხვები

78

100 მაკროეკონომიკური მაჩვენებელი

ერთად თავმოყრილი ყველა ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ბიზნესგადაწყვეტილებების მიღებისას.



საქართველოს ნამყვანი ბიზნეს- გადასვმები

TV ჰინჯილი

გაატარეთ სამუშაო დღეები ჩვენთან:

ანალიტიკა

საქმის კურსი

საქმის კურსი

საქმიანი დილა
07:55 AM

ანალიტიკა

15:00-16:00 PM

22:30-23:00 PM

(ყოველ პარასკევს)

საქმის კურსი

15:00-16:00 PM

22:30-23:00 PM


ქალების ნარატივი

11:00-12:00 PM

საქმიანი დილა

07:55-11:00 AM

WWW.BM.GE



16

84 ბანკების ფინანსური ანგარიშები

წარმოგიდგენთ საქართველოში მოქმედი 15 კომერციული ბანკის ძირითად ფინანსურ ანგარიშებს.

აზრები

100 ბანკინგის შესახებ

მთავარი რედაქტორი
გიორგი ისაკაძე

ალმასრულებელი რედაქტორები
შოთა დიდელაშვილი, ელენე კვანჭილაშვილი

არტდირექტორი, ფოტორედაქტორი
სერგა ნემსიწვერიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ირინა ბიაშვილი

ვებდირექტორი
გოგი ქავთარაძე

დამკაბადონებალი
ქეთა შორაშვილი

ფოტოგრაფი
ხათუნა ხუციშვილი, ჯაბა ჩიტიძე

აპოლოგები

ზაზა აბაშიძე, ნინო კვინტრაძე, ელენე ჩომახიძე, ნინო ლონგურაშვილი, ხათუნა ხუციშვილი, თეგორა გელანტია, სალომე მეცხვარიშვილი, სალომე ჭიკაბაძე, ნინო ტაბატაძე, ნინო შუბითიძე, მარიამ მინაძე, ნათია თაქთაქიშვილი, ემილი ავდაღლიანი

ჟურნალ Forbes Georgia-ს გამოსცემს
სააქციო საზოგადოება
Media Partners

გამომცემელი
მაია მირიჯანაშვილი

გაყიდვების დირექტორი
ლელი მირიჯანაშვილი

ჟურნალი Forbes დაარსდა 1917 წელს

Forbes USA
Editor-In-Chief
Steve Forbes

Chief Content Officer
Randall Lane

Art & Design
Robert Mansfield

Editorial Director, International Editions
Katya Soldak

Forbes Media
President & CEO
Michael Federle

Senior Advisor, International
Tom Wolf

Founded in 1917

B.C. Forbes, Editor-in-Chief (1917-54)
Malcolm S. Forbes, Editor-in-Chief (1954-90) James W. Michaels, Editor (1961-99) William Baldwin, Editor (1999-2010)

Copyright©2018 Forbes LLC. All rights reserved. Title is protected through a trademark registered with the U.S. Patent & Trademark Office.

03.05.2018, N 77

რედაქციის მისამართი: საპროექტო, 0160, თბილისი, გამომცემლის 19, ტელ.: (+995 32) 223 77 07; 0-800-01-8000; info@forbes.ge
Forbes Georgia არის ყოველთვიური გამოცემა. საბალეტო ფასი 7 ლარი.
ჟურნალი გამოდის 2011 წლის დეკემბრიდან. Forbes Georgia დარეგისტრირებულია საპროექტო საზოგადოებასთან ერთად. მისი საბალეტო ფასი 7 ლარია. Forbes Georgia არის გამოცემის მფლობელი. ISSN 2233-3487



Copyright 2011 საქციო საზოგადოება Media Partners, საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივ ან მთლიანად გამოყენება აკრძალულია. Copyright 2011 Forbes, as to materials published in the US Edition of Forbes. All rights reserved. საბალეტო ფასი Forbes წარმოადგენს Forbes Inc.-ის საკუთრებას. გამოყენების უფლებით სარგებლობს საქციო საზოგადოება Media Partners შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულებით. Forbes Georgia is published by the Media Partners JSC under a license agreement with Forbes Media LLC, 60 Fifth Avenue, New York, New York 10011. Forbes is a trademark used under the license from FORBES LLC.

UDC (UAK) 338.22 (051.2) F-75

გამოცემა იყენებს ბესარონ გუგუშვილის BPG-InfoTech ფონტებს: „ბგ გარდიან ეგვიპტური“ და „ბგ პრინა“.

EY საქართველო ასოცირებულ პარტნიორს წარადგენს

გიორგი სვანაძე, EY საქართველოს იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი, დღეიდან ასოცირებული პარტნიორის რანგში განაგრძობს თავის საქმიანობას. ეს დაწინაურება აღიარებაა იურიდიული პრაქტიკის განვითარებაში გიორგის მიერ შეტანილი წვლილისა და ხაზს უსვამს ჩვენს ამბიციას, ვიყოთ იურიდიული მომსახურების ლიდერი საქართველოში.



მეორედ მოსვლა მეორედ ნასვლისთვის

ავტორი: გიორგი ისაკაძე

„თქვენმა აგენტმა ჯერ არ იცის, რომ გაშიფრულია.“ იგი ამას დღეს, გაზრდიდან გაიგებს. ის კარგი ფინანსისტი, წაიყვანეთ, გამოგადგებათ. „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტზე, გიგა ჩრდილელზე ვლადპარაკობდი, - განაცხადა ივანიშვილმა 2011 წლის 12 ოქტომბერს გაგრცელებულ წერილში.

ივანიშვილისთვის ნამდვილად არ არის უცხო, შეუჩვეველი ან რთული, შევლიოს ქუშიშვილ-კვირიკაშვილის დუეტს.

მან ეს თავის დროზე გააკეთა კიდევ, როცა პირველი ღია წერილით შტირლიცობაში „ამშილა“ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც მისივე გუნდის წევრები მიაყოლა: ბანკის დირექტორი და მისი მოადგილე. ანუ, სულ ახლახან საქართველოს პრემიერ-მინისტრი და პირველი ვიცე-პრემიერი.

ამ სტატიის თავდაპირველი სათაური „უცნობი კვირიკაშვილი“ იყო. ეს მეტწილად ეხმაურებოდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ანკურ შეკამათებას ნაცემობის ნიკანორ მელიასთან და ღია დაპირისპირებას თავისი ერთ-ერთი მეგობრისა და რეკომენდატორის, ლევან გაჩეჩილაძის დედამამიშვილთან, იმავე მომღერალ უცნობთან.

ვერ მოვასწარი. ალბათ, ბლოგში უნდა გამეშვა.

ამ სტატიის მეორე სათაური იყო - „LEGALIZED GROSSMEISTER“, ეს მეტწილად უკავშირდება ივანიშვილის დაბრუნებას პოლიტიკაში, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს ღამის კლუბების დარეიდების შემდგომ და შედეგს, რომელიც სრულიად უმტკივნეულოდ დააყენა ივანიშვილმა იმ ღამით, დაწყებული ბერა ივანიშვილის ვიდეოს გაგრცელებით, დასრულებული შინაგან საქმეთა მინისტრის მისვლით ადგილზე, რათა ასევე ხელისუფლების კონკრეტული შტოს მიერ ორკესტრირებული დაპირისპირება არ მომხდარიყო. ეს ნამდვილად გროსმაისტერის დონის გათამამებული პარტია იყო, რომლის ენდშილიმა სტარტი სადღაც საღამოს 9 საათისთვის აიღო ბერას „LEGALIZE“-ის ქსელში ატვირთვით და დასრულდა ღამის სამის ნახევრისთვის, ფაქტობრივად, დაცარიელებული რუსთაველის გამზირით, რომელსაც კალაძის



„თბილერვისის“ თანამშრომლები ასუფთავებდენ.

ვერც ეს მოვასწარი. და, იმ გახარბასი არ იყოს - ბოდიში! ამდენი გაცდენილი ვედიტორიალისთვის, მაგრამ კარგა ხანია, პოლიტიკური პროცესები ასე სწრაფად არ განვითარებულა, იდეაში - დრამატულადაც. სადღაც, ალბათ, ეპიკურადაც... მერე რა, რომ სევდანარევი იყო.

გიორგი კვირიკაშვილის ქვიშის საათი გაცილებით ადრე ჩაირთო. იმაზე გაცილებით ადრე, ვიდრე კვირიკაშვილმა პარტიის

სახელით ბიძინა ივანიშვილს დაბრუნება სთხოვა. ეს დაბრუნება კვირიკაშვილისთვის ფატალური აღმოჩნდა და სწორედ ამიტომ მოუწია მას მეორედ წასვლა ივანიშვილისგან მისი მეორედ მოსვლის შემდეგ.

თუმცა, ყოველგვარ ეპიკურობას არის მოკლებული მოვლენები, რომლებიც წინ უძღოდა კვირიკაშვილის გადადგომას. ფინანსთა მინისტრად რკინიგზის ტოპ-მენეჯერის მოყვანა, რომელიც ნამდვილად ვერ მოიწონებს თავს რკინიგზაში განხორციელებული რეფორმებით ან შედეგებით, უკავშირდება სრულიად ახალ, დამოუკიდებელ და ინდივიდუალურ ინიციატივებს, რასაც ხშირად იგნორით და დემილით სვდებოდნენ კვირიკაშვილი და ქუშიშვილი. თუ არ ჩავთვლით, რომ იყო ერთგვარად შელამაზება-შეფუთვის არცთუ წარმატებული მცდელობები, რომ ეს ინიციატივები ერთიანი სამთავრობო ხედვის გზავნილად გაყიდულიყო. ამის ნათელი დადასტურებაა ქუშიშვილის გახმოვანებული „პასუხი“ ბანკების წინააღმდეგ გალაშქრებული ოფიციალური ფინანსთა მინისტრისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს მთავრობა შეეხიდეოდა ახალი საკრედიტო-საგარანტიო ფონდით, რომელიც დააკომპენსირებდა იმ რისკებს, რაშიც ბოლო წლებია, თეთრსაც კი არ იმეტებდნენ კომერციული ბანკები, მიუხედავად იმისა, რომ ახლა სრული საგიჟეთი და ბუმი აქვთ პორტფელებში ამ ტიპის (SME) ბიზნესების დასაფინანსებლად. საკრედიტო-საგარანტიო ფონდის იდეაც, ისევე როგორც კვირიკაშვილის კაბინეტის 4-პუნქტიანი გეგმა, წარსულს ჰბარდება მამუკა ბახტაძის სრულიად განსხვავებული და ხშირად მისასაღმებელი ჯერ



კიდევ ინციტაციების ფონზე.

და მაინც, რა მოხდა როსტომ მეფის სასახლეში ისეთი, რაც არ იცის ქართულმა საზოგადოებამ? იდეაში, არც არაფერი. ეს ყველაფერი დეტალურად აღწერა ჟურნალისტმა გორა მირცხულავამ და ქართულმა მედიამაც მიაგო სათანადო პატივი.

არც არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით, რომ ეს იყო პარტიული საქმის გარჩევა, სადაც იყო ერთი „ბრალმდებელი“ პარტიის მეორედ მობრუნებული თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის სახით, ერთი „მსჯავრდებული“ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის სახით და 50 მდუმარე პარტიული „მოწმე“. ნაწილი – მთავრობის, ნაწილი – სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლები და უმრავლესობა კი პარტიის საპარლამენტო უმრავლესობის წევრები იყვნენ.

რატომ მდუმარე? თუ არ ჩავთვლით რამდენიმე პასაჟს ან დამსწრე წევრთა ჩართულობას ივანიშვილის კითხვებზე, ყველა იყო სრულ მდუმარებაში და მორჩილად ისმენდა სულ რამდენიმე საათის წინ მათი სათაყვანებელი, საამაყო და სამაგალითო პრემიერ-მინისტრის „საჯარო გათახსირებას“. ეს არ იყო კრიტიკა.

და იცით, არც ერთს, დიახ, არც ერთს „ქართული ოცნების“ გუნდის სამთავრობო, საპარლამენტო ან კანცელარიის გუნდი-

დან არ ეყო არც ერთი უნარი, შეეჩერებინა პარტიის თავმჯდომარის სრულიად ზონიდან გასული და ზღვარგადასული კრიტიკა პრემიერ-მინისტრის მიმართ. არც ერთს. კვირიკაშვილი შეხვედრაზე იყო მართო. სრულიად მართო, შეხვედრაზე, რომელსაც მის გარდა კიდევ დაახლოებით 50 კაცი ესწრებოდა. ის იყო მართო და 24 საათში ასე მართოსულმა მიიღო წასვლის გადაწყვეტილება.

თუმცა, აქ მეშლება. შეხვედრაზე იყო ორი ადამიანი, ვინც ივაჟკაცა. ერთერთმა არგუმენტირებულად სცადა ბიძინა ივანიშვილის შეჩერება და ეს იყო ის, ვისაც ალბათ ყველაზე ნაკლებად ეკუთვნოდა ამის გაკეთება კვირიკაშვილთან მეგობრობის, პიროვნული თუ, გნებავთ, პოლიტიკური სიახლოვის გამო. ეს იყო თბილისის მერი კახა კალაძე, რომელმაც ღიად უთხრა ბიძინა ივანიშვილს, რომ მისდამი (ივანიშვილისადმი) უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, არ ეთანხმებოდა პარტიის თავმჯდომარის არც პათოსს და არც შეფასებებს კვირიკაშვილისადმი, მეორე იყო პარლამენტარი ლევან კობერიძე.

ამის შემდგომ იყო ის, რაც ბოლო ექვსი წელიწადია, ხდება, ანუ UNICEF-ი. და მერე – დაპირებული ცარიელი ტრიბუნა, ტრადიციული „მვირფასო თანამემამულენო“ ან მეგობრებო.

...და უცვლელი, 25-ე სატელევიზიო კადრი. **F**

LEADERBOARD

მსოფლიოს ათი ყველაზე დიდი ბანკი

Forbes Banker-ი უკვე ტრადიციისამებრ გთავაზობთ მსოფლიოს ათი ყველაზე დიდი ბანკის ჩამონათვალს. თუკი ამ სიას გულმოდგინედ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ აზიური ბანკები სრულად დომინირებენ. ბანკების რაოდენობით პირველ ადგილზე ჩინეთია – ოთხი ბანკით, ხოლო მეორე ადგილს ამერიკის შეერთებული შტატები იკავებს, საიდანაც ჩამონათვალში სამი ბანკი მოხვდა, დარჩენილი ადგილები კი ევროპის კონტინენტმა და იაპონიამ გადაინაწილა.

ავტორი: ზაზა აბაშიძე



1. Industrial and Commercial Bank of China (ICBC)

ICBC მსოფლიოს ყველაზე დიდი და მდიდარი ბანკია. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, ბანკის აქტივები \$3,474 მილიარდს შეადგენს, კაპიტალიზაცია კი \$283 მილიარდზე მეტია.

ჩინეთის ინდუსტრიული და კომერციული ბანკი 1984 წელს დაფუძნდა და დღეისთვის 460 ათას თანამშრომელს აერთიანებს. მთავარი ოფისი პეკინში მდებარეობს. ბანკის 70%-ს ჩინეთის მთავრობა აკონტროლებს.



2. China Construction Bank Corporation

რიგით მეორე ჩინური ბანკის აქტივების ოდენობა \$3,016 მილიარდი დოლარია, ხოლო კაპიტალიზაცია \$200 მილიარდზე მეტს შეადგენს. ბანკი 1954 წელს დაარსდა და თავდაპირველად სახელმწიფო ოპერაციების განსახორციელებლად გამოიყენებოდა. მოგვიანებით კომერციული ხასიათის საქმიანობის განხორციელება დაიწყო.

დღეისთვის ორგანიზაციაში 372 ათასი თანამშრომელი მუშაობს.



3. Agricultural Bank of China

კიდევ ერთი ჩინური ბანკი 1951 წელს მათი ქედუნის ინიციატივით, ფერმერებისა და კოლმეურნეობების დასახმარებლად შეიქმნა. მოგვიანებით ბანკმა კომერციული საქმიანობა დაიწყო და დღეისთვის მისი აქტივები \$2,815 მილიარდს შეადგენს, საბანკო კაპიტალიზაციის მაჩვენებელი კი \$190 მილიარდს უტოლდება.

მთავარი ოფისი პეკინში მდებარეობს, ხოლო თანამშრომლების რაოდენობა კაში 24 ათასს აღემატება.



4. Mitsubishi UFJ Financial Group

ორი უმსხვილესი იაპონური ბანკის გაერთიანების შედეგად დაარსებული ფინანსური ინსტიტუტის აქტივები დღეისთვის \$2,626 მილიარდია.

ბანკის მთავარი ოფისი იაპონიის ქალაქ ოსაკაში მდებარეობს, წარმომადგენლობა კი 40 ქვეყანაში აქვს.



5. Bank of China

1912 წელს შექმნილი ბანკი ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე ძველი საფინანსო ინსტიტუტია, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. აქტივების რაოდენობა \$2,611 მილიარდს უტოლდება, ხოლო საბაზრო კაპიტალიზაცია \$162 მილიარდს შეადგენს.

ბანკის საკონტროლო ნაწილის მფლობელი ჩინეთის მთავრობაა.



6. JPMorgan Chase

აშშ-ის ყველაზე ძლიერი და პოპულარული ბანკი 2000 წელს, სხვადასხვა ბანკის გაერთიანების შედეგად დაფუძნდა. დღევანდელი მდგომარეობით, JPMorgan-ის აქტივები \$2,500 მილიარდს, ხოლო საბაზრო კაპიტალიზაცია \$255 მილიარდს შეადგენს.

ბანკის მთავარი ოფისი ნიუ-იორკში მდებარეობს.



7. HSBC Holdings plc

HSBC ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბანკია, რომლის აქტივებიც \$2,374 მილიარდს აღწერს. თავის დროზე, ბანკის შექმნის მთავარი მიზანი ბრიტანეთსა და ჩინეთს შორის სავაჭრო ოპერაციების განხორციელება წარმოადგენდა.

გასათვალისწინებელია, რომ HSBC-ის 10-ზე მეტი შვილობილი კომპანია გააჩნია. ყველა მათგანი საბანკო და საფინანსო სექტორში ოპერირებს.



8. BNP Paribas

ფრანგული ბანკის ოფისს მსოფლიოს ყველა წერტილში მიაგნებთ, რაც პირველ რიგში სწორედ ამ ორგანიზაციის სიდიდესა და სიძლიერეზე მეტყველებს. თავის მხრივ, მთავარი ოფისები ევროპის სამ ქალაქში – ჟენევაში, პარიზსა და ლონდონშია განთავსებული.

BNP Paribas-ის აქტივები დღეისთვის \$2,189 მილიარდია, ხოლო საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებელი \$73 მილიარდს აღწერს.



9. Bank of America

კიდევ ერთი ამერიკული ბანკი ათეულში, რომელიც სიდიდით საკუთარ ქვეყანაში მეორე ადგილს იკავებს.

ამერიკის ბანკის აქტივები \$2,187 მილიარდით განისაზღვრა, საბაზრო კაპიტალიზაცია კი \$163 მილიარდს შეადგენს.

მთავარი ოფისი ჩრდილო კაროლინის შტატში, ქალაქ შარლოტში მდებარეობს.



10. Wells Fargo


მსოფლიოს ყველაზე დიდი ბანკების ათეული Wells Fargo-თი იხურება. ბანკის საბაზრო კაპიტალიზაცია \$ 1,930 მილიარდს აღწერს.

Wells Fargo ერთ-ერთი ყველაზე დიდი ამერიკული კომპანიაა, უშუალოდ საბანკო სექტორში კი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფინანსური ინსტიტუტია.

LEADERBOARD

საქართველოს საბანკო სექტორი

როგორ იწრთობოდნენ ბანკები



მილიონ ლარში

სულ წმინდა მოგება	2010	2011	2012	2013
სულ წმინდა მოგება	-117	147	156	359
სულ გაცემული სესხები	4,888	6,080	7,317	8,634
სულ დეპოზიტები	4,127	5,745	7,037	7,905

ბანკების რაოდენობა



19




19



19



21



561	567	679	880
10,528	12,785	15,800	20,092
9,985	11,825	14,667	18,136



21







19



16



16



LEADERBOARD

წლის შეჯამება



საქართველოში მოქმედი ბანკების რეიტინგი აქტივების, სესხების, დეპოზიტების, კაპიტალისა და წმინდა მოგების მიხედვით.

	აქტივები	ლარი
1	თიბისი ბანკი	12,937,198,000
2	საქართველოს ბანკი	12,620,716,000
3	ლიბერთი ბანკი	1,703,477,000
4	ვითიბი	1,596,192,000
5	პროკრედიტ ბანკი ▲1	1,358,538,000
6	ქართუ ბანკი ▼1	1,302,141,000
7	ბაზისბანკი	1,231,599,000
8	ტერაბანკი	838,751,000
9	კრედილ ★	614,692,000
10	ჰალიკ ბანკი ▼1	427,661,000
11	ფინკა ბანკი	295,354,265
12	პაშა ბანკი საქართველო ▼2	272,804,000
13	იშბანკი ▼1	237,574,000
14	ზირაათ ბანკი	93,650,135
15	სილკ როუდ ბანკი ▼2	58,567,000



	სესხები	ლარი
1	თიბისი ბანკი	8,325,353,000
2	საქართველოს ბანკი	7,445,578,000
3	პროკრედიტ ბანკი ▲1	987,337,000
4	ვითიბი ▼1	950,476,000
5	ქართუ ბანკი	794,886,000
6	ბაზისბანკი ▲1	757,874,000
7	ლიბერთი ბანკი ▼1	757,065,000
8	ტერაბანკი	559,942,000
9	კრედილ ბანკი ★	514,476,000
10	ჰალიკ ბანკი ▼1	326,416,000
11	ფინკა ბანკი ▼1	221,417,607
12	იშბანკი საქართველო ▼1	157,004,000
13	პაშა ბანკი საქართველო ▼1	111,679,000
14	ზირაათ ბანკი ▼1	17,917,715
15	სილკ როუდ ბანკი ▼1	6,433,000

გადაადგილება ზემოთ ▲ გადაადგილება ქვემოთ ▼ ახალი ★

	კაპიტალი	ლარი
1	თიბისი ბანკი	1,848,362,000
2	საქართველოს ბანკი	1,481,919,000
3	ქართუ ბანკი	341,706,000
4	ვითიბი	227,805,000
5	ლიბერთი ბანკი ▲2	217,333,000
6	ბაზისბანკი	213,491,000
7	პროკრედიტ ბანკი ▼2	198,104,000
8	ტერაბანკი	130,420,000
9	კრედიტ ბანკი ★	120,470,000
10	პაშა ბანკი საქართველო ▼1	106,804,000
11	ჰალიკ ბანკი ▼1	71,270,000
12	ფინკა ბანკი ▼1	41,054,038
13	იშბანკი საქართველო	36,863,000
14	სილკ როუდ ბანკი ▼2	33,058,000
15	ზირაათ ბანკი ▼1	30,837,026

	შმინდა მოგება	ლარი
1	თიბისი ბანკი	362,781,000
2	საქართველოს ბანკი	338,907,000
3	ლიბერთი ბანკი ▲1	53,014,000
4	ქართუ ბანკი ▼1	49,718,000
5	ვითიბი	32,369,000
6	ბაზისბანკი	29,889,000
7	პროკრედიტ ბანკი	22,661,000
8	კრედიტ ბანკი ★	20,131,000
9	ტერაბანკი	11,922,000
10	ჰალიკ ბანკი ▼2	11,857,000
11	ფინკა ბანკი ▲3	3,524,237
12	პაშა ბანკი საქართველო ▼2	3,453,000
13	იშბანკი საქართველო ▼2	1,524,000
14	ზირაათ ბანკი ▼2	1,479,036
15	სილკ როუდ ბანკი ▼2	-4,220,000

	დეპოზიტები	ლარი
1	თიბისი ბანკი	7,835,323,000
2	საქართველოს ბანკი	7,123,866,000
3	ლიბერთი ბანკი	1,346,288,000
4	ვითიბი	895,757,000
5	ქართუ ბანკი	690,657,000
6	ბაზისბანკი ▲1	677,820,000
7	პროკრედიტ ბანკი ▼1	629,059,000
8	ტერაბანკი	579,626,000
9	ფინკა ბანკი	97,929,163
10	იშბანკი საქართველო ▲1	74,023,000
11	ჰალიკ ბანკი ▼1	61,683,000
12	ზირაათ ბანკი ▲1	61,630,939
13	პაშა ბანკი საქართველო ▼1	58,181,000
14	სილკ როუდ ბანკი	15,462,000
15	კრედიტ ბანკი ★	-



LEADERBOARD

ყველაზე სტაბილური ბანკების რეიტინგი

ავტორი: ნათია თაყთაიშვილი

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობა საფინანსო სექტორის სტაბილურობაზე დგას. ბაზრის სხვა მონაწილეებისგან განსხვავებით, კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება მოქალაქეების ფართო ფენაზე და ეკონომიკის სხვა დარგებზე. ქართული ბანკების მდგრადობას სხვებთან ერთად Fitch Ratings-იც აფასებს, რომელმაც ქვეყნის სუვერენული რეიტინგის გაუმჯობესების შემდეგ ქართულ ბაზარზე ოპერირებადი ბანკების რეიტინგსაც გადახედა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შედარებით მცირე აქტივების მქონე ბანკები, როგორც არის „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ და „პროკრედიტ ბანკი ჯორჯია“ Fitch Ratings-ის მიხედვით წინ უსწრებს ბაზრის დომინანტებს „საქართველოს ბანკს“ და „თიბისი ბანკს“. ამ ბანკების მაღალი რეიტინგი განპირობებულია მათი სტრატეგიული პარტნიორების მხარდაჭერით - „დედა კომპანიებს“ აქვთ სათანადო რესურსი, საჭიროების

შემთხვევაში დაეხმარონ „შვილობილ ბანკებს“.

გაზაფხულზე Fitch Ratings-მა საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივის რეიტინგი გააუმჯობესა და ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური პერსპექტივა სტაბილურიდან პოზიტიურზე გადაიყვანა. გავლენიანმა სააგენტომ რეიტინგის პროგნოზი ასევე გაუმჯობესა „საქართველოს ბანკს“ და „თიბისი ბანკს“ „სტაბილურიდან“

„პოზიტიურამდე“, ხოლო გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი „BB-“ დონით განსაზღვრა, რაც ქვეყნის სუვერენული რეიტინგის ტოლია. „ლიბერთი ბანკის“ რეიტინგი „B+“ დონეზე დადასტურდა, პროგნოზით „სტაბილური“. Fitch-მა „ქართუ ბანკის“ რეიტინგი „B +“ დონეზე დადასტურა, ხოლო პროგნოზი „სტაბილური“ „ნეგატიურით“ შეცვლა, ბოლო განახლებების ფარგლებში. საერთაშორისო სააგენტომ ეს გადაწყვეტილება წინა წლებში გაფუჭებული სასესხო პორტფელით ახსნა.

Fitch Ratings


ბანკი	გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი	მოკლევადიანი საკრედიტო რეიტინგი	პერსპექტივა	ცვლილება
1 პროკრედიტ ბანკი	BB	'B'	პოზიტიური	↑
2 ვითიბი ბანკი ჯორჯია	BB	'B'	სტაბილური	—
3 საქართველოს ბანკი	BB-	'B'	პოზიტიური	↑
4 თიბისი ბანკი	BB-	'B'	პოზიტიური	↑
5 ჰალიკ ბანკი საქართველო	BB-	'B'	სტაბილური	—
6 ლიბერთი ბანკი	B+	'B'	სტაბილური	—
7 ბაზის ბანკი	B+	'B'	სტაბილური	—
8 ქართუ ბანკი	B+	'B'	ნეგატიური	↓

LEADERBOARD

შემოსავლიანი

საქართვები ბანკებისთვის

ავტორი: ნინო შუბითიძე



საბანკო საქმითრი აკლიმბოიზაციის უძღვებს, საკრედიტო პოლიტიკას ცვლის, ახალ რეგულაციებს ერგება, რომელთა გადაადების შეთანხმებაზეც ზედამხედველი არ წამოვიდა.

ყველაზე მტკივნეული მსესხებლის ახალი კლასიფიკაცია გახდა. შემოსავლების დაუდასტურებლად ყველა ბანკი კრედიტს ვედარ გასცემს. მოსალოდნელი ცვლილებებით ჯარიმ-საურავებზეც ლიმიტი დაწესდება, საიდანაც საბანკო სექტორს 2017 წელს ლ94 მლნ-ის არასაპროცენტო შემოსავლები აქვს მიღებული (2016 – ლ75.5 მლნ; +24.5%Y.Y).

საპროცენტო შემოსავლებში (2017 -H3.583 მლრდ) კი ყველაზე მეტი - 44.2% საცალო დაკრედიტებიდან არის გენერირებული - ლ1.6 მლრდ (2016 - ლ1.3 მლრდ; 40.8%). ზრდა 2018 წელსაც შენარჩუნებულია, თუმცა ტემპი – შენელებული. საცა-

ლო დაკრედიტებიდან | კვარტალის (Q1/2018) შემოსავლები ლ226 მლნ-ს შეადგენს (Q1/2017 - ლ214 მლნ; +5.6%Y.Y).

კორპორაციულ სემენტში ყველაზე მიმზიდველი ტრადიციულად იმპორტის ოპერაციების დაფინანსებაა. დარგობრივ ჭრილში, ვაჭრობა/მომსახურება წლების განმავლობაში ლიდერობდა, თუმცა წელს უკვე მრეწველობას გაუთანაბრდა.

მთავრობის გაცხადებული პოლიტიკით, სექტორულ დივერსიფიცირებასთან ერთად, ფიზიკური და იურიდიული პირების პორტფელებიც უნდა გათანაბრდეს. ბანკმა ბიზნესის დაფინანსებისთვის მეტი რისკიც უნდა აიღოს და მართოს კიდევ. სებ-ი საფინანსო ბაზარზე კეთილსინდისიერი კრედიტორის სტატუსს ამკვიდრებს.

		საბანკო	ვაჭრობა/ მომსახურება	მრეწველობა	მშენებლობა	ენერჯეტიკა	სოფლ. მეურნ.	ფ. ქაღალდეებიდან
1	საქართველოს ბანკი	171,616,997	35,763,265	17,077,762	7,546,465	1,647,567	2,570,958	31,005,794
2	თიბისი ბანკი	140,983,146	36,404,451	10,623,998	6,849,773	11,817,533	4,912,678	21,922,332
3	ლიბერთი ბანკი	61,306,748	9,216				3,944	31,005,794
4	VTB ბანკი	13,651,231	5,149,131	1,580,879	697,890	1,221,173	1,036,887	
5	პროკრედიტ ბანკი	2,937,605	13,672,248	290,292	983,550	28,117	522,147	331,744
6	ბანკი ქართუ	1,241,259	8,626,401	2,253,305	1,086,331	75,262	1,388,532	477,346
7	ბაზის ბანკი	6,663,827	5,999,372	542,869	1,250,874	434,710	390,965	2,748,570
8	ტერა ბანკი	6,566,885	4,667,201	5,250	1,060,298	63,333	301,399	1,050,561
9	კრედო	27,926,337	257,381	22,107	13,517			
10	ხალიკ ბანკი	2,088,552	3,647,001	240,809	849,836	94,228	223,701	449,127
11	ფინკა ბანკი	12,393,233	361,862	34,765	7,210	7,846	12,152	281,136
12	პაშა ბანკი	43,347	1,235,517	54,462	149,313	299,788		1,234,893
13	იშ ბანკი	927,815	1,867,941					493,618
14	მირაათ ბანკი	217,889	232,094					283,736
15	აზერბაიჯან ბანკი	9,853	2,800		138,547			
16	სილქ როუდ ბანკი	281,227	34,945	31,447				163,995

მოსახლეობა და ბანკები


მსოფლიოში სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტში ანგარიში მოსახლეობის 69 %-ს აქვს გახსნილი. საქართველოში კი ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალი – 61.2%-ია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, იმ მოსახლეობის წილი, ვისაც ანგარიში აქვს, ბოლო წლებში საქართველოში მკვეთრად გაიზარდა – 2014 წელს მათი პროცენტული წილი მხოლოდ 36.7% იყო. მსოფლიო ბანკის The Global Findex-ის მიხედვით, საფინანსო ინსტიტუტ-

ში ანგარიში 2014-დან 2017 წლებში 515 მილიონმა ზრდასრულმა ადამიანმა გახსნა. მაღალშემოსავლიან ქვეყნებში საბანკო ანგარიში მოსახლეობის 94%-ს აქვს გახსნილი, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 63%-ს. ჩვენი ყურადღების ცენტრში ამჯერად პოსტსაბჭოთა სამყარო მოექცა. პოსტსაბჭოთა ქვეყნების რეიტინგი საინტერესოა, რადგან ამ ქვეყნებში კომერციული საბანკო სექტორი დაახლოებით ერთ დროს ჩნდება.

ავტორი: ნინო კვინიტრაძე


რამდენი ინახავს ბანკებში?

მოსახლეობის წილი, რომელსაც საფინანსო ინსტიტუტში საბანკო ანგარიში აქვს გახსნილი




სად ზოგავენ?

მოსახლეობის წილი, ვინც ბოლო 1 წელიწადში თანხა საფინანსო ინსტიტუტში შეინახა




სად სესხულობენ?

მოსახლეობის წილი, ვინც ბოლო ერთ წელიწადში თანხა საფინანსო ინსტიტუტისგან ისესხა



საბროკერო კომპანიები

2017 წლის ბოლოს საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობამ 124.6 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო საბროკერო კომპანიების მიერ საბირჟო და არასაბირჟო გარიგებათა ღირებულებამ – 76 მლნ ლარი (148 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). აქედან, ბირჟის სავაჭრო სესიებზე დაიდო 26.6 მლნ ლარის გარიგება (9.8 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი), ხოლო ბირჟის გარეთ 49.6 მლნ ლარის გარიგება (138.26 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). გთავაზობთ ძირითად მონაცემებს.



	ღირებულება (ლარი)	ფასიანი ქაღალდების მოცულობა
● გალტ ენდ ტაგარტი	74,601,734	119,872,672
● თიბისი კაპიტალი	1,070,658	438,254
● ჰერიტიჯ სიქიურიტიზ	435,341	26,838,840
● კაუკაზუს კაპიტალ ჯგუფი	79,089	691,985
● ქართუ ბროკერი	10,500	280,278

მიკროსაფინანსოები

ავტორები: ნინო შუბითიძე, ნინო კვინიტრაძე

აქტივები

მიკროსაფინანსო ბაზრის სტრუქტურა საბანკოს ანალოგიურად ორ მსხვილ მოთამაშეზეა კონცენტრირებული, თუმცა უფრო მეტად დივერსიფიცირებულია. დანარჩენი 88 ორგანიზაცია ბაზრის 60%-ზე მეტს ინაწილებს.

2018 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით, საფინანსო ბაზარზე არასაბანკო ინტიტუტების აქტივების წილი 7.5%-ია და აქედან მიკროსაფინანსოებზე 4%-ზე

ოდნავ მეტი მოდის, სულ 1.5 მლრდ ლარის.


€100,000-მდე სავალუტო დაკრედიტების, მომენტალური სესხების შეზღუდვისა და კაპიტალის სავალდებულო ნორმის 1 მლნ-მდე გაზრდის შემდეგ, მიკროსაფინანსო სექტორი პრუდენციური ნორმების გამკაცრების მორიგე რაუნდის მოლოდინშია. სებ-მა საბანკოს ანალოგიურად, ნორმატივების, ლიმიტების, რეგულაციებისა და შემოსავლების დათვლის პოლიტიკა უნდა განუსაზღვროს.

TOP-11 მიკროსაფინანსო აქტივებით

		აქტივები (ლ)
1	რიკო ექსპრესი	349 769 482
2	კრისტალი	246 373 494
3	სვის კაპიტალი	73 065 000
4	ლაზიკა კაპიტალი	43 939 165
5	BIG	40 720 461
6	სმარტ ფინანსი	33 472 270
7	ინტელექსპრესი	33 170 364
8	თბილმიკროკრედიტი	11 892 132
9	გლობალ კრედიტი	5 143 560
10	ალფა ექსპრესი	2 809 755
11	იმერკრედიტი	1 390 217

წყარო: მორგანიზაციები (Q1/2018)

მიკროსაფინანსოების აქტივები და მოგება



აქტივები

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელის მთავარი ტრენდი 2017 წელს მისი გაღარება იყო. დოლარიზაციის კოეფიციენტი 60%-ით, 50%-დან 20%-მდე შემცირდა. ყველაზე მიზიდველი წელს და შარშანაც საცალო მიმართულება იყო, რომლის დაკრედიტებიდან სექტორს 78 მლნ აქვს მიღებული, მთლიანი საპროცენტო შემოსავლების (€94.5 მლნ) 80.8%. ყველაზე შემოსავლიანი ვაჭრობის/მომსახურების სექტორი და online მიმართულებაა, რომლის დაკრედიტებიდან 13-13 მლნ აქვს მიღებული (Σ26.4 მლნ). ახალი რეგულაციით სესხები სახეობების მიხედვით უკვე დეტალურად კლასიფიცირდება, მათ შორისაა ყველაზე ძვირი, სწრაფი კრედიტები, რომელთა გაცემაც შემოსავლების დაუდასტურებლად შეიზღუდა და ეფექტური 100%-იანი განაკვეთი მალე 50%-მდე უნდა შემცირდეს.

TOP-11 მიკროსაფინანსო საკრედიტო პორტფელით

		სესხები (€)
1	კრისტალი	229 500 000
2	რიკო ექსპრესი	198 573 000
3	სვის კაპიტალი	66 400 000
4	ლაზიკა კაპიტალი	36 000 000
5	BIG	35 700 000
6	სმარტ ფინანსი	26 974 000
7	თბილმიკროკრედიტი	8 004 558
8	ინტელ ექსპრესი	6 722 605
9	გლობალ კრედიტი	4 565 355
10	ალფა ექსპრესი	2 676 000
11	იმერკრედიტი	1 042 217


წყარო: მიკროსაფინანსოები (პირველი კვარტალი, 2018)

ბანკები Online-სმსხმებში


ონლაინ სესხების დაანონსებიდან მესამე წელს ბანკირები 100%-იანი განაკვეთის 50%-მდე დაწვეს უკვე თავად ითხოვენ. „რაც უფრო მალე ამოქმედდება, მით უკეთესია. გადაწყვეტილება უფრო სწრაფად არის მისაღები“, - ქვეყნის ყველაზე მსხვილი ბანკის მმართველმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ მამუკა ბახტაძეს დაჩქარება, პრემიერ-მინისტრად დამტკიცებამდე რამდენიმე დღით ადრე ურჩია, ვიდრე ის გიორგი კვირიკაშვილის გათავისუფლებულ ადგილს დაიკავებდა. წინა პრემიერს კი ამ რეგულაციების დაანონსებისას, 2016 წლის ბოლოს, ბიზნესსექტორის ისეთი რისხვა დაატყდა, რომ ერთ დღეში ჩვენება სამჯერ შეცვალა. მისი ბოლო ვერსიით ონლაინ სესხებში მხოლოდ სესხის მომენტალურად გამგეში ე.წ. ონლაინ კომპანიები იგულისხმებოდა. მაშინ „ონლაინს“ ალტერნატიული ბრენდული აბრევიატურა არ ჰქონდა. დღეს კი შემოსავლების დაუდასტურებლად სწრაფად მისაღები კრედიტები ნონ ჩექინგით და ექსპრესით მოიხსენიება.

ორი პრემიერის გაცხადებული ცვლილების სხვადასხვა პოლუსით აღქმა სეზონურმა ფაქტორმა განაპირობა თუ პრეზენტატორის პრინციპულობამ, ადვილი სათქმელი არ არის.


საკრედიტო პორტფელი



საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა 2017 წლის ბოლოს



ფილიალებისა და დასაქმებულთა რაოდენობა ორგანიზაციებში




	/პორტფელთან (%)	ონლაინსესხები
სილქ როუდ ბანკი	14.7%	1,473,000
ლიბერთი ბანკი	11.5%	110,000,000
ფინკა ბანკი	8.5%	19,500,000
საქართველოს ბანკი	1.9%	144,000,000
თიბისი ბანკი	0.3%	25,000,000
ვითიბი ბანკი	0.04%	431,000

LEADERBOARD

ბანკის მენეჯერები აშშ-ის კორპორაციით

ავტორი: ნინო შუბიტიძე

საბანკო სექტორი ლ35.5 მლრდ-იანი აშშ-ში და ლ5 მლრდ-ის კაპიტალით ყველაზე ძვირად დაქირავებული მენეჯერებს უყრის თავს. მმართველობითი რგოლის კვალიფიციური კადრებით დასაკომპლექტებლად დამფუძნებლებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწე წარმატებული ფინანსისტების მოწვევა ძვირი უჯდება. მძაფრმა კონკურენციამ თამაშის წესები შეცვალა: დამფუძნებლები კარგ მენეჯერებს ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ და მათ გადაბირებასაც არ ერიდებიან. საქართველოს ბაზარი უჩვეულო „ტრანსფერებითაც“ გამოჩენილია. სეპ-ის TOP-ზედამხედველი (ოთარ ნადარაია) თიბისის მენეჯმენტშია, სეპ-ის მთავარი რეგულატორი მურთაზ კიკორია კი საქართველოს ბანკის CEO იყო. 16 ბანკიდან აქციების მფლობელი მენეჯერები მხოლოდ 4 ბანკს ჰყავს.



HYDRA 24+

ახალი მიღგომა კანის დაბინიანებისადმი

PAYOT- ის კანის მოვლის ოჯახის ახალი ხაზი Hydra 24+ არა მხოლოდ ატენიანებს კანს, არამედ ნაოჭების წარმოქმნის პრევენციის მკვეთრად გამოხატული ეფექტით გამოირჩევა. იდეალურია ყველა ტიპის კანისთვის. ულტრამგრძობიარე, აბრეშუმისებრი ტექსტურის კრემები დატენიანებისა და კომფორტის დაუყოვნებელ შეგრძნებას იძლევა.

დაბინიანება: **+59%***

სისუფთავის შებრძნება: **100%***

კომფორტის შებრძნება: **100%****



ესწე,
Estée

Professional
Cosmetics Shop

ი. აბაშიძის 24, 0179, თბილისი საქართველო, ტელ.: + 995 (32) 2 24 24 55

ტოპ-მენეჯმენტის კონტორარი

ავტორები: ნინო ტაბატაძე და მარიამ მინაძე

საბანკო ჰოლდინგების მილიონერი მმართველები

ამბოზენ, მენიჭმარის პროფისიბი ძალიან ჰგავს ჭადრაკის თამაშს, სადაც, თუ სწორად არ გადაადგილდა ყველა ფიგურა, თამაშს ვერ მოიგებ - ამ გამონათქვამს საქართველოს ორი საბანკო ჯგუფის ისტორიასა და წარმატებასთან თუ დავაკავშირებთ, ნათელი ხდება, რატომ უღირთ მათ აქციონერებს ტოპ-მენეჯერის დასაქირავებლად მილიონების გადახდა.

Forbes Banker-ის ფოკუსში დღეს უკვე ორ ბიზნესად (BGEO/CGEO) გაყოფილი BGEO ჯგუფის გენერალური დირექტორი ირაკლი გილაური და „თიბისი ბანკის ჯგუფის“ გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე მოხვდნენ - საქართველოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი მენეჯერები, რომელთა ჯამური წლიური ანაზღაურება, 2017 წელს, 9.18 მილიონი დოლარი იყო. ამ თანხიდან საკმაოდ დიდი წილი არა ფიქსირებულ ხელფასზე, არამედ ბონუსზე მოდის, რაც ნათლად აჩვენებს, როგორ აფასებენ აქციონერები გილაურისა და ბუცხრიკიძის სვლებს ჭადრაკის დაფაზე.

ირაკლი გილაურის მილიონებში კონვერტირებულ მიღწევებზე BGEO ჯგუფის მიერ 2017 წლის რეკორდები შეგვიძლია, ჩავთვალოთ: უმსხვილესი საბანკო-საინვესტიციო ჯგუფის წლიურმა შემოსავალმა, 2017 წელს, 1.1 მილიარდი ლარი შეადგინა (+23.7% y.y), მოგებაც რეკორდული იყო - 463.4 მილიონი ლარი (+8.1%). მიღწეული შედეგების შესაბამისად გაიზარდა ბატონი გილაურის შემოსავალიც და 5 096 833 აშშ დოლარს მიაღწია (+18.1%).

არანაკლებ წარმატებული იყო 2017 წელი „თიბისი ბანკის ჯგუფისთვის“ - „ბანკ რესპუბლიკის“ შერწყმის დასრულებით, „თიბისი“ #1 ბანკი გახდა საქართველოში - 12.96 მილიარდი ლარის აქტივებით, 369.2 ლარის ძირითადი წმინდა მოგებით, საკრედიტო ბაზარზე 38.2%-იანი და დეპოზიტების ბაზარზე 39.8%-იანი წილით, - ეს მიღწევები „თიბისის“ CEO-ს ხელფასის 35%-იანი ზრდაში გარდაისახა და შედეგად, ვახტანგ ბუცხრიკიძის წლიურმა შემოსავალმა შარშან 4 084 000 დოლარი შეადგინა.



ირაკლი გილაური

წელი	ფულადი ანაზღაურება	გადავადებული აქციებით ანაზღაურება	ჯამური ხელფასი	დისკრეციული გადავადებული აქციები	სხვა სარგებელი	საპენსიო შენატანი	დივიდენდი	ჯამი
2017	437,500	2,288,700	2,726,200	2,044,650	1,860	1,875	322,248	5,096,833
2016	437,500	2,177,342	2,614,842	1,307,313	1,239	1,698	389,793	4,314,885



ვახტანგ ბუცხრიკიძე

წელი	ფულადი ანაზღაურება	გადავადებული აქციებით ანაზღაურება	ჯამური ხელფასი	სხვა სარგებელი	საპენსიო შენატანი	დივიდენდი	ჯამი
2017	454,000	573,000	1,027,000	19,000	-	3,038,000	4,084,000
2016	452,000	420,000	872,000	17,000	-	2,128,000	3,017,000

*წლიური ანაზღაურება და აქციების ფასი გამოსახულია აშშ დოლარში

დირექტორები, როგორც აქციონერები

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საანგარიშო პერიოდში როგორც ირაკლი გილაურის ანაზღაურებაში გადავადებული აქციების (აქციები, რომლებიც მათ მფლობელობაში გარკვეული პერიოდის შემდეგ გადავა) წილი 85% იყო, ვახტანგ ბუცხრიკიძის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 88%-ია.

ირაკლი გილაურიც და ვახტანგ ბუცხრიკიძეც უკვე წლებია, მათ მმართველობაში არსებული ჰოლდინგების აქციონერებიც არიან. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ბონუსის, ასევე ფიქსირებული ხელფასის ნაწილში ანაზღაურების სახით მიღებული აქციების გაყიდვა ტომ-მენეჯერებს მხოლოდ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ შე-

უძლიათ. მოქმედებს ე.წ. claw back-ის პრინციპიც - თუ მენეჯერი ვადაზე ადრე ტოვებს კომპანიას, მას აქციების, ან მათი ნაწილის უკან დაბრუნება მოუწევს.

2018 წელს სურათი რადიკალურად შეცვლილი იქნება. საბანკო სფეროს ყველაზე მაღალანაზღაურებადი მმართველის რეიტინგში ირაკლი გილაურს კახა კვიციანი ჩაანაცვლებს. BGEO უკვე ორ დამოუკიდებელ კომპანიად ოპერირებს - „საქართველოს ბანკის“ ჯგუფი, რომელსაც სათავეში კახა კვიციანი ჩაუდგა და „საქართველოს კაპიტალი“, რომელმაც ჯგუფის საინვესტიციო ბიზნესი გააერთიანა და ირაკლი გილაურის თაოსნობით ახალი სიმაღლეების დასაპყრობად ემზადება.

ირაკლი გილაურის აქციების პორტფელი

განადგებული	გადავადებული	ჯამი	ღირებულება
303 115	312 950	616 065	21.5 მილიონი გირვანქა სტერლინგი

ვახტანგ ბუცხრიკიძის აქციების პორტფელი

განადგებული	გადავადებული	ჯამი	ღირებულება
612 457	267 399	879 856	14.5 მლნ გირვანქა სტერლინგი


ბანკები ყველაზე მაღალანაზღაურებადი მენეჯერებით

2017 წელი 16-ით, 2018 კი უკვე 15 კომერციული ბანკით დაიხურება. ბაზრიდან გასვლის პროცესშია „აზერბაიჯანის ბანკი - საქართველო“. გასულ წელს ბანკების 134.6-მილიარდიან აქტივებს 75 მენეჯერი მართავდა, რომელთა ანაზღაურება სარფიანადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ. TOP მენეჯერებს 98 მილიონამდე ლარი ერგო, მათ შორის ნაწილი ფიქსირებული, ნაწილი კი ცვალებადი ფორმით. აქედან კი 64 მილიონამდე გადავადებულია.

ბანკი	დირექტორატის ანაზღაურება ლ	გადავადებული ანაზღაურება ლ	დირექტორთა საბჭოს წევრთა რაოდენობა
1 თიბისი ბანკი	42,756,908	37,709,146	8
2 საქართველოს ბანკი	29,559,110	24,239,398	8
3 ლიბერთი ბანკი	9,423,979	-	7
4 ვითიბი ბანკი	3,372,360	-	6
5 ბაზისბანკი	2,262,760	1,300,000	5
6 ტერაბანკი	1,802,963	-	5
7 პაშა ბანკი საქართველო	1,433,359	-	3
8 ხალიკ ბანკი საქართველო	1,170,901	224,653	6
9 კრედო ბანკი	1,148,910	296,331	3
10 ფინკა ბანკი საქართველო	969,315	-	3
11 აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო	857,543	-	3
12 იზბანკი საქართველო	848,266	-	3
13 ქართუ ბანკი	644,908	-	5
14 პროკრედიტ ბანკი	612,198	-	4
15 სილქ როუდ ბანკი	369,649	-	3
16 ზირათ ბანკი საქართველო	287,256	-	3
სულ	97,520,385	63,769,528	

* წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

LEADERBOARD



უმსხვილესი დამსაქმებელი ბანკები

ავტორი: მარიამ მინაძე

საფინანსო ბაზარზე ყველაზე მსხვილი დამსაქმებელი საბანკო სექტორია - 22,200 -იანი სტაფით.


აქედან 6,500 (29%) „თიბისი ბანკის“ ფილიალებსა და სერვისცენტრებშია დასაქმებული. 500 კადრით ნაკლებია

„საქართველოს ბანკში“ (27%) და 1.5-ჯერ ნაკლები „ლიბერთი ბანკში“ (19%).

რიგ ბანკებში 2017 წელს მომსახურების ობიექტებისა და თანამშრომლების რაოდენობა შემცირებულია, რასაც ბანკები არა ხარჯების ოპტიმიზაციით, არამედ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებითა და გაციფრულებით ხსნიან.

ბანკების ნაწილმა 2017 წელს მომსახურების ახალი სტანდარტი დანერგა, რაც „უნივერსალური ბანკირის“ მეშვეობით ყველა ტიპის მომსახურების მიღებას გულისხმობს.

■ 2016 ■ 2017 ● % ცვლილება



LEADERBOARD

სოციალური პასუხისმგებლობის შესანიშნავი შვიდეული

ვინაიდან რეიტინგული დათვლები რიგითობით ხასიათდება, შევარჩიეთ პირველი შვიდეული იმ ბანკებს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი დახარჯეს სოციალურ პასუხისმგებლობაზე 2017 და 2016 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ „შესანიშნავი შვიდეულის“ ჯამური ბიუჯეტი უცნობია, მცირე ბანკებში CSR-ის მიმართულებით აქტივობაზე აღნიშნავენ, რომ მათი ჩართულობით არაერთი პროექტი ხორციელდება, მათ შორის გარემოს დაცვისა და განათლების სექტორებში.

ავტორი: ნათია თაყაიშვილი













ბანკების მიერ გამოყოფილი ბიუჯეტი CSR-ისთვის

ბანკი	CSR-ის ბიუჯეტი 2017წ	CSR-ის ბიუჯეტი 2016წ
1 ქართუ ბანკი	6,004,235	7,755,775
2 თიბისი ბანკი	6,000,000	5,000,000
3 საქართველოს ბანკი	3,000,000	2,000,000
4 ლიბერთი ბანკი	1,296,400	-----
5 ვითიბი ბანკი	951 871	648,000
6 ბაზისბანკი	200,000	200,000
7 კრედიტ	19,500	49,400

პასუხისმგებლობის ადრესატები

აღსანიშნავია რომ ბანკების უმრავლესობა ჩართულია 2017 წლის აგვისტოში, ხანძრების შედეგად დამწვარი ტყეების აღდგენაში. მეტი პირველმა ორმა ბანკმა გაიღო. ხანძრის პრევენციისთვის საქართველოს ბანკის მხრიდან 1,000,000 ლარი გამოიყო. ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი ყოველწლიურად საქართველოს 10 დაცული ტერიტორიის მხარდაჭერის მიზნით „კავკასიის ბუნების ფონდს“ (CNF) 100,000 აშშ დოლარის გრანტით აფინანსებს. თიბისი ბანკმა აიღო ვალდებულება, რომ დააფინანსოს 10 ჰექტარი ტყის აღდგენა ბორჯომის ტყე-პარკში. ბორჯომში ხეების დარგვის ინიციატივას შეუერთდა ფინკა ბანკიც. კრედო ბანკმა გარემოსდაცვითი აქტივობებისთვის 5663 ლარი გაიღო.

საინტერესო მიმართულებაა სპორტი და განათლება. ყველაზე უყურადღებოდ მიტოვებული მიმართულება კი კულტურის სფერო აღმოჩნდა, რომელსაც მხოლოდ 3 ბანკი აფინანსებს.

	ბანკი	სპორტი	განათლება	ეკოლოგია	შშმ პირები	სოც. დაუცველები	ჯანდაცვა	კულტურა
	1 თიბისი ბანკი	\$	\$	\$	\$	\$	\$	\$
	2 ქართუ ბანკი	\$	\$	\$	\$	\$	\$	\$
	3 საქართველოს ბანკი		\$	\$	\$	\$		
	4 ლიბერთი ბანკი	\$	\$	\$	\$	\$	\$	\$
	5 ვითიბი ბანკი	\$						
	6 ბაზის ბანკი	\$			\$			
	7 კრედო ბანკი		\$	\$	\$		\$	
	8 ფინკა ბანკი		\$	\$	\$			
	9 ჰალიკ ბანკი ჯორჯია	\$				\$	\$	
	10 ტერა ბანკი	\$						
	11 პროკრედიტ ბანკი			\$				
	12 სილქროუდ ბანკი		\$					

ინტერნეტბანკინგი

აპრილი: ნინო შუბითიძე














ქართული საბანკო სექტორი საერთაშორისო ციფრულ გამოწვევებს წარმატებით პასუხობს. მათი ნაწილი პრაქტიკულად სრულად გაციფრულდა, ნაწილი კი ისეთ ინოვაციურ პროდუქტებს ნერგავს, რაც მომხმარებელს დისტანციურად ინტერნეტით, თუ მის გარეშე, ოპერაციების განხორციელების საშუალებას აძლევს.

ონლაინ მომხმარებელთა 90%-ზე მეტი თიბისი ბანკსა და საქართველოს ბანკზე მოდის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკები, რომლებიც ციფრულ არხებზე გადავიდნენ, 2018-ში უკვე ინტერნეტ-მოზაიკ-ბანკინგის მომხმარებელთა მზარდი რაოდენობით გამოირჩევიან. მაგალითისთვის, დღეისათვის, ინტერნეტბანკინგით, პროკრედიტ ბანკის მომხმარებელთა

70% სარგებლობს. ვითიბი ბანკის მომხმარებელთა რაოდენობა, 2017 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, დღეს უკვე 20%-ითაა გაზრდილი, 57,201 მომხმარებელამდე. სილქ როლდ ბანკის შემთხვევაში კი მომხმარებელთა რაოდენობა 3.2-ჯერ გაიზარდა, 2,458-მდე.

ციფრულ სამყაროში, ქართულ ბაზარზე ჯერ კიდევ დარჩნენ ზირაათ ბანკი საქართველო და კრედო ბანკი (ყოფილი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია), რომელთაც ჯერ აღნიშნული ონლაინ სერვისი არა აქვთ, თუმცა ბანკებში აღნიშნავენ, რომ მიმდინარეობს პროგრამულ ნაწილზე მუშაობა. ზირაათ ბანკი საქართველო მომხმარებლებისთვის პროდუქტის შეთავაზებას წელს აპირებს.

	ბანკი	მომხმარებელთა რაოდენობა (2017)	წილი
1	 თიბისი ბანკი	1,161,314	47%
2	 საქართველოს ბანკი	1,118,573	45.3%
3	 ვითიბი ბანკი	47,534	1.9%
4	 ლიბერთი ბანკი	46,000	1.86%
5	 ტერაბანკი	33,538	1.36%
6	 პროკრედიტ ბანკი	23,000	0.9%
7	 ბაზისბანკი	20,000	0.8%
8	 ფინკა ბანკი საქართველო	12,114	0.5%
9	 ქართუ ბანკი	6,210	0.25%
10	 ხალიკ ბანკი საქართველო	3,984	0.16%
11	 სილქ როლდ ბანკი	768	0.03%
12	 პაშა ბანკი საქართველო	315	0.01%
13	 აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო	251	0.01%
ჯამი		2,473,601	100%


წყარო: კომერციული ბანკები

ბანკების Fb-რეიტინგი

ავტორი: ზაზა აბაშიძე

კლიენტებთან ურთიერთობა, კომუნიკაცია, სი-ახლებების გაცნობა და კონკურენტებთან მეტოქეობა – ეს ყველაფერი უკვე დიდი ხანია, რაც ვირტუალური სამყაროს ნაწილადაც იქცა. მთავარ პლატფორმად, ცხადია, Facebook-ი მოიაზრება. სწორედ ამიტომ, Forbes Banker-ის გუნდმა გადაწყვიტა, ქართულ ბანკებს ვირ-

ტუალურ რეალობაშიც დაჰკვირვებოდა. გთავაზობთ უნივერსალური ვირტუალური მთვლელის – მოწონების რაოდენობის საფუძველზე, Facebook-ზე ქართული ბანკების რანჟირებას. რეიტინგში მხოლოდ ის ქართული ბანკებია წარმოდგენილი, რომელთაც ვირტუალური პულისი ესინჯებათ.



სადამზღვევო ბაზარი


ავტორი: ნინო ტაბატაძე – „ჰორჯიან ბიზნეს კონსალტინგი“

პორტფელი

28 წელია, სადამზღვევო ბაზარი ფორმირების პროცესშია. თითქმის სამი ათეული წელი და უამრავი სადამზღვევო შემთხვევა მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ფიზიკური თუ იურიდიული პირების დიდმა ნაწილმა შესაძლო რისკების დასაზღვევად ფული წინასწარ გაიღოს.

2014 წლიდან კერძო სადამზღვევო კომპანიების პორტფელი იზრდება, თუმცა ტემპი სასურველზე ბევრად დაბალია, 2012 წლის შემდეგ ჯამური პორტფელის მოცულობა კი 0.5 მილიარდ ლარსაც ვერ აღწევს, რაშიც დიდი წვლილი სახელმწიფო დაზღვევის ამოქმედებამ შეიტანა.

სადამზღვევო კომპანიების ჯამური პორტფელი



რეიტინგი პრემიების მიხედვით

იმას, რომ ბაზარს განვითარების დიდი შანსი აქვს, ოფიციალური მონაცემებიც მოწმობს. 2017 წლის ბოლოსთვის საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 14.6% სარგებლობს სამედიცინო დაზღვევით (დანარჩენს საყოველთაო დაზღვევა ფარავს) და საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების მხოლოდ 5,5% -ია დაზღვეული. მცირეა ქონების დაზღვევის პორტფელიც – ჯამში 72.12 მლნ ლარი. ბოლო 1 წელიწადში სადაზღვევო კომპანიებმა 441.4 მლნ

ლარის მოზიდვა შეძლეს. ზრდა წლიურ ტრილში 12.3%-ია (48.36 მლნ).

2017 წელს, 11 სადაზღვევო კომპანიის წმინდა მოგება 29 მლნ ლარი შეადგინა. 17-დან 6 ზარალზე იყო, ჯამური მოცულობით, 9.34 მლნ ლარი. სექტორის წმინდა მოგების 83%-მდე აღდაგზე მოდის, ალბათ იმიტომ, რომ აღდაგი მაღალხარჯიან ჯანმრთელობის დაზღვევის სეგმენტზე არ ოპერირებს.

კომპანიების რეიტინგი პრემიების პორტფელით

კომპანიის დასახელება	2017 წელი	ზრდა/კლება (y/y)
ჯიპიაი ჰოლდინგი	102.74	15.6% (+13.86 მლნ)
აღდაგი	90.25	15.8% (+12.35 მლნ)
იმედი L	51.71	-23.5% (-15.91 მლნ)
არდი	34.49	9.4% (+2.96 მლნ)
თიბისი დაზღვევა	31.76	312% (+24.05 მლნ)
პსპ დაზღვევა	31.54	0.22% (+0.07 მლნ)
უნისონი	30.84	45.7% (+9.67 მლნ)
ირაო	24.22	-13.9% (-3.91 მლნ)
აისი ჯგუფი	11.38	-24.2% (-3.64 მლნ)
აღფა	10.13	58.8% (+3.75 მლნ)
ქართუ დაზღვევა	6.19	-43.8% (-4.82 მლნ)
პრაიმი	5.48	-5.2% (-0.3 მლნ)
სადაზღვევო ჯგუფი	5.35	-
ბენეფიტი	4.65	-
კამარა	0.60	81.8% (+0.27 მლნ)
ტაო	0.08	- 33.33% (-0.04 მლნ)

რეიტინგი მოგების მიხედვით

კომპანიის დასახელება	2017 წელი	2016 წელი	მოგების ზრდა/კლება
აღდაგი	16,300,000	13,760,000	2,540,000
ჯიპიაი ჰოლდინგი	5,012,000	6,950,000	-1,938,000
აღფა	1,780,000	945,000	835,000
უნისონი	1,360,000	1,620,000	-260,000
ირაო	1,138,000	-1,175,000	2,313,000
ტაო	987,000	897,000	90,000
თიბისი დაზღვევა	855,000	-900,000	1,755,000
არდი	851,000	818,000	33,000
აისი ჯგუფი	438,000	531,000	-93,000
სადაზღვევო ჯგუფი	356,000	-	-
ჰუალინგი	6,000	-	-
ქართუ	-74,748	-2,025,000	1,950,252
პრაიმი	-131,000	289,000	-420,000
კამარა	-208,000	-87,000	-121,000
ბენეფიტი	-1,688,000	-19,330	-1,668,670
იმედი L	-2,629,000	-5,140,000	2,511,000
პსპ დაზღვევა	-4,613,000	-1,233,000	-3,380,000

წყარო: კომპანიების აუდიტირებული მონაცემები

მეტი სარბიბელი ფინკა ბანკისგან

დავმოვით ფული ანუ სამომავლოდ შევინახოთ ჩვენი შემოსავალი. კონკრეტული მიზნისთვის ყულაბაში შეგროვებულმა ხურდამ თუ მუთაქაში „შავი დღისთვის“ გადანახულმა ფულმა „ფერი იცვალა“ და 21-ე საუკუნეში დეპოზიტების სახით მოგვევლინა. დაზოგვა – ეს არის ჩვევა, რომელიც ფინანსების მართვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ფინანსური წარმატების საწინდარს წარმოადგენს. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვის ვანდობთ ფულს, ვინ მოგვითანს მეტ სარგებელს.

Forbes Georgia მოგიხსნის იმ საფინანსო ინსტიტუტის შესახებ, რომელიც ბანკად 2013 წელს ჩამოყალიბდა და საკმაოდ მოკლე დროში საკუთარი ნიშიც დაიჭირა. ყველაფერი კი ოცი წლის წინ დაიწყო. 1998 წელს, როდესაც ფინკას საერთაშორისო ჰოლდინგმა საქართველოში შემოსვლის გადაწყვეტილება მიიღო, ქვეყანა მძიმე გამოწვევების წინაშე იდგა. ფინკამ საინტერესო, გამოწვევებითა და გამარჯვებებით სავსე ოცი წელი გამოიარა, მათ შორის იყო ფინკას ფონდის ვერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციად ჩამოყალიბება, შემდეგ კი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ბანკად ტრანსფორმაცია. სტრუქტურული, ოპერაციული და სისტემური ცვლილებები ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი იყო, თუმცა შედეგი – საამაყო. უფრო დეტალურად საბანკო პროდუქტებსა და სერვისებს, მიმდინარე სიახლეებსა და სამომავლო გეგმებზე, ფინკა ბანკის პირადი საბანკო მომსახურების ხელმძღვანელ ლიკა ხითარიშვილს ვესაუბრეთ.

ავტორი: სალომე ზიკაშვილი
ფოტო: ნიკა ფანიასვილი

ქალბატონო ლიკა, ამჟამად რამდენი ფილიალით ხართ საქართველოში წარმოდგენილი?

ფინკა ბანკს საქართველოს მასშტაბით 35 სერვისცენტრი აქვს. წარმოდგენილები ვართ ყველა დიდ ქალაქსა და ასევე რამდენიმე მცირე ზომის ქალაქში. პროფესიონალებით დაკომპლექტებული ჩვენი გუნდი 100 000-ზე მეტ მომხმარებელს უწევს სრულ საბანკო მომსახურებას. თბილისში სულ ხუთი სერვისცენტრი გვაქვს, მათ შორის ერთი განსხვავებული კონცეფციის მქონე – პირადი საბანკო მომსახურების სერვისცენტრია.

რა არის ის მიმართულებები, რასაც ფინკა ბანკი თავის მომხმარებლებს სთავაზობს და რომელია ბანკისთვის პრიორიტეტული?

ფინკა ბანკი მომხმარებელს სთავაზობს საკრედიტო და სა-დეპოზიტო პროდუქტებს, ასევე ისეთ საბანკო პროდუქტებსა და სერვისებს, როგორცაა სწრაფი ფულადი გზავნილები, ბარათები, ინტერნეტ- და მობაილ ბანკით მომსახურება და სხვა. პროდუქტებისა და სერვისების განვითარება და ჩვენი სეგმენტების ინტერესებზე მორგებული საუკეთესო პირობების შეთავაზება ბანკისათვის პრიორიტეტულია.

ბაზარზე ლარში დეპოზიტებზე საკმაოდ დიდი კონკურენციაა და, როგორც ვიცი, სწორედ ფინკა ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა დეპოზიტე-

ბია. რა არის თქვენი უპირატესობა ამ მიმართულებით და რამდენი სახის დეპოზიტს სთავაზობთ ფიზიკურ პირებს?

დღას, დაგეთანხმებით, ბაზრის დღევანდელი მოთხოვნილების შესაბამისად, ჩვენთვისაც პრიორიტეტულია ლარში დეპოზიტების მოზიდვა. შესაბამისად, გვაქვს ლარის სადეპოზიტო პროდუქტების ფართო არჩევანი. ჩვენ ექვსი ტიპის დეპოზიტს ვთავაზობთ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. თითოეული პროდუქტის პირობები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მორგებულია მომხმარებლების საჭიროებებზე. საპროცენტო სარგებლის მხრივაც, კლიენტებს მაღალ და კონკურენტულ საპროცენტო განაკვეთს ვთავაზობთ.

დეპოზიტებზე საუბრის დროს აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ზოგადად თანხის დაზოგვა თითოეული ჩვენგანის წარმატებისა და მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ერთგვარი ფარი/დაცვის მექანიზმი, რომელსაც ჩვენს ბიზნესს თუ ჩვენს თავს თანხის დაგროვებით ვუშენებთ, რათა ყოველთვის მზად ვიყოთ გაუთვალისწინებელი ცვლილებებისთვის.

მნიშვნელოვანია დეპოზიტის შერჩევის პროცესი. ხშირად გვეკითხებიან – რომელი დეპოზიტი გავსუნა? ამ მხრივ ჩვენი თანამშრომლები მზად არიან, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გაუწიონ კვალიფიციური კონსულტაცია და დაეხმარონ მათ მიმდინარე საჭიროებებსა და სამომავლო გეგმებზე მორგებული პროდუქტის შერჩევამდე.

ჩვენ ვესაუბრებით, კონსულტაციას ვუწევთ მეწარმეებსა და



ლიკა ხითარიშვილი - ფინკა ბანკის პირადი საბანკო მომსახურების ხელმძღვანელი

ბიზნესის წარმომადგენლებს და ვესმარებით მათთვის ყველაზე მოგებიანი გადაწყვეტილების მიღებაში. დღითი დღე იზრდება დანაშოვების შექმნისა და ბანკში განთავსების ტენდენცია, განსაკუთრებით - მეწარმეებში.

განსაკუთრებულად გამოვყოფდი ჩვენს ახალ პროდუქტს - ანაბარს „მეტი სარგებელი“. სტანდარტული ვადიანი ანაბრისაგან განსხვავებით, ვადიანი და ზრდადი ანაბრები „მეტი სარგებელი“ - ე.წ. გამოუთხოვადი ტიპის ანაბრებია, სანაცვლოდ, ამ ტიპის ანაბრებზე განთავსებულ თანხას ვერიცხება ფიქსირებული, მაღალი საპროცენტო სარგებელი წლიურ 12.5%-მდე (ეფექტური 12.5%-მდე), რომლის გატანა კლიენტს შეუძლია როგორც ყოველთვიურად, ასევე ვადის ბოლოს.

რა სიახლეებს უნდა ელოდოს ქართველი მომხმარებელი ფინკა ბანკისგან უახლოეს მომავალში? გაგვანდეთ თქვენი მცირე და დიდი გეგმები.

რა თქმა უნდა, პროდუქტების დივერსიფიკაცია და გამრავალფეროვნება, სერვისების კიდევ უფრო დახვეწა, ჩვენს მომხმარებელთან კიდევ უფრო ახლოს ყოფნა და ფინანსური წიგნიერების ამაღლებაზე ორიენტირებული აქტივობების გაზრდაა ჩვენი პრიორიტეტი.

აგროსექტორის განვითარებასთან დაკავშირებული პროექტები ფინკა ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. წელს ამ

კუთხით სიახლეები გვაქვს - ჩვენს პარტნიორ სადაზღვევო კომპანიებთან ერთად შევქმენით სპეციალური პროდუქტები, მათ შორის აგროდაზღვევის განვადება, რაც დიდი მოთხოვნით სარგებლობს.

წელს დავენერგეთ ბაზარზე უნიკალური პროდუქტი - აგროსტარტაპი - რათა მცირე მეწარმეებს ახალი ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების საშუალება მივცეთ. ამ მიმართულებით არა მართო ფინანსურ, არამედ საკონსულტაციო მხარდაჭერას ვთავაზობთ მომხმარებლებს, მათთან ერთად ვამზადებთ ბიზნესგეგმას და სესხის პირობებს პროგნოზირებული შემოსავლების გათვალისწინებით განვსაზღვრავთ.

კარგად გვესმის, რამდენად საჭიროა ქვეყნის განვითარებისთვის ფინანსური განათლების დონის ამაღლება და ამიტომაც აუცილებლად გავაგრძელებთ ჩვენი მომხმარებლებისთვის ისეთი არაფინანსური სერვისების შეთავაზებას, როგორცაა სხვადასხვა სახის ტრენინგები, რადგან ვხედავთ, რამდენად დიდი მოთხოვნაა ჩვენ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე, კონსულტაციებსა და საინფორმაციო შეხვედრებზე. კიდევ უფრო აქტიურად გავუზიარებთ ცოდნას მომხმარებლებს, რომ მათ მათთვის სარგებლიანი გადაწყვეტილებები მიიღონ.

ფინკა ბანკის ოცი წლის იუბილეს აღნიშვნა მთელ წელს გაგრძელდება სხვადასხვა მიმართულებით და საიუბილეო წელთან დაკავშირებით კიდევ არაერთი პროექტი გვაქვს დაგეგმილი.



**მიხეილარე
მივლიანაძე**

ავტორი:
დიმიტრი ჭავჭავაძე

ქართული საბანკო ისტორია ათწლეულის მიჯნაზე

მიხეილარე კვირიკვაძე უხვია საფინანსო სექტორის კორექციისკენ მიმართული რეგულირებების შემოღების თვალსაზრისით. ნიადაგი აღნიშნული ცვლილებებისათვის რამდენიმე წლის მანძილზე მზადდებოდა, თუმცა განხორციელების ინტენსივობა ბოლო ორ წელზე მოდის. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ცვლილებები თითქმის ერთი მარეგულირებელი უწყების წიაღში აღმოცენდა. თუმცა თუ გავიხსენებთ ბოლო პერიოდის თამამ იდეებს, რომლებიც ფინანსთა მინისტრის მიერ არის გაუფრებული, სარწმუნოა, რომ ამ მიმართულებით გააქტიურება უფრო ფართო საზოგადოებრივი პრობლემების ანარეკლია, ვიდრე მხოლოდ საფინანსო სექტორის კორექციის მიზნით განხორციელებული რეგულაციური მოქმედებები.

კერძოდ, საუბარია არა მხოლოდ ქვეყანაში ყველაზე მგრძობიარე მეწარმე სუბიექტების - მიკრო- და მცირე ბიზნესისათვის ფინანსებთან წვდომის გაუმჯობესებაზე სასესხო თუ საწყისი კაპიტალის დაფინანსების ნაწილში, არა მხოლოდ საფინანსო ინდუსტრიის მხრიდან ამ პრობლემის შესამსუბუქებლად ეფექტიანი ერთჯერადი კონტრიბუციის გაწევის აუცილებლობაზე და არა თუნდაც ახლახან მთავრობის სხდომაზე წარდგენილ ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომლებიც საფინანსო სექტორში მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვის საშუალებას აფართოებს.

საუბარი შეეხება უფრო ფართო ცნებებს: სიღარიბეს, უმუშევრობას და შემოსავლების მწვავე უთანაბრობას ქვეყანაში. ამგვარად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამთავრობო დონეზე იცვლება ძირითადი თხრობის თემატიკა და დღის წესრიგში ადგილს ახალი პრიორიტეტი - სოციალური განზომილება იმკვიდრებს. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ეროვნულ დიალოგში ეკონომიკური ზრდის თემას მალე ეკონომიკური განვითარების თემა ჩაენაცვლება.

რამდენად მნიშვნელოვანია ან საერთოდ შესაძლებელია კი პრიორიტეტების ამგვარი

დიამეტრული ცვლილება ქართულ საფინანსო სივრცეში? საზოგადოებრივ აღქმაში საფინანსო სექტორის ხედვა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ხომ გაიგივებული იყო ევოცენტრისტულ მოდელთან, რომლის თანახმადაც ერთ-ერთი მთავარი საზოგადოებრივი ფასეულობა გულისხმობდა საფინანსო სექტორისათვის მაქსიმალურად, ყველა საშუალებით შესაძლებელი ხელსაყრელი პირობების შექმნას, ახალი თემისების საფუძველზე კი ძირითადი ფასეულობები უკვე ინაცვლებს ფართო საზოგადოებრივი ინტერესების უპირატესი აღიარებისაკენ.

შესაბამისად, არის თუ არა ბოლო დროის მცდელობები დროებითი ხასიათის და წარმოადგენენ თუ არა ისინი მხოლოდ მიმდინარე მიმართულებითი კონიუნქტურის გამომხატულებას?

როგორც ჩანს, იდეები აღნიშნული ცვლილებების თაობაზე არ წარმოადგენენ მხოლოდ ადგილობრივ, ქართულ წიაღში აღმოცენებულ დროებით შეხედულებებს. სავარაუდოა, რომ ცვლილებების ტალღა გაცილებით შორს, გლობალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცენტრებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტებში იღებს სათავეს, რასაც თავისი წინარე ისტორია გააჩნია.

როგორც ცნობილია, 1990-იანი წლების ბოლომდე საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით კი ე.წ. ბრეტონ-ვუდსის სისტემის ინსტიტუტების - მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სახელმძღვანელო პოსტულატები მაქსიმალურად იყო მორგებული ბაზრის უნივერსალურობის თემისს. შემდეგ ამ თემისმა თანდათანობით დეველპაცია განიცადა. საზოგადოებების განსხვავებულ განვითარებას მოვლიანებით სიღარიბისა და უთანაბრობის მწვავე ტენდენციები მოჰყვა გლობალური მასშტაბით, რამაც საერთაშორისო ინსტიტუტების დღის წესრიგში ახალი, სოციალური განზომილება დააყენა.

ამიერიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აღარ წარმოადგენდა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოშლილი სოციალური უსაფრთხოების სისტემების ერთადერთ ქომაგს. მას თანდათანობით შეემატა გაეროს სხვადასხვა ქვე-



დანაცოფი, მსოფლიო ბანკი, დაბოლოს, ნეოლიბერალიზმის ბასტიონი - საერთაშორისო სავალუტო ფონდიც.

ბოლო ათწლეულში სავალუტო ფონდმა ყურადღება მიაპყრო მისთვის უჩვეულო - სოციალური უსაფრთხოებისა და ინკლუზიური ზრდის - თემებს. ფონდში მიიჩნიეს, რომ 2008 წლის საფინანსო კრიზისის, სანედლეულო ფასებისა თუ სხვა ეკონომიკური სტრესების საფუძველზე წარმოქმნილი შედეგები შესაძლოა, ძალზე მძიმედ ასახულიყო დაბალშემოსავლიან სოციალურ ჯგუფებზე. ფონდის კვლევითი საქმიანობის სპექტრში თანდათანობით ასახვა პოვა უთანაბრობის, გენდერული ეკონომიკის, კლიმატის ცვლილებებისა და სხვა აქტუალურმა თემებმა. თავისი დირექტორობის მეორე ვადის დაწყებისა დამი მიძღვნილ ინტერვიუში კრისტინ ლაგარდმა პირდაპირ მიუთითა, რომ იგი ისურვებდა, ფონდმა ჰუმანური იერსახე გამოავლინოს, საკუთარ საქმიანობაში კი უფრო წინ წაიწიოს არათანაბარი შემოსავლებით გამოწვეულ პრობლემებთან მიმართებით. უფრო მეტიც, ქვეყნებში სოციალური უსაფრთხოების სისტემების

მდგრადობა ფონდის მიერ აყვანილ იქნა მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორის რანგში.

ამგვარად, ნათელი გახდა, რომ გლობალურ სამყაროში გარდაუვალი ცვლილებების ხანა დადგა. რაც შეეხება საქართველოს საფინანსო სექტორში მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებებს, ეს კონტექსტი ირიბად იკითხება სავალუტო ფონდის ბოლო მისიის შეფასების დოკუმენტშიც, რომელიც, სავარაუდოდ, ფონდის აღმასრულებელი საბჭოს ივნისის ერთ-ერთ სხდომაზე იქნება განხილული გაფართოებული დაფინანსების პროგრამის ფორმატში. შეფასებაში ხაზგასმულია ისეთი თემები, როგორიცაა მომხმარებელთა უფლებები, მოწყვლადი შინამეურნეობების დაცვა ჭარბვალიანობისაგან, პასუხისმგებელიანი საკრედიტო საქმიანობა, საფინანსო განათლება, დოლარიზაციის შემცირება, ინკლუზიური ზრდის მისაღწევად საჭირო სტრუქტურული რეფორმები და ა.შ.

ფონდთან საქართველოს ურთიერთობის ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში მიღწეულია იმგვარი თანამშრომ-

ლობის ხარისხი, რომ ფონდის რჩევები თითქმის ყოველთვის გაზიარებულია და მაქსიმალური სიზუსტით სრულდება. როგორც ჩანს, ასე იქნება ამჯერადაც.

შესაბამისად, ქართულ საბანკო სივრცეს მოუწევს თანდათანობით გადაწყობა იმ ახალ პრიორიტეტებზე, რომელთაც საერთაშორისო დღის წესრიგი გვთავაზობს მიუხედავად იმისა, რომ ეს იმპულსები გლობალური ეკონომიკის პერიფერიებზე დაგვიანებით მოდის. რა თქმა უნდა, ამგვარი გადასვლა არ იქნება იოლი. მით უმეტეს, იმ გაზრდილი საბაზრო ძალაუფლების ფონზე, რასაც ქართულმა საბანკო სექტორმა ბოლო ათწლეულში მიაღწია.

სარწმუნოა, რომ ახალი ათწლეულის მიჯნაზე საბანკო სექტორი შეძლებს თავის წიაღში საკმარისი ინტელექტუალური რესურსის მოძიებას ახალი ღირებულებების ჯეროვნად გადასაფასებლად და, შესაბამისად, მისი კონტროლის ქვეშ არსებული საფინანსო კაპიტალის უკეთ გამოყენებას საერთო ღირებულებების გაზიარებლად და ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად. F



გიორგი გვახარია
მომხდელი
თარიღი გვალია

ახალი საბანკო რეგულაციები

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ახალი რეგულაციები შეიმუშავა, დახვეწა და დანერგა. ამ რეგულაციების შესახებ სები აკეთებდა განცხადებებს, მაგრამ, როგორც ჩანს, საფინანსო სექტორი მას სრულყოფილად მომზადებული ვერ შეხვდა. ეს დაანონსებული ცვლილებები შეიძლება სამ ბლოკად დავყოთ.

1. ცვლილებები ორბანულ კანონში

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, რომლის მიხედვით ეროვნულ ბანკს მიეცა სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს მთელ საფინანსო სექტორს (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორები, საბროკერო კომპანიები, საფონდო ბირჟები, ცენტრალური და სპეციალიზებული დეპოზიტარები, აქტივების მმართველი კომპანიები, ანგარიშვალდებული საწარმოები, საინვესტიციო ფონდები, საგადახდო სისტემის ოპერატორები და საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, ნაწილობრივ ვალუტის გადამცვლელი ფიზიკური) და ცვლილებები კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის“ შესახებ, რომლებიც 2017 წელს განხორციელდა. მათი დიდი ნაწილი მიმართულია სექტორის ფინანსური მდგრადობის, გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და კორპორაციული მართვის კულტურის ასაძაღვლებად. კიდევ უფრო გაფართოვდა სების უფლებამოსილება და ცვლილების მიხედვით ის ზედამხედველობას გაუწევს არა მარტო ბანკებს, არამედ საბანკო ჰოლდინგებში შემავალ საბანკო ინსტიტუტებს; სრულებით შეიზღუდა ბანკების მიერ ისედაც რეგულირებული, არასაბანკო აქტივების ფლობა და სების საშუალება მიეცა, უფრო ეფექტიანი გახადოს საბანკო ჯგუფების კონსოლიდირებული ზედამხედველობა.

2. ზემოთ აღნიშნულ საკანონმდებლო

ცვლილებებთან ერთად, აღსანიშნავია ცალკეული სიახლეები, რომელთა მიზანია საბანკო ინსტიტუტებში გამჭვირვალობისა და კორპორაციული მართვის სტანდარტების ამაღლება. მაგალითად, ზემოთ აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა აამაღლა კრიტერიუმები ბანკების

აქციონერებისა და ადმინისტრატორების მიმართ და დაამკვიდრა სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის - დამოუკიდებელი დირექტორის ცნება. ამ ცვლილებების მიხედვით, კომერციულმა ბანკებმა აუდიტის კომიტეტი უმრავლესობით უნდა დააკომპლექტონ დამოუკიდებელი დირექტორებით, რაც სამეთვალყურეო საბჭოში მინიმუმ ორი დამოუკიდებელი წევრის არჩევას ნიშნავს. ასევე, გამოირიცხა აღმასრულებელი დირექტორების არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში. ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯები კვალიფიციური ზედამხედველობისაკენ.

2017 წელს დამტკიცდა და უკვე ამოქმედდა ბაზელ 3-ის ჩარჩოზე დაფუძნებული „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი“, რომლის მიხედვითაც ბანკები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია კაპიტალის, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, მენეჯმენტის ანაზღაურებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. „კორპორაციული მართვის დებულება“ და „ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი“, რომელთა მიღებას რეგულატორი უახლოეს მომავალში გეგმავს, კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტებისა და ბანკების ფუნქციონირების გამჭვირვალობის ამაღლებისაკენ არის მიმართული.

3. სიახლეების შემდეგი რიგი შეეხება კომერციული ბანკების უსაფრთხო ფუნქციონირებას.


ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპების“ შესაბამისად, ბაზელ 3-ის ფარგლებში, კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება“ (ცვლილება), „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი“, „სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე“, „კონტრაციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრა“. ასევე, პილარ 2-ის ფარგლებში კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის დამატებითი ბუფერი რისკების შეფასების საერთო პროგრამის (General Risk Assessment Program - GRAPE) მიხედვით და სხვა. ეს

მნიშვნელოვანი და საგრძნობი სიახლეები ბანკებისაგან მოითხოვს კაპიტალის ადეკვატურობის უფრო მაღალ კოეფიციენტს ან შემოსავლიანი აქტივების ზრდის შეზღუდვას, რაც ბანკების აქტივობის შენელებას და მოგებიანობის შემცირებას გამოიწვევს.

2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სების ახალი ინსტრუქცია ფასს 9-ის (IFRS 9) სტანდარტების დანერგვის შესახებ. „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების“ ახალი სტანდარტი მოწოდებულია ჩაანაცვლოს „აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები“ (IAS 39). სების მიერ გამოშვებული შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელო ძირითადად გამომწვლია „ფინანსური ინსტიტუტების“ სასესხო პორტფელის რისკიანობის შეფასებისათვის. არსებითი განსხვავება აქამდე მოქმედ სტანდარტთან მიმართებით ის არის, რომ ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალის რეზერვი უნდა ეფუძნებოდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის, და არა დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს. მომავალში სასურველია, რომ სესხების დარეზერვებისა და კლასიფიკაციის ეროვნული სტანდარტები, რომლებიც პარალელურად არსებობს სების ინსტრუქციის სახით, მაქსიმალურად დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ფასს 9 სტანდარტის ამოქმედება საკმაოდ შრომატევადი პროცესია, რაც გამოიწვევს პერსონალის შრომითი დანახარჯების ზრდას და ახალ ინვესტიციებს პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში. შესაბამისად, ესეც აისახება ბანკების მოგებიანობაზე.

2017 წელს განახლებული რეგულაცია „კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ გულისხმობს ეტაპობრივად, 2018 წლის 31 დეკემბრამდე მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის გაზრდას 50 მილიონ ლარამდე. ასევე, მოსალოდნელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალიზაციის გაზრდისაკენ მიმართული ნორმატიული აქტების გამოშვება.

2018 წლის მაისიდან სებმა შეზღუდა არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო



სესხების გაცემა ბანკის კაპიტალის 25%-ზე მეტი ოდენობით, რაც ბანკებს უბიძგებს, საკრედიტო დაბანდების გაზრდის შანსები სხვა სეგმენტებში ეძებონ. არსებული მეთოდოლოგიით, ასევე, რეგლამენტირებული უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხებისათვის მომსახურების კოეფიციენტი. სესხებზე, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ განსაზღვრულ ლიმიტებს, ბანკებს მკვეთრად გაეზარდათ საზედამხედველო ტვირთი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სექტორი ელოდება ახალ რეგულაციას – სამომხმარებლო სესხებზე მაქსიმალური ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის 50%-ით შემზღუდვის შესახებ. აღნიშნულ ღონისძიებებს სები ახორციელებს „ჭარბვალიანობასთან“ ბრძოლისა და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის გატარების ნაწილში. იმედია, თავისთავად კეთილშობილური ეს მოთხოვნა წინააღმდეგობაში არ მოვა ციფრული ეკონომიკისაკენ ჩვენს ზოგად მისწრაფებასთან. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია მთავრობის ინიციატივა მცირე ბიზნესის გამართივებული დაბეგვრის შესახებ, რაც პოტენციურ მსესხებლებს კანონგარეშე აღარ დააყენებს და ბანკებს საშუალებას მისცემს, ასეთი კატეგორიის მსესხებლები გამართივებული პროცედურებით დააკრედიტონ. ამ ბლოკის სიახლეებიც, ერთი მხრივ, გაზრდის საოპერაციო ხარჯებს და, მეორე მხრივ, შეამცირებს საპროცენტო მარჯას, რაც პირდაპირ აისახება ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მოგებიანობაზე.

მინიმალური რეზერვების მოთხოვნის

გაზრდას (15%-დან, 20%-მდე), ლიკვიდობის ახალ მოთხოვნას და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედებას მოწყვეტა მოზიდული სახსრების გაძვირება და/ან მოგებიანობის შემცირება.

მას შემდეგ, რაც სებმა თავისი რეგულირების ქვეშ მოაქცია ონლაინსესხების კომპანიები, პრუდენციული ნორმები გაავრცელა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, ეს გახდა სიგნალი, რომ დაიწყებოდა ამ სეგმენტის სწრაფი კონსოლიდაცია, კაპიტალიზაციის ზრდა და არაკვალიფიციური მოთამაშეების ბაზრიდან გასვლა, რასაც ახლა ჩვენ თვალს ვადევნებთ. სები ასევე აკეთებს განცხადებას, რომ შემოაქვს „სესხის გამცემი“ სუბიექტის დეფინიცია და მასში მოხვედრილი სუბიექტებიც დაექვემდებარებიან რეგულირებას. ამ პროცესში ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ბაზრის ყველა, დიდი და პატარა მოთამაშისათვის თანაბარი და სამართლიანი ეკოსისტემის შექმნა.

ცალკე შეიძლება საუბარი საფონდო ბაზრის ინდუსტრიისა და კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე, მაგრამ ამ მიმართულებით მონაწილეთა მიერ გადადგმული ნაბიჯები მოთელვას უფრო ჰგავს.

ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს, რომ საფინანსო ინსტიტუტების ბაზარზე ახალი ეტაპი იწყება – ლიბერალურიდან გადავიდებით რეგულირებად რეჟიმზე. აქამდე ქართული ბანკების ცალკეული წარმომადგენლების წარმატებებისათვის წინა მიდგომას ხელი არ შეუშლია, თუმცა მთლიანად საფინანსო ინსტიტუტებისათვის დრო მოვიდა განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად.

რას მოიბანს ეს სიახლეები?

2019 წელს საბანკო-საფინანსო სექტორის სურათი 2017 წლის ვითარებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება. მოკლევადიან პერიოდში ეს მოიტანს საცალო დაკრედიტების შენელებას, სექტორში ხარჯების ზრდას, კაპიტალზე მოთხოვნის ზრდას და მოგებიანობის შემცირებას, გრძელვადიან პერიოდში კი, იმედი ვიქონიოთ, ქართული საფინანსო სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებას. F



გიორგი გოგოლაშვილი
მომხმარებლის
მოვლენები

დავით კლდიაშვილი

მომხმარებელთა უფლებების სადარჯოჯი

საკრედიტო პროდუქტების ბაზარზე ორგანიზაციებს ხშირად აკრედიტებენ

იმის გამო, რომ საკუთარ კვალიფიკაციასა და ფინანსურ ბაზარზე უპირატეს მდგომარეობას მომხმარებლებისთვის ბუნდოვანი ან კაბალური სახელშეკრულებო ურთიერთობისთვის იყენებენ. ამის გამო საზოგადოებაში მუდმივად არის დისკუსია მომხმარებლისა და საკრედიტო პროდუქტის გამცემი ორგანიზაციების ინტერესების დასაბალანსებლად მარეგულირებელი ორგანოს ჩარევის აუცილებლობის შესახებ.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამ ბალანსის მისაღწევად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. პირველი რეგულაცია მომხმარებელსა და სესხის გამცემ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად 2011 წელს იქნა მიღებული, 2017 წელს კი აღნიშნულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

2011 წელს მიღებული რეგულაციები. სა-
მომხმარებლო კრედიტების გაცემის დროს მომხმარებელთა უფლებების განსაზღვრისთვის და საკრედიტო პროდუქტების გამცემი ორგანიზაციებისთვის შეზღუდვების დაწესების მიზნით, ევროკავშირში მოქმედებს 2008 წლის დირექტივა 2008/48/EC. სწორედ ამ დირექტივასთან შესაბამისობას ისახავდა მიზნად ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის ბრძანება, რომლითაც კომერციული ბანკის მიერ სამომხმარებლო სესხების გაცემისას მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობის რიგი საკითხები სპეციფიკურად დარეგულირდა.

რეგულაცია ეხებოდა ფიზიკური პირებისათვის ყველა სახის სამომხმარებლო კრედიტის, მათ შორის ოვერდრაფტისა და საკრედიტო ბარათის გაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს, როდესაც კრედიტის მთლიანი თანხა აღემატება 300 ლარს და ნაკლებია 50 ათას ლარზე (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში), ასევე, ფიზიკური პირების ყველა სახის სადეპოზიტო ხელშეკრულებებს, რომელთა პირველადი შენა-

ტანი ნაკლებია 50 ათას ლარზე (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში).

რეგულაცია რამდენიმე მიმართულებაზე იყო აქცენტირებული - უზრუნველყოფდა მომხმარებლის მეტ ინფორმირებულობას როგორც საკუთარი, ისე სესხის გამცემი ბანკის უფლებების შესახებ. ეს კი მნიშვნელოვანი იყო, რადგან ხშირად საკრედიტო პროდუქტებს თან სდევს ისეთი ხარჯი, რომელიც რეალურად უფრო აძვირებს სესხით სარგებლობას, ვიდრე ეს ნომინალური საპროცენტო განაკვეთით ჩანს. არსებობს გადასახადები და მხარეთა უფლებები, რომელთა უყურადღებოდ დატოვებამ შესაძლებელია მომხმარებელი მისთვის მოულოდნელი ფინანსური ტვირთის წინაშე დააყენოს. ამის თავიდან ასაცილებლად რეგულაციით განისაზღვრა ვალდებულება, რომ მომხმარებლისათვის ცნობილი გახდეს სესხის „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“, ანუ მან უნდა იცოდეს, სესხის თანამდევი ყველა ფინანსური ხარჯის (გაცემის საკომისიო, ანგარიშის მომსახურების საკომისიო) გათვალისწინებით რეალურად რამდენ პროცენტს იხდის სესხით სარგებლობისათვის. ასევე კომერციულ ბანკებს დაევალიათ, ხელშეკრულების პირველ გვერდებზე გამოეტანათ ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ინფორმაცია, რათა მომხმარებელს ყურადღება მიექცია მისთვის მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო პირობებისთვის.

გარდა ამისა, გარკვეულწილად შეიზღუდა მხარეთა სახელშეკრულებო ავტონომიურობის პრინციპი. თუ რეგულაციამდე სესხის გამცემისა და მიმღების უფლება-მოვალეობებს ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპები/ნორმები არეგულირებდა, ეროვნულმა ბანკმა დააკონკრეტა გარკვეული პირობები და მხარეთა უფლება-მოვალეობები, მაგალითად, ხელშეკრულების ფორმა, მომხმარებლისათვის აუცილებლად მისაწოდებელი ინფორმაცია და ა.შ.

ამავე ნორმატიული აქტით განისაზღვრა ბანკების ვალდებულება, რომ მიიღონ და დადგინონ წესით/ვადაში განიხილონ მომხმარებლებისაგან შემოსული პრეტენზიები.

2017 წელს მიღებული ცვლილებები. ახალი, უფრო ფართო და მოცულობითი ცვლილებები განხორციელ-

და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით 2017 წელს, როცა ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის ბრძანება „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“. თუ 2011 წელს მიღებული რეგულაციის საფუძველად ევროდირექტივა შეგვეძლო მიგვეჩინა, 2017 წლის რეგულაციები ეროვნულმა ბანკმა სახელდობრ საქართველოში არსებული გამოწვევების საპასუხოდ მიიღო. ამის დასტურია ისიც, რომ, მაგალითად, ევროდირექტივისაგან განსხვავებით, რომელიც კონცენტრირდება სამომხმარებლო სესხებზე, ეროვნული ბანკის ახალმა რეგულაციამ თითქმის ყველა ტიპის სესხი მოიცვა.

რეგულირებას დაექვემდებარა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხებიც. სამოქალაქო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან ერთად კიდევ უფრო დავიწროვდა მხარეთა სახელშეკრულებო ავტონომიურობის ფარგლები (მაგალითად, დადგინდა წინსწრებით დაფარვის საკომისიოს მაქსიმალური ოდენობა, ეფექტური საპროცენტო სარგებლის ზედა ზღვარი), ცვლილებები შეეხო ასევე სესხების რეკლამირებას იმისათვის, რომ მომხმარებელმა რეკლამით უფრო ზუსტი ინფორმაცია მიიღოს სესხის პირობების შესახებ.

ჯერ კიდევ 2011 წელს მიღებული რეგულაციის დროს ეროვნულ ბანკში შეიქმნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილება, რომელიც საფინანსო ორგანიზაციების მიერ რეგულაციების დაცვას ზედამხედველობს. განყოფილება ასევე გარკვეული მედიატორის ფუნქციას ასრულებს საფინანსო ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის, ესმარება მომხმარებელს საფინანსო ორგანიზაციისაგან ინფორმაციის თუ ახსნა-განმარტების გამოთხოვაში.

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, 2018 წლის მარტში კომერციულ ბანკებს სულ 446 პრეტენზიით მიმართეს, რომელთაგან 251 უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული საფინანსო ორგანიზაციის მიერ, 56 დაკმაყოფილდა, 132-ის განხილვა არ იყო დასრულებული, 7 შემთხვევაში პრეტენზია საფუძვლიანად



იქნა მიჩნეული, თუმცა პრობლემა ვერ აღმოიფხვრა. რაც შეეხება თავად პრეტენზიების შინაარსს, იმავე სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მეტი – 163 პრეტენზია შეეხებოდა ტრანზაქციებს; ადმინისტრაცია/მომსახურებას – 81, ჯარიმებსა და ვადაგადაცილების საკომისიოებს – 48, ხოლო მომსახურების საკომისიოს – 44.

როგორც ყველა რეგულაციას, აღნიშნულსაც თან ახლავს რისკები ან/და თანამდევნი ეფექტები. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით რეგულაციების დანერგვა და შემდგომ მათი შესრულების დაცვა დაკავშირებულია ფინანსურ დანახარჯებთან, რამაც შესაძლებელია, საბოლოოდ ასახვა საფინანსო პროდუქტის ფასში ნახოს. რეგულაციაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მოთხოვნა, რომლებიც რეალურ პრაქტიკასთან შეუსაბამოა, და მათი ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში დამატებით ბარიერებსა და სირთულეებს თავად მომხმარებლისათვის ქმნის.

რეგულაციებს ასევე წინ აქვს ე.წ. „სასამართლო ტესტი“, ანუ მომხმარებელსა და ფინანსურ ორგანიზაციას შორის დავის შემთხვევაში როგორ მოხდება რეგულაციების განმარტება სასამართლოს მიერ, რამდენად დაემთხვევა ეროვნული

ბანკისა და სასამართლოს მიდგომები და შეფასებები თუნდაც იმ საკითხში, თუ რა ინფორმაციაა მნიშვნელოვანი მომხმარებლისათვის და რა – არა. თავად დიდი პასუხისმგებლობა აქვს ეროვნული ბანკს – რამდენად ეფექტიანად და ადეკვატურად განახორციელებს რეგულაციების ზედამხედველობას, მოხდება თუ არა დარღვევების მნიშვნელობისა და კრიტიკულობის სათანადო შეფასება და იმის მიხედვით რეაგირება. ამ მომენტისათვის ეროვნული ბანკი ამ გამოწვევას დამაკმაყოფილებლად უმკლავდება. დაბოლოს, ასევე ეროვნული ბანკის წინაშე მდგარი ამოცანაა ბალანსის შენარჩუნება – ერთი მხრივ, დაიცავს მომხმარებელთა უფლებები და, მეორე მხრივ, მოსალოდნელზე და ლოგიკურზე მეტად არ შეზღუდოს ან ჩაერიოს მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებში და ამით, პირიქით, უარყოფითი შედეგი არ გამოიწვიოს. ან როგორ მოავგარებს იმ პრობლემებს, რომელთაც წარმოშობს ბაზრის ზოგიერთი მონაწილის სურვილი, სხვადასხვა სახით თავი აარიდოს შეზღუდვებს (მაგალითად, სესხის ლიზინგად „შეფუთვა“ და ამით რეგულაციისათვის თავის არიდება). მომავალი წელი სხვა ბევრ საკითხთან ერთად ამ კუთხითაც უფრო მეტ სიყვარულს შეიტანს. F

მეტი რისკის დაზღვევა - მეტი უსაფრთხოებისთვის!

სამშენებლო ინდუსტრია და უძრავი ქონების ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა საქართველოში. ზრის ტენდენცია იკვეთება არა მხოლოდ საცხოვრებელი სახლების, არამედ ისეთი მსხვილი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, როგორცაა ჰესები, სასტუმრო კომპლექსები, საგზაო ინფრასტრუქტურა და ა.შ. თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკურ ჭრილში განაწილების სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, 2013 წლიდან 2017 წლის ჩათვლით რეკორდული ზრდა ფიქსირდება მშენებლობის, უძრავი ქონების, სასტუმროებისა და რესტორნების ჭრილში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ინდუსტრიის განვითარებას. მონაცემები რიცხვებში ასე გამოიყურება: 2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშენებლობის სექტორში 79,5 მილიონ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2017 წელს 294,6 მილიონი დოლარი დაფიქსირდა. უძრავ ქონებაში ინვესტიცია 2013 წელს შეადგენდა 62,3 მილიონ დოლარს, ხოლო 2017 წლისათვის - 159,8 მილიონს, რაც შეეხება სასტუმროებსა და რესტორნებს, 7,1 მილიონ დოლარიდან 2017 წლისათვის ინვესტიციების რიცხვმა 90 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

ავტორი: სალომე ჭიკაშვილი



მოგახსენებთ, მშენებლობა კომპლექსური პროცესია, სადაც პოტენციურად რისკი შესაძლოა წარმოიქმნას რამდენიმე სხვადასხვა ხდომილებით. მაგალითად: სტიქიური მოვლენების შედეგად სამშენებლო ობიექტის ანდა მის ტერიტორიაზე განთავსებული ტექნიკის დაზიანება და განადგურება, არაწორი საინჟინრო და კონსტრუქციული დაპროექტების ანდა მშენებლობის პროცესში დაშვებული შეცდომების შედეგად შენობის ნაწილობრივი ან სრული ნგრევა/დაზიანება, სპეცტექნიკის მოულოდნელი დაზიანების შედეგად სამშენებლო პროცესის შეფერხება, დასაქმებული პერსონალის დაშავება უბედური შემთხვევის შედეგად და სხვა მრავალი. ასეთ დროს, ბუნებრივია, ზარალდება არა მხოლოდ სამშენებლო კომპანია, არამედ მისი ქვეკონტრაქტორები, მომუშავე პერსონალი, დამკვეთი (ინვესტორი) და მესამე პირები. ამიტომ, როდესაც მშენებლობის ფინანსურ უსაფრთხოე-

ბაზე ვსაუბრობთ, დაზღვევის როლი არ უნდა გამოგვრჩეს. დროთა განმავლობაში საქართველოში სამშენებლო რისკების დაზღვევაზე უფრო მეტი დეველოპერი დაფიქრდა, ვინაიდან დაზღვეული მშენებლობა ზრდის მომხმარებლის (ინვესტორის) ნდობას კონკრეტული სამშენებლო კომპანიისა და დეველოპერის მიმართ. სამშენებლო რისკების დაზღვევისას, სადაზღვევო კომპანია აფასებს რისკებს, შესასრულებელ სამუშაოს, შეისწავლის კონტრაქტორების გამოცდილებას და განსაზღვრავს, რა სირთულისაა ესა თუ ის მშენებლობა. სამშენებლო სფეროში სადაზღვევო კომპანიის ჩარევა მიყენებული ფინანსური ზარალის ან პასუხისმგებლობით დაკისრებული ხარჯების ანაზღაურებისა და დამკვეთის (ინვესტორის) ფინანსური სიმშვიდის უზრუნველყოფის გარანტიაა, რაც მეტ საიმედოობას სძენს პროექტის განხორციელებას. იმის გასარკვევად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაზღვევა სამშენებლო ინდუსტრიაში, რა ტიპის პროდუქტების შეძენაა შესაძლებელი და როგორია მოთხოვნა სამშენებლო ბიზნესისადმი, Forbes Georgia „თიბისი დაზღვევის“ კორპორაციული ბიზნესის მენეჯერს, გიორგი ტალახაძეს ვსაუბრა.

ბატონო გიორგი, პირველ რიგში ავუხსნათ მკითხველს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი მშენებლობის დროს დაზღვევა...

სამშენებლო რისკების დაზღვევამ მეტი აქტუალურობა შეიძინა. ბოლო წლების მანძილზე, რთული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, სხვადასხვა სახის პრობლემები წარმოიქმნა. აქ შესაძლოა, გავიხსენოთ რამდენიმე შემთხვევა, რომელთა დროსაც სამშენებლო ობიექტი დაზიანდა, ასევე ზიანი მიადგა მშენებლობაზე დასაქმებულ პირებს და გარშემო არსებულ ინფრასტრუქტურას. მომხდარი შემთხვევების დიდი ნაწილი სწორედ სტიქიურ მოვლენებს უკავშირდება. ასევე ხშირია სამშენებლო უბნებზე უსაფრთხოების ნორმების

დაუცველობა, რასაც, სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში ფატალურ შედეგამდე მივყავართ. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, კომპანიას საკმაოდ დიდი ზარალი ადგება. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ აუცილებელია როგორც მშენებლებმა, ასევე დამკვეთებმა (ინვესტორებმა) დაინახონ დაზღვევის აუცილებლობა.

სამშენებლო ბიზნესის კუთხით, რა ტიპის სადაზღვევო პროდუქტებს სთავაზობთ თქვენს პოტენციურ კლიენტებს?

სამშენებლო ბიზნესის კუთხით „თიბისი დაზღვევა“ მოიცავს რამდენიმე სხვადასხვა დაფარვის პროდუქტს:

- სამშენებლო რისკების დაზღვევას, რაც გულისხმობს სამშენებლო ობიექტის, მასზე განთავსებული დროებითი კონსტრუქციების, მანქანა-დანადგარების, ინვენტარის, სამშენებლო მასალებისა და მასალების მარაგების ზიანის ანაზღაურებას;
- სამშენებლო ობიექტზე დასაქმებულების უბედური შემთხვევისგან დაზღვევას, რომელიც ანაზღაურებს სამედიცინო დახმარების ხარჯს ან განსაზღვრულ თანხას უხდის დასაქმებულს/მისი ოჯახის წევრებს.
- მშენებლობის პროცესში მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევა, რომლითაც ანაზღაურდება მესამე პირთა მიმართ მიყენებული ქონებრივი ან სხეულის დაზიანება.

ამასთან ერთად, დამკვეთს (ინვესტორს) დამატებით შეუძლია შეიძინოს მშენებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შესრულებლობის დაზღვევა (ე.წ. შესრულების გარანტია). ამ პოლისით დამკვეთი შეძლებს იმ ფინანსური ზარალის კომპენსაციას, რომელიც მას მიადგა მშენებლის მიერ ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

აქტუალურობიდან გამომდინარე, ხომ არ ფიქრობთ, რომ სამშენებლო სექტორისთვის სავალდებულო უნდა გახდეს დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა?

ზოგადად, ისეთ სექტორებში, სადაც სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე უბედური შემთხვევის რისკი მაღალია, ვფიქრობ, სასურველია, დამსაქმებელმა შეიძინოს აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტი.

რომელ პროდუქტებზეა ყველაზე მეტი მოთხოვნა, და პირიქით?

დაზღვევის შეძენის პრაქტიკა საკმაოდ განსხვავდება და ეს ძირითადად გამომდინარეობს დამკვეთის მიერ მშენებლისათვის წამოყენებული მოთხოვნებიდან. ხშირად, როდესაც დამკვეთი უცხოელი ინვესტორია, სამშენებლო კომპანიას ევალება, შეიძინოს იმ ძირითადი რისკებისაგან დაზღვევა, რაც ზემოთ უკვე ვახსენეთ. სამწუხაროდ, ქართველი დეველოპერული კომპანიების შემთხვევაში, მოთხოვნა დაზღვევაზე არაერთგვაროვანია და ლიმიტირებული. ძირითადად მშენებ-



ლები სამშენებლო ტექნიკას და შესასრულებელი სამუშაოების მხოლოდ ნაწილს აზღვევენ. ყველაზე ნაკლებად მოთხოვნილი სადაზღვევო პაკეტი კი, სამწუხაროდ, დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევაა. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ქართველი ინვესტორები, დეველოპერები და მშენებლები უცხოურ სტანდარტებს გაიზიარებენ და პოტენციურ რისკებს სწორად შეაფასებენ.

ხშირად გიწევთ მსხვილ კლიენტებთან ურთიერთობა, თქვენი გამოცდილებით, რა არის მიზეზი, რატომ არ აზღვევენ თავიანთ პასუხისმგებლობას?

მთავარი მიზეზი ინფორმაციისა და გამოცდილების ნაკლებობაა. მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ სადაზღვევო კომპანიებმაც მნიშვნელოვანი სამუშაო უნდა გასწიონ. ჩვენ უნდა დავანახოთ პოტენციურ კლიენტს დაზღვევის საჭიროება და ღირებულება.





განვითარების
სტრატეგია

ავტორი: გიორგი გვიშვილი

ღარიბზაცის ტრენდი

საქართველოში სუსხებსა და დემო-
ზიტებში ღარის წილი იზრდება. 2017 წლიდან
ეროვნულმა ბანკმა დოლარიზაციის შემცირე-
ბის მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები
გადადგა: აიკრძალა 100 ათას ლარამდე სესხის
ლარში გაცემა, სავალდებულო გახდა ლარში
ფასდადება, დაიწყო სესხების გაღარების ერ-
თჯერადი პროგრამა და ა.შ.. ღარიზაციის პოზი-
ტიური დინამიკა, შეიძლება, სწორედ ღარი-
ზაციის პოლიტიკის გავლენად მივიჩნიოთ. ამ
კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,
რომ ადგილობრივ ვალუტაში დაკრედიტების
წილი უმეტესწილად სწორედ ფიზიკური პირე-
ბის სესხების ღარიზაციის გამო გაიზარდა.

თუმცა ხშირად მაინც ისმის შეკითხვა,
რამდენად სწორად მოიქცა ეროვნული ბან-
კი, როდესაც ღარიზაციის პოლიტიკისთვის
რეგულაციების გზა აირჩია? გასაკებია, რომ
ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება
ხშირად საკამათოა. თუმცა, ვფიქრობ, სა-
ქართველოში შედარებით მცირე ოდენობის
სესხების უცხოურ ვალუტაში გაცემის აკრძალ-
ვა მართებული გადაწყვეტილება იყო. მიზეზი
მარტივია: საბანკო სექტორში ფიზიკური
პირებისთვის გაცემული შედარებით მცირე
ოდენობისა და ვადის მქონე სესხები მთლიან-
ად ისედაც ლარში იყო გაცემული, რასაც ვერ
ვიტყვივით არასაბანკო სექტორზე, სადაც მოკ-
ლევადიანი სავალდებულების უცხოურ ვალუ-
ტაში გაცემა უდავოდ პრობლემური გახლდათ.
ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტიც,
რომ მსესხებელთა მნიშვნელოვან ნაწილს შე-
მოსავალი უცხოურ ვალუტაში აქვს. ამდენად,
პორტფელის სრული ღარიზაცია ოპტიმალური
არ არის.

ეროვნული ვალუტის წილის ზრდის მიმარ-
თულებით პროგრესი მართლაც აშკარაა, თუმ-

ცა, თავისთავად, ღარიზაცია უფრო გრძელვადიანი
პროცესია და ვფიქრობ, შედეგებს ეტაპობრივად
უნდა ველოდეთ.

ღარის მიმართ ნდობის ამაღლების ერთ-ერთი
მთავარი წინაპირობა, ვფიქრობ, მაინც მაკროეკო-
ნომიკური სტაბილურობაა, რასაც საქართველომ
წლების წინ მიაღწია. ამასთან, როგორც ჩანს,
90-იანი წლების პიპერინფლაციის ნეგატიური ზე-
გავლენა დღემდე მნიშვნელოვანია.

ის საპროცენტო განაკვეთები, რაც დღეს ლარში
განთავსებულ დეპოზიტებსა და მთავრობის ფა-
სიან ქაღალდებზეა, განსაკუთრებით გრძელვადი-
ან პერიოდში, საკმაოდ მოგებიანი ინვესტიციის
განხორციელების საშუალებას იძლევა. ამ მხრივ,
საყურადღებოა, რომ 2016 წლის ბოლოსთან შედა-
რებით, იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტე-
ბის დოლარიზაცია დაახლოებით 35 პროცენტული
პუნქტით შემცირდა. სავარაუდოდ, მსგავს დინამი-
კას ფიზიკური პირების დეპოზიტების შემთხვევაში,
შედარებით მეტი დრო დასჭირდება.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, აქცენტი გაც-
ვლითი კურსიდან პროდუქტების ფასებზე უნდა
გადავიტანოთ. საქართველოს ეროვნული ბანკის
ინფლაციის ტარგეტირების ჩარჩოვ სწორედ ამ
მიზანს ემსახურება. თავის მხრივ, თიბისი ბანკი
აქტიურად სწავლობს საერთაშორისო გამოცდი-
ლებას: საინტერესოა ისრაელის, ასევე სამხრეთ
ამერიკის არაერთი ქვეყნის მაგალითი, სადაც
ინფლაციით ინდექსირებული საბანკო პროდუქ-
ტები საკმაოდ პოპულარულია და ხშირად უცხოურ
ვალუტაში გრძელვადიანი დაკრედიტების ეფექ-
ტიან ალტერნატივას წარმოადგენს. თუ ლარში
დაზოგვას ვალუტის მსყიდველობითი უნარის
დაკარგვის მაღალი რისკი უშლის ხელს, შესაძლოა,
ინფლაციისგან დაცული პროდუქტების შემოღებამ
ღარიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შე-
ასრულოს. **F**



გამომწერეთ ახლავა
ყველაზე გავლენიანი ქართული ბიზნესგამოცემა

Forbes GEORGIA



6 თვე – 35 ლარი, 12 თვე – 69 ლარი

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ TBC ბანკის
ნებისმიერ ფილიალში: ს.ს. Media Partners
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ანგარიშის ნომერი: GE09TB722 563 608 01 00001
ს.კ. 404408690
ან
ან TBC Pay Box-დან
(სერვისი: სხვადასხვა - პრესა - ფორბსი)

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: ტელ.: +995 (32) 223 77 07

მეტი ლარი

კვლევაში, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2015 წელს მოამზადა, 42 ქვეყნის მაგალითი განიხილეს, რომელთა მთავრობები ეკონომიკის დედოფარიზაციას ცდილობდნენ. შედეგებმა აჩვენა, რომ ოთხი ათეული სახელმწიფოდან მიზანს მხოლოდ 11-მა მიაღწია, 31 ქვეყანაში კი რეფორმა ჩავარდა. დოლარიზაციის შემცირებას ბოლო წლებია, საქართველოც ცდილობს. სახელმწიფომ ამჯერად რეგულაციების გზა აირჩია. შედეგად, 2016 წლის მიწურულს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარიზაციის 10-პუნქტიანი გეგმა წარადგინა და მისი განხორციელება დაიწყო.


ავტორი: სალომი მცხვარიშვილი

დედოლარიზაცია დღის წესრიგში პირველად არ დამდგარა. ე.წ. ლარიზაციის პოლიტიკა უფრო ადრე, 2010 წელს, დაიწყო: „ჩვენი თვითმიზანია, რომ არსებობდეს არჩევანის თავისუფლება და ლარისადმი მაღალი ნდობა“, – ამბობდა მაშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე.

ლარისადმი მაღალი ნდობა პრიორიტეტად დატოვა საქართველოს ეროვნული ბანკის ახალმა ხელმძღვანელობამაც, თუმცა 10-პუნქტიანმა გეგმამ რეგულირების გზა აირჩია და რიგ საკითხებში მომხმარებელს არჩევანი არ დაუტოვა: სებმა 100 ათას ლარამდე სესხების უცხოურ ვალუტაში გაცემა

აკრძალა; სავალდებულო გახდა უძრავი ქონების რეალიზაციისას ლარში ფასდადება; მთავრობამ მოსახლეობას უცხოურ ვალუტაში აღებული სესხების გაღარებისკენაც მოუწოდა, სამაგიეროდ კი ამ სესხების სუბსიდირება დაიწყო. ახალმა რეგულაციებმა გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო. ლარიზაციის პროგრამის დაწყებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დოლარიზაცია 65.3%-დან 55.1%-მდე (2016 წლის აპრილი) შემცირდა. რაც შეეხება არასაბანკო დეპოზიტების დოლარიზაციას, 2016 წლის დეკემბერში 71.4% იყო დოლარში განთავსებული, 2018 აპრილში კი – 62.4%.

წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე



მთავრობის, საექსპერტო წრეების თუ კერძო სექტორის, მათ შორის, კომერციული ბანკების შეფასებები დედოფარიზაციის სხვადასხვა ასპექტზე ფოკუსირდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი არსებული მაჩვენებლით კმაყოფილია, თუმცა ადასტურებს, რომ დოლარიზაცია და ინკლუზიური ზრდა ქვეყნის მთავარ გამოწვევებად რჩება.

„თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე გიორგი შავიძე ამბობს, რომ ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება ხშირად საკამათოა, თუმცა 100 ათას ლარამდე სესხების უცხოურ ვალუტაში გაცემის აკრძალვა მართებული

გადაწყვეტილება იყო. ბანკირის თქმით, საბანკო სექტორში ფიზიკური პირებისთვის მცირე ოდენობისა და ვადის სესხები ისედაც ლარში გაცივმოდა, რასაც არასაბანკო სექტორზე ვერ ვიტყვი. მისივე თქმით, მოკლევადიანი საცალო სესხების უცხოურ ვალუტაში გაცემა პრობლემური სწორედ არასაბანკო სფეროში იყო.

ამავე აზრზეა „ბაზისბანკის“ გენერალური დირექტორი დავით ცაავა. ბანკირი მიიჩნევს, რომ ლარიზაცია თავისთავად არ მოხდება, ამიტომ ამ პროცესს „გარკვეული ხელშეწყობა სჭირდება“. რაც შეეხება დოლარიზაციის შემცირებას დეპოზიტების მიმართულებით, სადაც ეროვნულ ბანკს რეგულაციები

არ დაუწესებია, დავით ცაავა ფიქრობს, რომ ლარის მიმართ ნდობა გაზრდილია. დეპოზიტების ლარიზაციის ზრდის კიდევ ერთ მიზეზად ბანკირი ლარში ანაბრებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს ასახელებს.

ეკონომისტი აკაკი ცომაია ეროვნული ბანკის პოლიტიკას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ უწყების მიერ შემოთავაზებული გეგმით ლარიზაცია ვერ მოხდება. მისი მთავარი არგუმენტი ასეთია: მოსახლეობა ეროვნულ ვალუტას არ ენდობა. ეკონომისტის აზრით, დაბალი ნდობის პირობებში რაც უფრო გაიზრდება ლარში სესხების მოცულობა, მით მეტად გაიზრდება ინფლაციური და ლარის გაუფასურების რისკებიც (რადგან ასეთ დროს მატულობს ლარის დოლარში კონვერტაციის მსურველთა რაოდენობა).

„ეს ზრდის ინფლაციისა და ლარის გაუფასურების მოლოდინს, რაც საერთო ჯამში, სხვა თანაბარ პირობებში, საქართველოს ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის პერმანენტულ გამკაცრებას აიძულებს. შედეგი არის ის, რომ გრძელვადიან პერიოდში სესხები შემცირდება. შესაძლოა, სები წავიდეს სხვა გზით და დაადგინოს სესხის გაცემის მკაცრი წესები, რასაც აკეთებს კიდევ. ამ შემთხვევაში, როგორც ინფლაციური, ისე ლარის გაუფასურების წნეხი შემცირდება და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების აუცილებლობის წინაშე შესაძლოა, აღარც დავდგეთ, მაგრამ სესხების რაოდენობა მაინც შემცირდება“, - განმარტავს ეკონომისტი.

ლარიზაციის 10-პუნქტიანი გეგმის კრიტიკოსები თავის დროზე სესხების გაძვირებასაც პროგნოზირებდნენ. თუმცა, თუ სესხებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს გადავხედავთ, განსაკუთრებული ცვლილებები არ ჩანს. ბოლო, აპრილის მონაცემებით კი ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების წილი უკვე საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა 15.9% შეადგინა, რაც ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ლარიზაციის 10-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა სესხების გალარების პროგრამაც. ის ფიზიკური პირების უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი დოლარით დენომინირებული საბანკო სესხების ნებაყოფლობით გალარებას ითვალისწინებდა. პროგრამის ფარგლებში, მთავრობამ შეღავათიანი კურსით სესხების გალარება დაასუბსიდირა, ხოლო ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს გალარებისთვის საჭირო დოლარი მიაწოდა. პროგრამის განმაგვლებამ 400 მილიონი დოლარის სასესხო პორტფელიდან სულ 78.7 მილიონი დოლარის მოცულობის სესხი გალარდა. მთავრობის სუბსიდის მოცულობამ კი, დაგეგმილი 65 მილიონის ნაცვლად, 15.7 მილიონი ლარი შეადგინა.

ტენდენციაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს აკაკი

ცომაია. მისი განმარტებით, მსესხებლების ინტერესს არ წარმოადგენდა სესხის გალარება, რასაც ორი მიზეზი აქვს:

ა) ლარის სესხზე სარგებლის განაკვეთი მაღალია და ბ) სესხის აღების მომენტიდან ლარის კურსი იმდენად შეიცვალა, რომ ლარში გადაყვანილი სესხის ძირი საკმაოდ დიდ მოცულობაზე გადიოდა. „ამიტომ, პროგრამის განსახორციელებლად ახალი მექანიზმი და მთავრობამ სესხი დაასუბსიდირა. ეს მოქმედება ხარჯი-სარგებლის ჭრილში გაგანალიზებთ: არავის ტვირთი არ შემსუბუქებულა იმის გამო, რომ სესხი ძველი კურსით დაიფარა. გალარების მომენტში, სესხის გადასახდელი ძირი დოლარში კვლავ დარჩა იმის ეკვივალენტური ლარში, როგორც ეს დაფიქსირდა სესხის აღების მომენტში. მსესხებლები დაზარალდნენ შუალედში, რადგან ლარის გაუფასურების გამო მათ შემოსავლის უფრო დიდი მსხვერპლის გაღება მოუწიათ როგორც პროცენტის, ისე ძირის მომსახურებაზე, ვიდრე ისინი ამას ვარაუდობდნენ სესხის აღების მომენტში. ხოლო აღნიშნული ზარალის კომპენსაცია არ მომხდარა“, - გვიხსნის ეკონომისტი.


განსხვავებული შეფასებების მიუხედავად, ყველა მხარე თანხმდება, რომ ლარიზაცია გრძელვადიანი პროცესია და შედეგებს ეტაპობრივად უნდა ველოდოთ. ამ პროცესში კი ლარის მიმართ ნდობის ამაღლება უმნიშვნელოვანესია, რის მისაღწევადაც ყველა მხარეს საკუთარი მოსაზრება გააჩნია.

„თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე გიორგი შაგივე ფიქრობს, რომ ლარიზაციის პროცესში შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი ინფლაციისგან დაცული პროდუქტების შემოღებამ შეასრულოს. ბანკირის განმარტებით, თუ ლარში დაზოგვას ხელს უშლის ვალუტის მსყიდველობითი უნარის დაკარგვის მაღალი რისკი, მაშინ ინფლაციით ინდექსირებული საბანკო პროდუქტები შესაძლოა, გამოსავალი იყოს, როგორც ეს ისრაელისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების შემთხვევაში მოხდა. „ბაზისბანკის“ გენერალურ დირექტორს ამოსავალ წერტილად ლარის სტაბილურობა, ეკონომისტ აკაკი ცომაიას კი - ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაღალი ეკონომიკური ზრდა მიაჩნია.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე დოლარიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის პირდაპირი კავშირი არ იკვეთება. ჩანს, რომ ამ მიმართებაზე გავლენას სხვა ფაქტორებიც ახდენს. მათ შორის, ყველაზე მეტად ალბათ არა მხოლოდ ზრდა, არამედ, სტაბილური ეკონომიკური ზრდა, რაც ძალიან ცვალებადია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამბობს, რომ დედოლარიზაციის პროცესში წარმატების უნიკალური რეცეპტი არ არსებობს. ცნობილია მხოლოდ ინგრედიენტები, რომლებიც დედოლარიზაციის სტრატეგიის აუცილებელი შემადგენე-

დოლარიზაცია და ეკონომიკური ზრდა



ლი ნაწილებია: მყარი მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკა, დაბალი და სტაბილური ინფლაცია და მდგრადი ფინანსური ბაზრები. IMF-ის მიხედვით, დოლარიზებული ეკონომიკები მაღალ საპროცენტო განაკვეთებთან არის დაკავშირებული, ამასთან, ასეთი სისტემები კრიზისების მიმართ უფრო მგრძობიარედ მიიჩნევა, ხოლო არასტაბილური გარემო არც ადვილობრივი და არც საერთაშორისო ბიზნესისთვის

მიმზიდველი არ არის. სწორედ ამიტომ, რომ იმ ქვეყნების მთავრობები, სადაც დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელია, გამოსავალს სხვადასხვა პოლიტიკაში ეძებენ.

დღეს საქართველო დედოლარიზაციის გზის დასაწყისშია – ფაქტია, შედეგები ამ მხრივ უკვე ჩანს, თუმცა რამდენად მდგრადი და სტაბილურია რეგულაციებით გაზრდილი „ლარის სანდოობა“, ამას დრო აჩვენებს. ^F

ქეზბურიების ამბასადორიული

სასტუმროები, რესტორნები, პროფესიული სპორტული მოედნები, საქართველოში პირველი პროფესიული გოლფის მოედანი, საცხენოსნო, ტირი და უმაღლესი კატეგორიის სამორინე – ეს ქეზბურიების იმპერიის მხოლოდ ქართული ნაწილია. Ambassadors Group-ის მართვაში 30 წლის თორნიკე ქეზბურია კარგა ხნის წინ ჩაერთო და მამის, ბუბა ქეზბურიას გზას ახალი ხედვით აგრძელებს.

ავტორი: ხათუნა ხვედელიძე
ფოტო: ნიკა ფანიაშვილი

„მამაჩემმა დიდი იმპერია შექმნა და ჩემი მიზანი მისი განვითარებაა“, - ასე გაეცნო Forbes Georgia-ს თორნიკე ქეზბურია, ბიზნესმენ ბუბა ქეზბურიას შვილი, რომელიც, როგორც ჩანს, მამას ყველაზე მეტად ახლის შექმნის სიყვარულში დაემსგავსა.

ოჯახურ ბიზნესში ბავშვობიდან, თუმცა ჯერ ბავშვური ინტერესით ჩაერთო. არდადეგების დროს მამას სამსახურში მიჰყვებოდა, ბავშვური ინტერესი კი ბიზნესის კეთების სურვილში მას შემდეგ გადაიზარდა, რაც მიხვდა, რომ საქმეში რაღაცის შეცვლას, გაუმჯობესებას და განვითარებას შეძლებდა. „პატარაობიდანვე მინდოდა მცოდნოდა, ვინ, რას, რატომ და როგორ აკეთებს. ყველა საფეხურსა და პოზიციებზე მყოფს, თავში ჩაბეჭდილი მქონდა - „ვინ, თუ არა შენ!“ - ამბობს თორნიკე ქეზბურია, რომელმაც ზუსტად იცოდა, რომ მისი სამომავლო არჩევანიც და ოჯახური საქმის საჭიროებაც ან მამასთან ერთად, ან დამოუკიდებლად ბიზნესის მართვა იქნებოდა. განათლებაც შესაბამისი მიიღო - AUP-ის (American University of Paris) ბიზნესის მართვის დიპლომის მქონემ, ქართულ 90-იანებგამოვლილი მშობლების საქმეს ამერიკული ცოდნა და ახალი სიციცხლე შესძინა.

ოჯახურ ბიზნესში როლები მარტივად გადანაწილდა. მთავარი მამა დარჩა, მაგრამ შვილს გადაწყვეტილებებში თავისუფლება არასდროს შეზღუდვია. „თუ შეგიძლია და გამოგდის, უნდა განავი-





თორნიკე ქებურია



თარო ის ბიზნესი, რაც ოჯახისგან გადმოგვცა, მაგრამ თუ ამას ვერ ახერხებ, აუცილებლად უნდა დაიწყო იმის კეთება, რაც შენთვის საინტერესოა და უკეთესად გამოგდის”, - თორნიკე საქმეს ასე ეკიდება, მიაჩნია, რომ მამის გზის გაგრძელება მისთვის ჯერ სტარტაპია, თუმცა გამოცდილება დამოუკიდებლად დააგროვა. ბავშვობიდან სასტუმროების ბიზნესის შემყურემ ევროპაში საკუთარი რესტორანი და ლაუნჯი გახსნა და შედეგიც მიიღო. ახლა ახალი გამოწვევების ძიების ეტაპზეა და ყველაზე საინტერესოდ ბათუმის ამბიციური პროექტი ეჩვენება: „ამბასადორის“ ლოგო მალე აჭარაში - ზღვის პირას და სათხილამურო კურორტებზე გამოჩნდება.

სანამ ბათუმში „ამბასადორის“ დროშა აფრიალდება, მანამდე „ამბასადორი თბილისს“ კიდევ ერთხელ ვესტუმრე. ძველ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო ახლა იმაზე დი-

დი და მომხიბლავია, ვიდრე პირველი სტუმრობიდან ჩემს მესხიერებას შემორჩა. ვიზუალური ცვლილების მიუხედავად, პირველადი განწყობა უცვლელად დამიბრუნდა, როცა მისაღებ ოთახში ხელით მოხატულ გუმბათს თვალი კიდევ ერთხელ შევავლე.

ქებურიების თბილისური ამბასადორიალი 2004 წლიდან იწყება. 7 ნომრით დაწყებული მასპინძლობა ახლა 121 უდრის, საიდანაც 18 ლუქსია, 460 კვ/მ სივრცეს საპრემიუმენტო ნომერი იკავებს, სასტუმროს ტერასები და ხედები კი ლაქშერი დასვენებისთვის საუკეთესო არჩევანია. „ჩვენი გათვლა არ არის იაფი პროდუქტის შექმნა, რომელიც მაინც იმუშავებს. ქართველი მომხმარებელი დღეს უფრო მომთხოვნია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო. ტურისტის ხარისხზე ორიენტირებული და თუ საუკეთესო მომსახურებას შევთავაზებთ, ეს ქვეყნის განვითარებაზეც აისახება“, - ამბობს თორნიკე ქებურია და მიყვება, რომ თბილისის „ამბასადორის“

ისტორიულ ნაწილს ახალი სიცოცხლე 2013 წელს იტალიელმა დიზაინერებმა შესძინეს. თბილისი ფერების გამა ნომრებში, ფრანჩისკო მოლონის ექსკლუზიური ავეჯი, ექსკლუზიური მარმარილოს აბაზანები, მოზაიკით მოპირკეთებული სპა - ეს ყველაფერი დიზაინის იტალიურ ხასიათს უფრო მკვეთრად გამოხატავს და ინტერიერს ელევანტურ დედოფალს ამსგავსებს.

საუბრის გასაგრძელებლად შესაფერისი ადგილის შერჩევა მრავალფეროვნების გამო გამიჭირდა. საბოლოოდ კი აზიურ და იტალიურ რესტორნებს სასტუმროს ისტორიულ ნაწილში მდებარე VIP ლაუნჯი „ფლამინგო“ ვარჩიე, სადაც შიდა ეზოს გავლით მოვხვდით. „ჩვენ შევქმენით სასტუმრო, რომელიც რეგიონის სავიზიტო ბარათად იქცა“, - მეუბნება თორნიკე ქებურია და სასტუმროს მარჯვენა ნაწილში განთავსებულ უმაღლესი კატეგორიის სამორინეს მაჩვენებელს - ადგილს, სადაც ყველას შეუძლია თავი ჩემსავით, შესვლისთანავე მოგებულად იგრძნოს.

„ამბასადორი ჯგუფი“ საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას 100 პროცენტით ქართული ბრენდი და ძალიან მოკლე ვადაში საერთაშორისო ცნობილი ბრენდების ღირსეულ კონკურენტად იქცეს“, - ასე ახასიათებს ქებურიების ქმნილებას „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ვასილ ხოდელი, რომელიც ქებურიების ბიზნესს წლებია იცნობს. ბანკისა და „ამბასადორი ჯგუფის“ თანამშრომლობა უკვე ხუთ წელს და ბევრ საქმეს ითვლის. გარდა იმისა, რომ ყველა სახის საბანკო მომსახურებას უწევს, „საქართველოს ბანკმა“ დააფინანსა როგორც თბილისის, ისე კაჭრეთის სასტუმროს გაფართოებაც.

„ბანკის მხარდაჭერის გარეშე მსხვილი პროექტების განხორციელება თითქმის შეუძლებელია, ამიტომ ჩვენი არჩევანი გამოცდილ, სანდო და კომფორტულ ბანკზე შეჩერდა: მათი თანადგომით აშენდა „ამბასადორი კაჭრეთის“ ახალი კორპუსიც“, - მეუბნება თორნიკე ქებურია და თბილისის „ამბასადორის“ ამოწურავი შესაძლებლობებიდან კახეთის რეგიონში მივყავარ.

თბილისთან ყველაზე ახლოს მდებარე სასტუმრო კომპლექსი გურჯაანის რაიონში, კაჭრეთშია. 50 ჰექტარზე გაშენებული კომპლექსი

სხვადასხვა გემოვნებისა თუ მოთხოვნების ადამიანის ინტერესზეა მორგებული. შესაძლებლობები აქ სურვილებზე მეტია - პირველი, რაც თვალში გხვდება, „ამბასადორი კაჭრეთის“ სავიზიტო ბარათი - რეგიონში ერთადერთი, პროფესიული გოლფის მოედანია, აქვეა ასევე რეგიონში პირველი და ჯერ კიდევ ერთადერთი ოლიმპიური აუზიც. მოკლედ, დასვენებასა და განტვირთვასთან ერთად „ამბასადორი კაჭრეთი“ სპორტული ცხოვრების მოყვარულთათვის ნამდვილი სამოთხეა. ჩოგბურთის კორტებით, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნებით, საცხენოსნოთი თუ ტირით - ეს არის ადგილი, სადაც დრო არასდროს გეყოფათ. 182 ნომრიდან 106 სრულიად ახალი, თანამედროვე დიზაინით შექმნილი ნომერია.

„საქართველო ტურისტებისთვის მიმზიდველი ქვეყანაა და სასიხარულოა, რომ ტურიზმი ყოველწლიურად ვითარდება, თუმცა ამ სფეროს ხელშეწყობა პირველ რიგში სწორედ ჩვენ, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესს გვმართებს. ამიტომ ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ 'ამბასადორი ჯგუფმა' ყველა ტურისტული სეგმენტის დაკმაყოფილება შეძლოს“, - ამბობს თორნიკე ქებურია, რომლის სურვილია, თბილისისა და კაჭრეთის „ამბასადორებმა“ უცხოელ სტუმრებსაც კარგი მასპინძლობა გაუწიონ.

„ამბასადორი ჯგუფი“ მართლაც ხელს უწყობს საერთაშორისო თუ ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას, რისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი კარგი სასტუმროებია“, - ადასტურებს ვასილ ხოდელიც, თუმცა ტურისტული დატვირთვის გარდა კაჭრეთის სასტუმროს როლი კახეთის რეგიონის, განსაკუთრებით კი გურჯაანის რაიონის განვითარებაშიც დიდია. სასტუმროს 200 თანამშრომლის 97 პროცენტი ადგილობრივი კადრია. ორივე „ამბასადორი“ კი ჯამში 1000-მდე დასაქმებულ ადამიანს აერთიანებს.

ორი მთავარი შეკითხვა დღეს უპასუხოდ დამრჩა - რამდენია ქებურიების ქონება და „რა ღირს“ „ამბასადორები“? „არსებობს ძალიან ბევრი ფორმულა, რომლის მიხედვითაც ვითვლით ღირებულებებს“, - მპასუხობს თორნიკე ქებურია და ბათუმური ამბასადორიალის დაწყებამდე მემშვიდობება.

სტაბილურობის სასწორი

2019 წლიდან, 7-წლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის ყოველწლიურ გამოქვეყნებას დაიწყებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარებით, ანგარიშის სტრუქტურაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. გასული წლის სექტემბრიდან, ასევე სსფ-ის რეკომენდაციით, ცენტრალურ ბანკში ფინანსური სტაბილურობის ანალიზის დეპარტამენტი შეიქმნა, რომლის მიზანია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, შეიმუშაოს და განავითაროს ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ჩარჩო. ეროვნული ბანკი ამ ჩარჩოზე და მის აღსრულებაზე სრულად პასუხისმგებელი იქნება, რადგან, როგორც ბანკში აგვიხსნეს, ერთი მხრივ, არსებობს ძირითადი მახასიათებლები, რის მიხედვითაც შეგვიძლია შევაფასოთ, თუ რამდენად სტაბილურია საფინანსო სისტემა - კერძოდ, ხელს უნდა უწყობდეს ეკონომიკის გრძელვადიან და მდგრად განვითარებას, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა იყოს საკმარისად მდგრადი შოკების მიმართ და სისტემური რისკები მინიმუმამდე უნდა იყოს დასული - მეორე მხრივ, ფინანსური სტაბილურობის ერთიანი განმარტება პრაქტიკულად არ არსებობს და მსოფლიოს ყველა ცენტრალური ბანკი მას თავისებურად განმარტავს. აქედან და კიდევ ბევრი სხვა მიზეზიდან გამომდინარე, Forbes Banker-მა გადაწყვიტა, გაგაცნოთ ადამიანი, რომელიც ეროვნულ ბანკში ფინანსური სტაბილურობის ანალიზს აწარმოებს. ეს ამავე სახელწოდების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზვიად ზედგინიძეა.

ავტორი: თეალრა გელანთია



მოგესალმებით, ბატონო ზვიად. პირველ რიგში გვანტერესებს, უფრო პროაქტიური გახდება სეზონი? რა გზებით და რა ინტენსივობით მიიღებენ საზოგადოება და დაინტერესებული მხარეები ინფორმაციას სეზონის მიერ შემუშავებულ პოლიტიკაზე?

ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ეფექტიანობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამჭვირვალობას და კომუნიკაციას. ჩვენ კომიტეტის მუშაობის ფორმატი განვაახლეთ და იგი საჯარო გავხადეთ. კომიტეტი იკრიბება კვარტალში ერთხელ, წინასწარ დადგენილი კალენდრის შესაბამისად და ყოველი სხდომის შემდეგ ქვეყნდება პრესრელიზი, რომელშიც აღწერილია ძირითადი ტენდენციები, გამოწვევები და კომიტეტის ხედვა. წელიწადში ორჯერ, კომიტეტის სხდომის შემდეგ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მართავს პრესკონფერენციას და საზოგადოებას აცნობს კომიტეტის

ხედვას ფინანსური სტაბილურობის თემებზე და დაგეგმილ თუ გატარებულ საპასუხო ღონისძიებებს.

ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის პირველი სხდომის შემდეგ (2018 წლის 1 მარტი) გამოქვეყნებულ პრესრელიზში ყურადღება ჭარბვალიანობის თემაზე იყო გამახვილებული, რასაც შემდეგ რიგი რეგულაციების დაანონსება მოჰყვა და ნაწილი უკვე ამოქმედდა. დღეს ჭარბვალიანობა პრობლემაა თუ გამოწვევა?

შინამეურნეობების ჭარბვალიანობის თემა ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს, რომელიც ბოლო პერიოდში ეროვნული ბანკის ასახლი რეგულაციების მთავარი ამოცანა გახდა. შინამეურნეობების სესხების ზრდა ეკონომიკური განვითარების თანამდგევი პროცესია და ზომიერი დოზით აუცილებელიც არის მოსახლეობის კეთილდღეო-

ბისთვის, თუმცა, როგორც საერთაშორისო გამოცდილება და კვლევები ადასტურებს, ჭარბი საკრედიტო ტვირთი შესაძლოა, ფინანსური სტაბილურობისთვის სისტემურ პრობლემად იქცეს. ამ გამოწვევის საპასუხოდ, როგორც საზოგადოებისთვის-საა ცნობილი, ეროვნული ბანკი კომპლექსურ ღონისძიებებს ახორციელებს.

ამ ღონისძიებების შესახებ, ბუნებრივია, ჩვენთვისაც ცნობილია და მათ შორის ერთ-ერთია პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს ამოქმედება, რამაც ბევრი კრიტიკა და კითხვაც გამოიწვია როგორც ექსპერტების, ისე კერძო სექტორის მხრიდან - რა გავლენა ექნება ამ რეგულაციებს ეკონომიკის დაკრედიტებასა და, შესაბამისად, ეკონომიკის ზრდაზე?

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს ამოქმედება არ ისახავს მიზნად მოქალაქეებისთვის სესხის აღების შეზღუდვას. სრულად ვაცნობიერებთ, საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობას რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისთვის და ეკონომიკური ზრდისთვის, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, რომ თუ არ დავნერგებთ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტს, გრძელვადიანად ეკონომიკისა და საფინანსო სექტორის მდგრადობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი. ამასვე ადასტურებს საერთაშორისო გამოცდილება და წამყვანი ინსტიტუტების კვლევები. მაგალითისთვის, ჭარბვალიანობის ზრდის შედეგად გაუარესებულ ცხოვრების სტანდარტებს, ფინანსური სტაბილურობის გაზრდილ რისკებსა და სოციალურ პრობლემებს ადასტურებს ლიტვის, ესტონეთის, ესპანეთის, ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების ისტორიული გამოცდილება. შედეგად, შესაბამისი წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის ბანკების ასოციაცია, ერთმნიშვნელოვნად იქნა აღიარებული დაკრედიტების პასუხისმგებლიანი სტანდარტის დადებითი როლი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის და, შესაბამისად, მოსახლეობისთვის. ამდენად, ჩვენი რეგულაციებით მივყვებით მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკას, რაც საბოლოოდ სწორედ ეკონომიკისა და საფინანსო სექტორის ინტერესებშია. ის, რაც მოსახლეობისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, არის მდგრადი ანუ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა და ამ მხრივ თანხვედენაშია ინვესტორის ინტერესთან, რომელიც ჩვენი ქვეყნის საფინანსო სექტორში აბანდებს ფულს.

გამოდის, რომ ეროვნული ბანკის გრძელვადიანი ლოგიკით, სჯობს, დღეს გარკვეულწილად შენელებს ეკონომიკის დაკრედიტება, რომ მომავალში მდგრადი ზრდა მივიღოთ?

ეროვნული ბანკის მიერ დანერგილი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტის მიზანია, რომ საფინანსო ინსტიტუტმა სესხი კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმების საფუძველზე გასცეს და ეკონომიკის დაკრედიტებაც ამის შესაბამისად მოხდეს. ასევე, როდესაც საუბარია იმაზე, თუ რა გავლენა ექნება ეროვნული ბანკის რეგულაციებს დაკრედიტებაზე, მხოლოდ შეზღუდვებზე არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება. კერძოდ, გადახდისუნარიანობის შემოწმების მოთხოვნის გარდა, ამავე რეფორმის ფარგლებში ხდება: 1) ინფრასტრუქტურის განვითარება შემოსავლების სამსახურის, საკრედიტო ბიუროსა და საფინანსო სექტორის ეფექტიანად კოორდინაციის მიზნით, რაც მოსალოდნელია, რომ შეამცირებს ინფორმაციის ასიმეტრიას გამსესხებელსა და მსესხებელს შორის და ამდენად გაამარტივებს საფინანსო ინტიტუტისთვის კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმებას, და გვაქვს მოლოდინი, რომ ეს დამატებით შეამცირებს საპროცენტო განაკვეთებს სესხებზე; 2) ე.წ. არაფორმალურ სექტორში მყოფ ჩვენს მოქალაქეებსა და თვითდასაქმებულებს მიეცათ საგადასახადო შეღავათი, კერძოდ, ბრუნვიდან 1%-ის გადახდით შეძლებენ ე.წ. ფორმალურ სექტორში გადასვლას და, შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული ინფრასტრუქტურით სარგებლობას, რომელიც ამარტივებს მათი შემოსავლის იდენტიფიცირებას, ხოლო ეს უკანასკნელი გამოიწვევს მათთვის სესხზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებას; 3) მოსახლეობის სასარგებლოდ იზრდება კლიენტის დაცულობა სესხის აღების შემთხვევაში. კერძოდ, ვამკაცრებთ და ევროსტანდარტებთან ვაახლოებთ მსესხებლების უფლებების დაცვის სტანდარტს, რაც საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტოა. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენი მოლოდინია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს რეფორმა სარგებელს მოუტანს მოსახლეობის ყველა ფენას და ხელს შეუწყობს საფინანსო სექტორის მდგრად ზრდას.

მოკლე ვადაში რა პროგნოზები გაქვთ?

რაც შეეხება მოკლევადიან პერიოდში აღნიშნული რეგულაციის ეფექტს ეკონომიკაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკურ სუბიექტებს სჭირდებათ დრო ნებისმიერ რეგულაციასთან ადაპტაციისა და ახალ სტრატეგიაზე გადაწყობისთვის, ამან შესაძლოა, გამოიწვიოს დროებით მცირე შენელება, თუმცა სებ-ის რეგულაციებში საკმარისი მოქნილობაა გათვალისწინებული იმისთვის, რომ უარყოფითი ეფექტი გარდამავალ პერიოდშიც კი მინიმალური იყოს. თავის მხრივ, გარდამავალი პერიოდი მით უფრო მარტივი იქნება, რაც უფრო სწრაფად მოხდება მაღალი საკრედიტო სტანდარტების მქონე სესხებით ჩანაცვლება იმ სესხებისა, რომლებიც პასუხისმგებლიანი სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს. ასევე, რაც უფრო სწრაფად

გადავა არსებული ე.წ. ჩრდილოვანი სექტორი ე.წ. ფორმალურ ეკონომიკაში.

რა არის საქართველოს საფინანსო სექტორის ძირითადი გამოწვევები, რაც ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის მიერ უკვე იდენტიფიცირებულია?

საფინანსო სექტორის გამოწვევებზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ის კომპლექსურობა, რაც საფინანსო სექტორისა და დანარჩენი ეკონომიკის ურთიერთქმედებას ახასიათებს, რაც იმას გულისხმობს, რომ საფინანსო სექტორი ვერ იქნება სტაბილური და მით უმეტეს მზარდი დანარჩენი ეკონომიკისგან იზოლირებულად. ამდენად, საფინანსო სექტორის გამოწვევები ქვეყნის მაკროეკონომიკურ გარემოსთან ერთობლიობაში უნდა განვიხილოთ. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სავაჭრო რეგიონში და გლობალურად ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების ფონზე, საქართველოს ეკონომიკა განაგრძობს საგარეო შოკის გავლენიდან გამოსვლას. შედეგად, უმჯობესდება მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რაც ხელს უწყობს ამ მიმართულებით არსებული ფინანსური სტაბილურობის რისკების შემცირებას. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლიდან საგრძნობი გაუმჯობესება შეინიშნება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების თვალსაზრისით, რაშიც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლარის გაცვლითი კურსის მცურავმა რეჟიმმა. საფინანსო სექტორისთვის საგარეო რისკფაქტორებიდან აღსანიშნავია აშშ დოლარის საპროცენტო განაკვეთების (ლიბორის) მოსალოდნელი ზრდა, რაც საყურადღებოა საფინანსო სექტორისთვის, გამომდინარე მათ ვალდებულებებში უცხოეთიდან მოზიდული რესურსების მაღალი წილიდან.

ეროვნულ ბანკს რა შეუძლია და რას აკეთებს ამ რისკების საპასუხოდ?

ეროვნული ბანკი, ამ რისკებთან დაკავშირებით, ახორციელებს საბანკო სექტორის სტრუქტურული სცენარების ანალიზს და, ჩვენი შეფასებით, რისკები მნიშვნელოვანწილად მიტიგირებულია. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სექტორი ინარჩუნებს მაღალ ლიკვიდობას და მაღალ კაპიტალიზაციას. ასევე, მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების ფონზე,

უმოქმედო სესხების წილი შემცირებას განაგრძობს. ეროვნული ბანკის მიერ, ბაზელ III სტანდარტების შესაბამისად, 2016 - 2017 წლებში უკვე დანერგილ იქნა ლიკვიდობისა და კაპიტალის მოთხოვნების ახალი ჩარჩო, რომლის მიხედვითაც საბედამხედველო მიდგომები უფრო მეტად რისკზე დაფუძნებული გახდა. ნიშანდობლივია, რომ ამ თვალსაზრისით ქართული საბანკო სისტემა რეგიონში ერთ-ერთი მოწინავეა.

საფინანსო სექტორის გამოწვევებს შორის რა პოზიცია უჭირავს დოლარიზაციის კოეფიციენტს დღეს?

დოლარიზაცია საფინანსო სექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რაც ზრდის საფინანსო სექტორისა და მთლიანად ეკონომიკის მოწყვლადობას შესაძლო საგარეო შოკების მიმართ. დოლარიზაციის შემცირებისთვის ბოლო წლებში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა და ეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება. შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ დოლარიზაციის შემცირების ტენდენცია აშკარაა როგორც მთლიანად სესხების და განსაკუთრებით ფიზიკური პირების სესხების, ასევე დეპოზიტების კუთხითაც.

როგორც ცნობილია, ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს სებ-ი 7-წლიანი პაუზის შემდეგ, 2019 წელს გამოაქვეყნებს და ამაზე მუშაობა უკვე დაწყებული გაქვთ. რაზე იქნება აქცენტები გაკეთებული?

ფინანსური სტაბილურობის ანალიზს და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში გაანალიზებული იქნება ძირითადი რისკები, ეროვნული ბანკის საპასუხო ღონისძიებები და ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში მომავალზე ორიენტირებული ანალიზის წარმოდგენას, რადგან ასეთ შემთხვევაში საფინანსო სექტორი, ინვესტორები და ზოგადად ეკონომიკის მონაწილეები უკეთ ინფორმირებულნი არიან მოსალოდნელი რისკების შესახებ და შესაბამისად ახდენენ სტრატეგიის შემუშავებას. ჩვენც სწორედ ამ მიმართულებით მივდივართ. ¹⁸

გვინად ზედმინიძემ საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის ანალიზის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე 2017 წლის სექტემბრიდან იკავებს. ის არის საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობისა და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის კომიტეტის წევრი.

2011 - 2017 წლებში მუშაობდა მაკროეკონომიკური კვლევების განყოფილებაში უფროსის თანამდებობაზე, სადაც მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზს უძღვებოდა.

გვინად ზედმინიძემ საქართველოს ეროვნული ბანკი მუშაობა 2008 წელს, საფინანსო სტაბილურობის თანამდებობაზე დაიწყო.

დაბრძოლილი აქვს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), აქვს მაგისტრის ხარისხი. ასევე, ფლობს ეკონომიკის დოქტორის ხარისხს. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო კონფერენციაზე და მსოფლიოს ნაგებანი კვლევითი ინსტიტუტის ტრენინგებში.

2011-2012 წლებში სხვაობდა ბაიარა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (აშშ, ვაშინგტონი) კვლევების დეპარტამენტში. პერიოდულად კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტში.

ჭარბვალიანობის წინააღმდეგ

ინტერვიუ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ მურთაზ კიკორიასთან

ავტორი: ელენე კვანცილაშვილი

ბასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო რომ შეიქმნებოდა, მოულოდნელი არავისთვის იყო. საფინანსო სექტორის მდგრადობისკენ გადასადგმელი ნაბიჯების კონტურები ჯერ კიდევ BANKER-ის წინა გამოცემაში გამოიკვეთა. მაშინ საფინანსო სექტორისთვის ყველაზე პროფილურ გამოცემას პირადად ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე ესაუბრა.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი პირველი იყო, ვინც საბანკო და არასაბანკო სფეროს რეგულაციებზე ღიად დაიწყო საუბარი, კომერციული ბანკების და თავად ამ რეგულაციების მიმართაც ინტერესი უფრო მეტად მას შემდეგ გაღვივდა, რაც ფინანსთა მინისტრმა ასეთი ფრაზა თქვა: „საქართველოს საბანკო სისტემა უნდა იყოს არა ეკონომიკის განვითარების მუხრუჭი, არამედ მისი მამოძრავებელი ძალა, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მივიღეთ რეალობა, სადაც ბანკები არ ასრულებენ ამ მამოძრავებელი ძალის ფუნქციას“.

მართალია, ფინანსთა მინისტრმა ეს შეფასება სასტარტო კაპიტალის ხელმისაწვდომობის კონტექსტში გააკეთა, მაგრამ ფრაზა მაღევე განზოგადდა მთლიანად საბანკო სისტემის ეფექტიანობასა და მის როლზე ქვეყნის ეკონომიკაში. შესაბამისად, კომერციული ბანკების თემაზე დისკუსია იმაზე მეტი წახნაგით განვითარდა, ვიდრე ეს ან ფინანსთა მინისტრს, ან თუნდაც ეროვნულ ბანკს ჰქონდა განსაზღვრული. თუმცა დროთა განმავლობაში გამოიკვეთა თემა, რომლის განხილვაშიც ყველა – კერძო თუ საჯარო სექტორი – ერთად ჩაება: ეს ჭარბვალიანობის თემაა.

სწორედ ჭარბვალიანობის მართვისთვის არის ჩაფიქრებული პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოც, რომელსაც მოთამაშეების ნაწილი „დაკრედიტების ბიბლიასაც“ კი უწოდებს. ალბათ, ნახევრად ხუმრობით.

ფაქტია, პირველი იანვრიდან ყველა დაწესებულება, ვისაც ოცზე მეტი მსესხებელი ყოფილა, ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მოექცევა. შესაბამისად, მნიშვნელობა არ ექნება, კომერციული ბანკი იქნება ეს, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თუ ონლაინ სესხის გამცემი დაწესებულება – 2019 წლიდან ყველას თანაბარი ძალით მოეთხოვება კაპიტალიდან სესხების ლიმიტის მკაცრად დაცვა და სესხის მხოლოდ შემოსავლების დეტალური დადასტურების შემთხვევაში გაცემა – მათ შორის, თვითდასაქმებულებისთვისაც.

თამაშის ასალ წესებს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰ-

ყვა. კრიტიკის დიდი ნაწილი ე.წ. შავი ბაზრის გაფართოებას და საქართველოში ბნელი 90-იანების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მევანშეობის პრაქტიკის დაბრუნებას ეხება. საბანკო თუ არასაბანკო საფინანსო სექტორის მოთამაშეები, ანალიტიკოსები თუ პოლიტიკოსები – ყველა ამბობს, რომ მევანშეობის ზრდა მოსალოდნელია, თუმცა რამდენად შექმნის ეს ყველაფერი სისტემურ პრობლემას საფინანსო სექტორის მდგრადობის კუთხით – აქ ერთიანი პოზიცია არ არსებობს.

მურთაზ კიკორია ყველა იმ კითხვას პასუხობს, რაც სექტორს, მის მოთამაშეებსა და მათზე დამკვირვებლებს ყველაზე მეტად აწუხებთ მას შემდეგ, რაც კომერციული ბანკებისთვის რეგულაციები დიდწილად უკვე ამოქმედდა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის კი მომავალი წლიდან ამოქმედდება.

მოგესალმებით, ბატონო მურთაზ. ჩვენი საუბრის მოთავარი თემაა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო და ის რეგულაციები, რასაც ამხელა გამოხმაურება მოჰყვა ყველა მხრიდან – მარტივად რომ ავხსნათ, რას ნიშნავს პასუხისმგებლიანი დაკრედიტება რეგულატორის გადმოსახედიდან...

ეს მარტივად გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში ყველა სესხის გამცემმა – იქნება ეს ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თუ სხვა დაწესებულება, რომელიც მოსახლეობისთვის სესხს გასცემს – გაითვალისწინოს, შეისწავლოს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, მისი გადახდისუნარიანობა და ამ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მოახდინოს დაკრედიტება.

ამბობთ, რომ აქამდე ეს ასე არ ხდებოდა?

ყველა პროცესს აქვს თავისი გამომწვევი მიზეზი. რომ ჩაგულ-რმავდეთ, თუ რატომ გახდა ახლა აუცილებელი ამაზე საუბარი და გარკვეული ღონისძიებების გატარება, უნდა გადავხედოთ საცალო დაკრედიტების ბოლოდროინდელ ტრენდს. პირველ რიგში, ყველას გვახსოვს 2014-2015 წლების გარე შოკებიდან გამომდინარე სავალუტო რყევები და, მაღალი დოლარიზაციის პირობებში, ამ რყევების გავლენა მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე: კურსის გამო, მოსახლეობას ბანკებში ლარში გადასახდელები გაეზარდა. მეორე მხრივ, ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ე.წ. ფინტექების თუ ონლაინსესხების კომპანიების გამოჩენამ ბაზარზე და, შესაბამისად, ძალიან მარტივად ხელმისაწვდომმა კრედიტმა – ამ ორი



მოცემულობის კომბინაციამ ბოლო პერიოდში საცალო დაკრედიტებაში დავალიანება მნიშვნელოვნად გაზარდა. პლუს, რაც ჩვენთვის ყველაზე ყურადსაღები იყო და რჩება - ეს არის არა მარტო ამ დავალიანების მოცულობა, არამედ ზრდის ტემპი.

კარგია, ამას რომ განმარტავთ, რადგან ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელზედაც კერძო სექტორი ამ რეგულაციების ფონზე აქტიურად საუბრობს, არის ის, რომ მათთვის გაუგებარია, თუ რა არის კონკრეტულად ეროვნული ბანკის ამოცანა...

კი, მე სწორედ იმის ახსნას ვცდილობ, თუ რა მოცემულობა გვაქვს. ის, რომ დავალიანების მთლიანი მოცულობა გაზრდილია და სწრაფი ტემპებით იზრდება, მე მკონი, ამაზე ყველა ვთანხმდებით. ამ ზრდის ტემპიდან და ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ჩვენ ამ დავალიანების ძალიან სერიოზული კვლევა და ანალიზი ჩავატარეთ. კერძოდ, ყველა ID ბარათის ნომრის მიხედვით, ყველა მოქმედ კომერციულ ბანკსა და ყველა მსხვილ მიკროსაკრედიტო ორგანიზაციაში, რაც ბაზრის 90%-ზე მეტს წარმოადგენს, კვარტალების მიხედვით შევისწავლეთ საქართველოს ყველა მოქალაქის დავალიანება ბანკებისა და მიკროსაფინანსოების მიმართ. ამ კვლევამ აჩვენა, რომ საცალო დაკრედიტება ეკონომიკის ზრდასთან შედარებით ბევრად სწრაფად იზრდება და, რაც მთავარია, პრობლემა აქეთ დაბალშემოსავლიან და მაღალი ვალის ტვირთის მქონე ადამიანებს.

და ამას არქმევთ თქვენ ჭარბვალიანობას...

კი. ჭარბვალიანობა კლასიკური გაგებით, არის ისეთი ვალის

ტვირთი, რომელიც მოსახლეობას, შინამეურნეობას უუარესებს ან ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობას, ან მის საცხოვრებელ პირობებს და რომელსაც შინამეურნეობა ვერ იხდის.

ამ პრობლემის წყარო უფრო კომერციულ ბანკებშია, თუ მისო-ებში და ონლაინ თუ იმ ტექ. გადაწყვეტებში, რაზეც ცოტა ხნის წინ გაამახვილეთ ყურადღება?

რამაც ამ თემას გაუკეთა პროვოცირება, ეს არ იყო საბანკო სექტორი.

მაგრამ მათ მიეცათ უფრო ცოტა დრო, რომ თამაშის ამ ახალ წესებს მოერგონ.

მაგასაც ავხსნი. თუმცა მანამდე - ამ თემას პროვოცირება გაუკეთა სწორედ არასაბანკო სექტორმა: მიკროსაფინანსოებისა და ონლაინკომპანიების მხრიდან ტექნიკურად ადვილად ხელმისაწვდომი სესხების პირობებში, ბანკების მიმართ არსებულ ვალდებულებებს დამატა მოკლე პერიოდისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთის მქონე გადახდის სესხები, ანუ ვალი გაიზარდა. სწორედ ამიტომ რეგულატორის ნაფიქრიც და კანონმდებლობაში ასახულიც ეს არის: მომაგალი წლის პირველი იანვრიდან ქვეყანაში ყველა ორგანიზაცია, რომელიც ოცზე მეტ ადამიანს ასესხებს ფულს ანუ ვისაც ასეთი სესხების ბიზნესი აქვს - ბანკები, მიკროსაფინანსოები და სხვადასხვა შპს თუ სხვა ფორმის კომპანიები ვალდებული იქნებიან, რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში გაიარონ.

რეგულატორის პოზიციიდან მიხსნით ახლა ამ ყველაფერს. რომ წარმოვიდგინოთ, რომ ისევ საბანკო სექ-

ტორში ხართ, სამართლიანად ჩათვლიდით ეროვნული ბანკის ამ ნაბიჯებს ამ ეტაპზე?

მე მგონი, ამ ქვეყანაში ვერც ერთი მხარე ვერ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ბანკი ხარ, მიკროსაფინანსო თუ ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც მოსახლეობას ფულს აძლევ - ეს მთელი პასუხისმგებლობით უნდა გააკეთო. არ მგონია, ვინმე არსებობდეს, ვისაც ამ პრინციპთან დაკავშირებით პრობლემა ან შენიშვნა ექნება. ხშირად ვისმენ მედიით, რომ ეროვნულმა ბანკმა ერთ დღეში და ერთ წაბში რაღაც აკრძალა...

ჩვენ არ ვართ მათ შორის...

ძალიან სასიამოვნოა, რადგან ეს ასე არ არის. კომერციული ბანკების თაობაზე თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდეთ, კოეფიციენტს რაც შეეხება - ე.წ. 25%-ს კაპიტალიდან სესხების ლიმიტს - ჩვენ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს სახით სექტორს შევთავაზებთ მნიშვნელოვანი ცვლილება და შევთანხმდით, რომ აქტიურ კონსულტაციებს გავმართავთ, რასაც შეიძლება 6-7 თვე და მეტიც დასჭირდეს, რომ საბოლოოდ დაბალანსებული, შეთანხმებული პრინციპები მივიღოთ, მაგრამ როდესაც სექტორმა იცის, რომ ისეთი ცვლილებები მზადდება, რამაც შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინოს მათი დაკრედიტების ზრდის ტემპებზე და ა.შ., გაჩნდა ცდუნება, - და, სამწუხაროდ, ეს გამოჩნდა კომერციული ბანკების გეგმებსა და მათ ქმედებებში - რომ სანამ გარკვეული ქცევის წესები შეიცვლება, ძველი მიდგომებით უფრო აქტიურად ვისარგებლოთ.

არ ელოდებით, რომ ეს მოხდებოდა? მე მგონი, სრულიად ლოგიკურია, არა?

რომ ველოდებოდით, სწორედ მაგისტრამ შემოვიდა ეს ლიმიტი, რომ ამ გარდამავალ პერიოდში არ ყოფილიყო ცდუნება - ვინაიდან ასეთი რეგულაცია შემოდის, მოდი, დაჩქარებული ტემპებით გავცეთ სესხები...

ვის „მოუვლის“ ეს რეგულაცია?

ესეც ძალიან მარტივია: ეს რეგულაცია „უვლის“ იმ ბანკებს, რომლებსაც ასეთი სესხების წილი თავიანთ პორტფელში ძალიან მაღალი აქვთ და ამ წილის კიდევ უფრო ზრდის შედარებით აგრესიული ტემპი ჰქონდათ. ჩვენ ამის შესახებ განცხადებაც გავაკეთეთ: ეს ეხება ძირითადად სამ სისტემურ ბანკს. ამ ბანკების გარდა ქვეყანაში არის უამრავი სხვა ბანკი, რომლებსაც ეს ლიმიტი ჯერ ათვისებული არა აქვთ.

ისინი ჩვეულებრივად გააგრძელებენ ამ ტიპის სესხების გაცემას, სანამ ამ ლიმიტს არ მიაღწევენ?

დიახ.

რამდენად სამართლიანია ეს მიდგომა?

მე თავიდანაც აღვნიშნე, საითკენ არის ჩვენი გზები: ყველას, ვისაც სესხის გაცემა უნდა, ექნება თანაბარი შანსი და შესაძლებლო-

ბა, მიიღოს ინფორმაცია მსესხებლის მდგომარეობის შესახებ - ეს ერთი მხარე. ყველაზე გავრცელებული თანაბარი სტანდარტი მომხმარებელთა უფლებებთან მიმართებით - რა წესები უნდა დაიცვან, რა კონტრაქტები უნდა იყოს, შრიფტი როგორი უნდა იყოს და ა.შ. ჩვენ ვცდილობთ, ინფორმაციის ის ასიმეტრია, რაც აქამდე არსებობდა, გავათანაბროთ.

სანამ შედეგებზე ვილაპარაკებთ, მანამდე მაინც მიზეზის მხარეს მინდა დავაკონკრეტო ერთი რამ: თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური ზრდა ნახსენები იყო ასევე მუდისის ანგარიშშიც, სადაც ზუსტად ის დასკვნა დაიდო, რაც თქვენც მითხარით, რომ თქვენი კვლევებითაც დადასტურდა - ეკონომიკური ზრდა ჩამორჩება საცალო დაკრედიტების ზრდის ტემპს. მაინტერესებს, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ეკონომიკური ზრდა რომ უფრო მაღალი იყოს, ან რომ ყოფილიყო ამ პერიოდში უფრო მაღალი, ეს რეგულაციები დღის წესრიგში არ დადგებოდა ამ სიმწვავით და ამ ფორმით?

ამ რეგულაციებზე საუბარი დაიწყო სწორედ მაშინ, როცა ეკონომიკური ზრდის ტემპსა და საცალო დაკრედიტების ზრდის ტემპებს შორის ჩვენ დიდი აცდენა დავინახეთ. ყველაზე უარყოფითი ტრენდი, რასაც ჩვენ ვხედავთ, არის დაკრედიტების ზრდის ტემპი მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელსაც დაბალი შემოსავალი და მაღალი საბანკო ტვირთი აქვს...

და რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება ეს დამატებითი ფული...

ცოტა უტრირებულ მაგალითს მოვიყვან. ბოდიში ამ უტრირებისთვის, მაგრამ ბანკის მხარესაც შევხედოთ, ბიზნესის მხარეს და მოსახლეობის მხარესაც. დაახლოებით, როგორ რამეზე საუბარი, იცით, რომ დღეს ყველამ ვიართო ბოლო მოდელის აიფონებით, საჭმლის ფული არ გვექონდეს, აიფონის გამყიდველები ბედნიერები იყვნენ, რომ ერთ თვეში გაყიდეს მთელი მარაგები - მოკლეა, რა მაქვს მხედველობაში: ჩვენი ამოცანა არის სტაბილური ზრდა. დღევანდელი მოცემულობით საფინანსო სექტორის მოთამაშემ შეიძლება ერთ კვარტალში აჩვენოს ძალიან მაღალი მოგება, ხოლო შემდგომ კვარტალებსა და წლებში ზარალი ნახოს. იგივეა ბიზნესის მხარეს - ყველაზე უტრირებული და რადიკალური სცენარით, ბიზნესს შეიძლება ბოლოს მომხმარებელი საერთოდ აღარ დარჩეს.

მეც ბოდიშს მოვიხდით უტრირებისთვის, მაგრამ მე ახლა გისმენთ და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს თქვენ არ გაქვთ იმედი, რომ ეკონომიკა შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს ამ პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდოს, მათ შორის, ერთ სულზე შემოსავალი იმისთვის, რომ ჩვენ - თუნდაც იმ ფენამ, რომელზეც ახლა მე და თქვენ ვსაუბრობთ - რეალურად შეგძლოთ იმ აიფონის ყიდვა, რომელიც გვინდა, რომ ხელში გვჭირდეს...

პირიქით. ზუსტად იმიტომ, რომ გვჯერა ეკონომიკური ზრდის

- იცით, პროგნოზი გაგზარდეთ კიდევ - ჩვენ გვინდა, რომ არ ვიფიქროთ მართო ერთი დღით და ერთი კვარტალით. ჩვენ გვინდა, რომ სურვილმა, დღეს მქონდეს აიფონი და სწრაფმა დაკრედიტებამ, სამჯერ და ოთხჯერ მეტმა, ვიდრე ეკონომიკური ზრდის ტემპია, არ დაამძიმოს მოსახლეობა ამ გადახდებით - სწორედ ამაზეა საუბარი...

მაგრამ მეორე მხრივ თქვენ მზად ხართ, ეკონომიკამ გადაიხადოს ფასი ამ რეგულაციებში - თუნდაც მოკლე ვადაში და დაკარგოს შშპ-ის 0.6%...

კი. ეს 0.6% არის ძალიან კონსერვატიული მაჩვენებელი და გულისხმობს, რომ ეს არის მცხიერად და ძალიან სწრაფად ამოქმედებული ყველა რეგულაცია - ეს ეფექტია აქ დათვლილი. კითხვა შეიძლება რიტორიკულადაც ჩანდეს, მაგრამ რა სჯობს - ეკონომიკაზე შედარებით სუსტი უარყოფითი გავლენა დღეს და შემდეგ უკვე, მომავალ წლებში, ძალიან ზრდის ეფექტი თუ ვაგრძელოთ ეს პრაქტიკა და ამას, ყველასთვის, სერიოზული ჩავარდნა მოჰყვება?

თუ ასე წრფივად დაგინახავთ ამ ყველაფერს. ყველა ასე წრფივად არ ხედავს - ამბობენ, რომ, მაგალითად, შეიძლება იგივე მევახშეობა დაბრუნდეს საქართველოში და ამან კიდევ უფრო მეტი პრობლემა შექმნას, იმიტომ რომ თქვენ შეიძლება საერთოდ ვეღარ დაინახოთ, რა სურათია ფინანსური სტაბილურობის კუთხით ქვეყანაში...

მე ვახსენე ის რეგულაცია, რომელიც პირველი იანვრიდან შემოვიდა. მე ვახსენე, რომ ყველა პირი, რომელიც ოცზე მეტი ადამიანისთვის სესხს გასცემს, ვალდებული იქნება, ეროვნულ ბანკში დარეგისტრირდეს, ანუ ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ მოექცეს. საუბარი იმაზეა, რომ ეროვნული ბანკის, ვთქვათ, თვალთახედვის არეალს მიღმა შეიქმნას ორგანიზაციები, იმ მოცემულობაში, როცა ასეთი საქმიანობა პირველი იანვრიდან რეგისტრაციის გარეშე იქნება კანონდარღვევა, სისხლის სამართლის დანაშაული? რომ ამ რეგულირების ველს გარეთ შეიქმნას კომპანიები, რომლებიც ათათასობით ადამიანს გაუწევენ საკრედიტო მომსახურებას ისე, რომ ჩვენ არ გვეცოდინება?

არა, ხელიდან ხელში ფულზეა საუბარი აქ უფრო მეტად...

ეს დღესაც არის. შეუძლებელია, ჩვენ კერძო პირებს შორის ურთიერთობა სისტემურად ვარეგულიროთ, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ამ რეგულაციებით შეუძლებელია, სისტემური პრობლემის შემქმნელი წარმონაქმნები მივიღოთ, რომლებიც ჩვენ თვალთახედვის მიღმა იქნებიან.

ასლა კითხვას გისვამთ მე, როგორც მომხმარებელი. თქვენ ამბობთ, რომ ჩემზე ზრუნავთ - კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს ზრუნვა? თვითდასაქმებული რომ ვიყო, საერთოდ ავიღებდი სესხს? თვითდასაქმებულთა სამუშაო ტიპების ჩამონათვალზე კი იყო მოცემული და სხვათა შორის, ოდნავ უცნაური პროცედურებიც ამ

ადამიანთა შემოსავლების დასადასტურებლად, რაც ალბათ კრედიტ-ოფიცრებისთვის არც ადვილი იქნება და არც სასიამოვნო - შეიძლება, კომპანიას ეს ხარჯები ალარც უღირდეს, რაც ჩვენი გადმოსახედიდან, მარტივი მსჯელობის საფუძველზე იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ეს ადამიანები მთელი ამ სისტემის მიღმა დარჩნენ: ისინი სესხს უბრალოდ ვეღარ აიღებენ...

არსად ამ დოკუმენტებში, განწყობასა და ჩვენს სტრატეგიაში არ არის ამ დასკვნის საფუძველი. ჩვენ ვამბობთ, რომ ბანკმა ან გამსესხებელმა დაადგინოს, განსაზღვროს, რა შემოსავალი აქვს მსესხებელს...

რიგ შემთხვევაში, ბატონო მურთაზ, კრედიტ-ოფიცრებს ნამდვილი შერლოკჰოლმსობა უწევთ...

არა, არსებობს ძალიან ბევრი ტექნოლოგიური IT გადაწყვეტა. 21-ე საუკუნეა, ხელოვნურ ინტელექტზე ვსაუბრობთ და ა.შ. არის მოდელები, რომლებიც პირის ქცევიდან გამომდინარე, მისი შემოსავლის შეფასებას ახდენს. ჩვენ ვამბობთ, რომ ბანკებმა და ამ კომპანიებმა თვითონ განსაზღვრონ ის შესაძლებლობები თუ ის მოდელები, რაც მათ საქმიანობას გაუადვილებთ: ზოგიერთ ბანკს შეიძლება ჰქონდეს ისეთი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელმაც ხელის ერთი ჩამორთმევით განსაზღვროს დიდი ალბათობით, რა შემოსავალი აქვს ამ ადამიანს. ვიცი, გარკვეული ირონია გამოიწვია ჩანაწერმა კრედიტ-ოფიცრების ვიზიტების შესახებ, მაგრამ უამრავი პროფესია არსებობს და ჩვენ არ ვაპირებთ ამში ჩარევას. ჩვენ ვამბობთ, რომ ბანკებმა თვითონ დაიდგინონ ნორმები და შესაძლებლობები. გგონია, რომ პასუხისმგებელიანი დაკრედიტება ყველა მხარისთვის ყველაზე სწორი და სამართლიანი პრინციპია. შეიძლება მცირე გავლენა ჰქონდეს ეკონომიკაზე, მაგრამ შემდგომი წლების ზრდაზე ექნება ძალიან პოზიტიური და ჯანსაღი გავლენა.

ე.ი. თამამად შეგძლებოთ, გარკვეული პერიოდის შემდეგ აღარ ვიმარჩილოთ, კომერციული ბანკები ეკონომიკის მამომრავებლები არიან თუ მუხრუჭები...

კომერციულ ბანკებს ქვეყნის ეკონომიკაში აქვთ თავიანთი ძალიან განსაზღვრული როლი. უნივერსალური ბანკი ნიშნავს იმას, რომ ისინი დეპოზიტარების ფულით ოპერირებენ. მოლოდინი არ უნდა შეგქმნათ, რომ ამ სექტორს შეიძლება მოვთხოვოთ ისეთი რამ, რის შესრულებაც მას უბრალოდ, ბუნებრივად, არ შეუძლია. ბანკებს მოვთხოვოთ კაპიტალი, როცა მეორე მხრივ ბანკებს არაპროფილური აქტივების ფლობა შეეზუღდეთ და მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, რომ ბანკები არ უნდა შევიდნენ კომპანიების კაპიტალსა და წილებში - ეს არ არის საბანკო სექტორის საქმე: ბანკებს შეუძლიათ გასცენ სესხები და ჩვენი ამოცანაა...

პასუხისმგებელიანი იყო ეს დაკრედიტება. დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. ინტერვიუ ჩაწერილია 04.05.2018



**განვითარების
სტრატეგია**

ავტორი:
ბასო ნამრავაძე

რამდენად სტაბილურია საქართველოს საბანკო სექტორი?

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკის სტაბილურობა საბანკო სექტორის სტაბილურობაზე დგას. საბანკო სექტორში წარმოშობილ პრობლემებს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის (შემოსავლებისა და დასაქმების შემცირება) გამოწვევა მარტივად შეუძლია. ამასთან, საბანკო სექტორი მოსახლეობის ნდობაზეა დაფუძნებული. ორი აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე, ყველა ქვეყნის ხელისუფლება აკვირდება საბანკო სექტორის სტაბილურობას, რომ პოტენციური პრობლემების შემთხვევაში, დროულად მოახდინოს რეაგირება. საბანკო სექტორის ზედამხედველობას ძირითადად ქვეყნების ეროვნული ბანკები ან სპეციალური სამსახურები ასრულებენ.

დღევანდელი ქართული საბანკო სისტემა 1991 წელს აღმოცენდა, თუმცა კომერციული ბანკების დაარსება და განვითარება ქაოსურად დაიწყო, საბანკო ლიცენზიის მიღება პრობლემას არავისთვის წარმოადგენდა. შედეგად, ორ წელიწადში ასობით ბანკი გაიხსნა, თუმცა ასობითვე დაიხურა. ხშირ შემთხვევაში ბანკები მხოლოდ აფერა იყო - ისინი მოსახლეობისგან ფულს იღებდნენ, შემდეგ მუშაობას წყვეტდნენ და ბანკის მფლობელები ქვეყნიდან გარბოდნენ. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ კერძო საბანკო სისტემაში ისედაც გაუთვითონობიერებულმა მოსახლეობამ კიდევ უფრო დაკარგა ნდობა ბანკების მიმართ.

საქართველოს ეროვნულ ბანკს (სებ) წლების მიხედვით აქვს გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ბანკების რაოდენობის შესახებ. 1995 წელს 102 ბანკი იყო, შემდეგ მათი რიცხვი სწრაფად მცირდებოდა და მინიმუმს, 16 ბანკს, 2017 წელს მიაღწია.

უკვე ათ წელზე მეტია, საქართველოში ბანკი აღარ გაკოტრებულა. მოხდა ბანკების შერწყმა, საქმიანობის დასრულება და ა.შ., მაგრამ ბანკის მუდანებრები არ დაზარალებულან. ეს მნიშვნელოვანწილად ბანკებზე ზედამხედველობის გაწევამ განაპირობა.

დღეს საქართველოში ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე ზედამხედველობას სებ-ის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი ასრულებს.


კომიტეტის მთავარი ამოცანაა, შეაფასოს და გააანალიზოს ფინანსური სტაბილურობის რისკები და შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა მათ აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად. კომიტეტი ადგენს ე.წ. მაკროპრუდენციური პოლიტიკის ინსტრუმენტებს, როგორცაა: კაპიტალის კონტრაციკლური ბუფერი, სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების ლიმიტები, კაპიტალის დამატებითი მოთხოვნა, ლიკვიდობის მოთხოვნა და სხვა.

კაპიტალის კონტრაციკლური ბუფერის მიზანი დარეგულირების ჭარბი ზრდისა წარმოქმნილი სისტემური რისკებისგან საბანკო სისტემის დაცვაა. ბუფერი გაიზრდება მაშინ, როდესაც კომიტეტი მიიჩნევს, რომ ბანკების მიერ დაკრედიტების ჭარბი ზრდა ხდება, რამაც შესაძლებელია, სისტემური რისკების დაგროვება გამოიწვიოს. ხოლო რისკების მატერიალიზაციის შემთხვევაში კონტრაციკლური ბუფერის მოთხოვნა შემცირდება, რაც ბანკებისთვის დამატებით კაპიტალს გამოათავისუფლებს და დაეხმარება ფინანსურ სისტემას, რომ ეკონომიკის დაკრედიტება მკვეთრად არ შემცირდეს.


კონტრაციკლური ბუფერი დგინდება კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებზე დანამატის სახით. მისი მოცულობა განისაზღვრება რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი აქტივების მიმართ 0%-დან 2.5%-მდე შუალედში. კაპიტალის კონტრაციკლური ბუფერის დადგენისას, კომიტეტი სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან (შშპ) ფარდობას და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის ინდიკატორებს ითვალისწინებს.

ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა 2018 წლის 1 მარტის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება კონტრაციკლური ბუფერის უცვლელად - 0%-ზე დატოვების შესახებ. კომიტეტის შეფასებით, მიმდინარე პერიოდში, საერთო დაკრედიტების ზრდა შეესაბამება ნომინალური შშპ-ის ზრდას. 2017 წელს სესხების წლიურმა ზრდამ (ლარის გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით), 16.7% შეადგინა. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 22.3 მილიარდ ლარს მიაღწია. სესხების ფარდობა შშპ-სთან 60%-ის ფარგლებშია და ახლოსაა მის გრძელვადიან, საიმედო ტრენდთან. კომიტეტმა მიიჩნია, რომ მნიშვნელოვანია, საკრედიტო ზრდა ეკონომიკური აქტივობის თანაზომიერი

ნომინალური მშპ-ისა და სესხების* წლიური ზრდა



სესხების* მშპ-სთან ფარდობა (%)



წყარო: სები

*სესხები მოიცავს ბანკებისა და მიკროსაფინანსოების მიერ გაყვამულ სესხებს

** სესხების მშპ-სთან ფარდობის გაპო წარმოადგენს სესხების მშპ-სთან ფარდობის გადახრას მისი გრძელვადიანი ტრენდიდან.

იყოს და სესხების ზრდა ხელს უწყობდეს ეკონომიკის მდგრად ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობას ისე, რომ ფინანსური სტაბილურობის ჭარბი რისკები არ დაგროვდეს. რადგან ბუფერი 0%-ზე შენარჩუნდა, ეს ნიშნავს, რომ 2018 წლის მარტში ეკონომიკაში ჭარბვალუანობის პრობლემა არ არსებობდა. თუმცა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული შინამეურნეობების დავალიანება მშპ-ის 32%-ს შეადგენს და ახლოსაა შესადარარ ქვეყნების მედიანურ მაჩვენებელთან, აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ბოლო წლებში შედარებით სწრაფად იზრდება, რაც გარკვეული რისკების მატარებელია.

საბანკო სექტორის სტაბილურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია ლიკვიდობის დონე - ბანკის უნარი, მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე დააფინანსოს აქტივების ზრდა და დაფაროს ვალდებულებები მათი დაფარვის ვადის დად-


გომისას. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის დასკვნით, საბანკო სექტორი მაღალ ლიკვიდობას ინარჩუნებს, ხოლო უმოქმედო სესხების წილი მთლიან დაკრედიტებაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, განსაკუთრებით - 2017 წლის მე-2 კვარტალის შემდეგ. დოლარიზაცია, მიუხედავად 2017 წელს საგრძნობი შემცირებისა, ფინანსური სექტორისთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება (საბანკო სისტემის მგრძობილობა სავალუტო რისკის მიმართ კვლავ მაღალია). კომიტეტის შეფასებით, უცხოური საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელი ზრდის ფონზე, განსაკუთრებით საყურადღებოა უცხოური ვალუტის ვალდებულებების მაღალი წილი ბანკების დაფინანსებაში. თუმცა ამ ეტაპზე საბანკო სექტორი უცხოურ ვალუტაშიც მაღალ ლიკვიდობას ინარჩუნებს.

საბანკო სექტორის სტაბილურობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მოგები-


ნობის (უკუგების) კოეფიციენტი აქტივებზე (ROA) და კაპიტალზე (ROE). აღნიშნული კოეფიციენტები დადებით კორელაციაშია სექტორის სტაბილურობასთან. მათ ბოლო წლების მაქსიმალურ მაჩვენებელს (ROA - 3.8%, ROE - 27.6%) 2017 წლის მესამე კვარტალში მიაღწიეს, მას შემდეგ კი კლება დაიწყო. თუმცა, ბოლო რამდენიმე წელს თუ ვნახავთ, საერთო ჯამში სექტორში მოგებიანობას ზრდის ტენდენცია აქვთ.

მნიშვნელოვანია ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხობრივი კლასიფიკაცია. 2017 წლის ბოლოს საბანკო სესხების (ბანკთაშორისი სესხების გარეშე) 89% სტანდარტული, ანუ უპრობლემო სესხები იყო. შესაბამისად, 11% იყო ნეგატიური სესხები, თუმცა მათგან მხოლოდ 1.4% (310 მლნ ლარი) იყო უიმედო სესხი. აღსანიშნავია, რომ ნეგატიურ სესხებს შემცირების ტენდენცია აქვს. მაგალითად, 2016 წლის მარტში მათი წილი

უმოქმედო და ვადაგადაცილებული სესხები საბანკო სექტორში, %



სესხებისა და დეპოზიტების დოლარიზაცია საბანკო სექტორში, %



დაახლოებით 16% იყო.

სებ-ის ინფორმაციით, 90 და მუტი დღით ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიანი საკრედიტო პორტფელის 2.81 პროცენტს შეადგენს, რაც აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. საქართველოს მაჩვენებელი მხოლოდ ესტონეთის ანალოგიურ მაჩვენებელს ჩამორჩება.

საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობის ზრდაზე მიუთითებს ლონდონის საფონდო ბირჟაზე წარმოდგენილი ორი ქართული ბანკის - „თიბისი ბან-


კისა“ და „საქართველოს ბანკის“ აქციებზე ფასების მატებაც. „საქართველოს ბანკი“ 2012 წლიდან არის ლონდონის ბირჟაზე, ხოლო „თიბისი ბანკი“ - 2016 წლიდან.

ფინანსური სტაბილურობის ძირითადი ინდიკატორებისა და ტენდენციების განხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს საბანკო სექტორი საკმაოდ სტაბილურია და ამასთან, სტაბილურობის დონე უმაღლესდება. სტაბილურობაზე უარყოფითად იმოქმედა ლარის კურსის მნიშვნელოვნად გაუფასურებამ 2015-2016 წლებში, თუმცა 2017

წლიდან სტაბილურობის მაჩვენებლები უმაღლესდება.

სტაბილურობის მაღალი დონის მიუხედავად, დღეისათვის გამოწვევაა ის, თუ რა გავლენას იქონიებს 2018 წლიდან საბანკო სექტორში ამოქმედებული და უახლოეს მომავალში ასამოქმედებელი ახალი რეგულაციები. ახალ რეგულაციებს სტაბილურობაზე ორივე მიმართულებით ექნება გავლენა. კონკრეტულ შედეგებს მომავალი გვიჩვენებს, რომელთა სიღრმისეულ ანალიზს Forbes Banker-ი მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ. **F**


უკუგების კოეფიციენტები საბანკო სექტორში, %




ბანკების საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით

კატეგორიები	მლნ ლარი	წილი მთლიან სესხებში
სტანდარტული	19 830	89%
ნეგატიური სესხები	2 446	11%
საყურადღებო	1 108	5%
უმოქმედო სესხები	1 337	6%
არასტანდარტული	757	3.4%
საეჭვო	271	1.2%
უიმედო	310	1.4%
სულ	22 276	100%

90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიან სესხებში



„თიბისი ბანკისა“ და „საქართველოს ბანკის“ აქციების ფასების დინამიკა



მეტამორფოზი!

2009 წლის სექტემბერში სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკი“ Liberty Capital-მა შეისყიდა, რომელიც აწ გარდაცვლილი დინუ პატრიჩიუსა და ლადო გურგენიძის მიერ დაფუძნებული ჰოლანდიური საინვესტიციო კომპანიის, Liberty Investments Holding B.V.-ის სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანიაა. შესაბამისად, 2017 წლის ოქტომბერში ბანკმა კონტროლის ცვლილების შესახებ გააკეთა განცხადება, რის შედეგადაც, ბანკის სააქციო კაპიტალის 74.64% ნიდერლანდების სამეფოს კანონმდებლობის ქვეშ მოღვაწე European Financial Group B.V.-მ იყიდა. ბანკის საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ბენეფიციარი მფლობელი პირები არიან ირაკლი რუხაძე (აშშ-ის მოქალაქე), ბენ მერსონი (დიდი ბრიტანეთის მოქალაქე) და იგორ ალექსეევი (აშშ-ის მოქალაქე). მაგრამ ეს უკვე ბანკის ისტორიაში ახალი თავია და ახალი ისტორიაც, ჩემი სტატია კი 2009 წლის სექტემბრიდან 2017 წლის ნოემბრამდე პერიოდს ეხება, როცა ლადო გურგენიძის ხელმძღვანელობით ბანკი სრულად გარდაისახა.

ავტორი: ალექსი ხოროშვილი

Liberty Capital-ის მიერ შესყიდვიდან ექვსი წლის განმავლობაში ბანკი ქართულ საბანკო ისტორიაში ყველაზე დრამატული ტრანსფორმაციის მოწმე შეიქნა. მსგავსი ეფექტიანობის გასაღები ბრწყინვალე, ნიჭიერი, ახალგაზრდა ქართველების გუნდში უნდა ვეძიოთ, რომელიც ლადო გურგენიძემ პირადად შეარჩია. ბანკის დრამატული ცვლილებები სწორედ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობისა და მენტორობის პირობებში დაიწყო.

შესყიდვის პერიოდისთვის (2009-ის სექტემბერი), ბანკი, ფაქტობრივად, გაკოტრებული იყო: წინა მენეჯმენტის დროს, გასუსხებასა და ოპერაციებთან დაკავშირებული ცუდი გადაწყვეტილებების გამო, ბოლო ორ წელს სერიოზული დანაკარგები განეცადათ. 2008-იდან მოყოლებული, ბანკს ცენტრალური ბანკის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ უწევდა მუშაობა - გასესხებასა და ინვესტიციებზე შეზღუდვები ჰქონდა დაწესებული, ვინაიდან ლამის ყველა გონივრული რეგულაცია დაერღვია. 2008 წლის ბოლოსა და 2009 წლის სექტემბრის მონაცემებით, მისი დონე I-ის კაპიტალი (BIS) ნეგატიურ ნიშნულზე იდგა და პირველ წელს - 21.2 მილიონს, მეორე წელს კი 15.8 მილიონს შეადგენდა, რაც

2008-ში - 45.7 მილიონის, 2009-ში კი 5.4 მილიონის ტოლფას წმინდა ზარალს უნდა მივაწეროთ. 2009 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ვადაგადაცილებული სესხებისა და მთლიანი კრედიტების თანაფარდობის კოეფიციენტი 40.8%-ს მიაღწია. 2008 წლის 45.7-მილიონიანი წმინდა ზარალი, მეტწილად, უკიდურესად მაღალი ოპერაციული ხარჯების შედეგს წარმოადგენდა, მაშინ როცა 2009 წლის 5.4 მილიონის წმინდა დანაკარგები ძირითადად უფუნქციო, დრომოჭმული აქტივების პროვიზორებითა და ჩამოწვრით აიხსნება. ბანკი არ იყო იმ პოზიციაში, სესხები რომ ეფექტიანად გაეცა, ჰოდა, 2008 წლის ბოლოსთვის მისი ლიკვიდურობა ისეთ დონეზე დაეშვა, რომ ნორმალური საბანკო ოპერაციების შესრულებაც კი ლამის შეუძლებელი გახდა; მაგალითად, საფონდო ტრანსფერები გამუდმებით ყოვნიდებოდა როგორც ლიკვიდურობის სიმწირის გამო, ისე სხვა მიზეზებით. მართალია, ქართულმა საბანკო სფერომ, ზოგადად, საკმაოდ კარგად გაუძლო რუსეთთან ომის შემდგომ შექმნილ ფინანსურ კრიზისსა და ეკონომიკურ დაღმასვლას, ბანკი, 2008 წლის ბოლოსთვის, სექტორის სტაბილურობას სერიოზულ საფრთხედ მოეგვინა იმის ფონზე, რომ მისი სისტემატური როლი დაახ-


ლოებით 1.5 მილიონი ადამიანისთვის სახელმწიფო პენსიების, სოციალური უზრუნველყოფისა და სახელფასო სერვისების დისტრიბუცია იყო. ყველა უწინდელი მცდელობა, ბანკისათვის კომპეტენტური, კარგად კაპიტალიზებული მყიდველი ეპოვით, კრახით სრულდებოდა.

2009 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის ოქტომბრამდე ბანკის მეწილეებმა მასში €77.0 მილიონის ტოლფასი სააქციო კაპიტალის ინვესტიცია განახორციელეს, ხოლო ბანკმა, დივიდენდის გადასახადებისა და აქციათა გამოსყიდვის მეშვეობით, მათ €51.4 მილიონი დაუბრუნა.


მარჯვნივ მოყვანილი დიაგრამა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დადგენილება No 18/14-სთან შესაბამისობაში, ბანკის კაპიტალური ადეკვატურობის კოეფიციენტების (CAR) დრამატულ გაუმჯობესებას ასახავს.

ბანკი ფილიალების ყველაზე ფართო ქსელითა და საცალო კლიენტების ყველაზე მსხვილი ბაზით გამოირჩეოდა: 698 ფილიალისა და მომსახურების პლატფორმის მეშვეობით, ის 1.6 მილიონ კლიენტს ემსახურებოდა. 2009 წლის სექტემბრიდან 2017 წლის სექტემბრის ჩათვლით, გეოგრაფიული ცნობადობის გაზრდის მიზნით, ბანკმა 142 ახალი ფილიალი გახსნა და 347 ახალი ბანკომატი დაამონტაჟა. 2010 წლის ივლისში მან სადისტრიბუციო ქსელების მნიშვნელოვანი გაფართოების შესახებ განაცხადა, რაც გულისხმობდა ქვეყნის მიყრუებული ტერიტორიების დაფარვას სპეციალიზებული მიკროავტობუსებით, რომელთაც მობილური ბანკის ფილიალების ფუნქცია ჰქონდათ. მსგავსი ინოვაციური მიდგომა საქართველოში აქამდე არავის გამოყენებინა. 2017-ის 30 სექტემბრისათვის მართლაც გამოუშვეს 114 სპეციალიზებული მიკროავტობუსი. ამავე თარიღის მონაცემებით, მომსახურების 265 პლატფორმით აღჭურვილი, ბანკი PayExpress-ად ბრუნდირებულ წარმომადგენლობით საბანკო ქსელს (ე.წ. ბანკ-აგენტებს) ამუშავებდა. ინტერნეტბანკი, რომელიც ბანკის ისტორიულ ჩავარდნას წარმოადგენდა, 2010 წლის ივნისში ჩაეშვა (და

კაპიტალური ადეკვატურობის კოეფიციენტები



„ლიბერთი ბანკის“ გეოგრაფიული გაფართოება



საკრედიტო რეიტინგები 2017 წლის საქებმებისთვის

საკრედიტო რეიტინგები	სექტ. - 2009	სექტემბერი - 2017		პერსპექტივა
FitchRatings	შეფასების გარეშე	გრძელვადიანი IDR 'B+'	მოკლევადიანი IDR 'B'	„სტაბილური“
Standard & Poor's	შეფასების გარეშე	გრძელვადიანი შემხვედრი მხარე 'B'	მოკლევადიანი შემხვედრი მხარე 'B'	„დადებითი“
Moody's	შეფასების გარეშე	გრძელვადიანი IDR 'B+'	შემხვედრი მხარის რისკის შეფასება 'Ba3'	„დადებითი“

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2016-ში), საგრძნობი გაუმჯობესებები იქნა შეტანილი ბარათების დამუშავებისა და ელექტრონული გადახდების თვალსაზრისითაც. 2010 წლის ნოემბერში ბანკის ბარათის დამუშავების პირველ კლიენტად KOR Standard Bank-ი იქცა.

ბაზრის დეტალური შესწავლის შედეგად, 2010 წლის მარტში, ბანკმა რეგრენდირება გადაწყვიტა: ახალი სახელი და ლოგო ბაზარმა კარგად მიიღო. 2010 წლის ივნისში „ლიბერთი ბანკმა“ გაარემონტა იმხანად თბილისის მაღალ ნაგებობათა ღირსშესანიშნაობა Liberty Tower-ი, რომელშიც განთავსებულია კიდევ ბანკის სათავო ოფისი და რომლის განახლება 2007 წლიდან მიმდინარეობდა (2008-ში, სახსრების დეფიციტის გამო, სამუშაოები შეჩერებული იყო).

ბანკმა კვლავ დაიწყო საცალო კლიენტებისთვის სესხის გაცემა და 2009 წლის სექტემბრიდან 2017 წლის სექტემბრის ჩათვლით, ჯამში, €18.3 მილიარდის ახალი სესხი გასცა. მან მთლიანად გაასუფთავა თავისი სასესხო ისტორია ვადაგადაცელებული, უფუნქციო აქტივებისაგან, რომლებიც ბანკის შესყიდვის დროს მთლიანი კრედიტების 32.4%-ს შეადგენდა. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ბანკი მასობრივი ბაზრისთვის განკუთვნილი ახალი თაობის სასესხო პროდუქტების გაცემაზე იყო ფოკუსირებული.

ფულადი გზავნილების 21 სისტემის მეშვეობით, ბანკი გადარიცხვების სერვისების უზრუნველყოფის მხრივ წამყვან პოზიციაზეა. 2010 წლის ივლისში მან მისსავე მფლობელობაში არსებული გადარიცხვების სერვისის, რომელიც ასიათასობით მომხმარებელს ემსახურებოდა, Liberty Express-ად რეგრენდირება მოახდინა.

კლიენტთა ნდობის აღდგენასთან ერთად, ბანკი ახალი ბიზნესის მდგრადი შემოღინებების მომსრუვე შეიქმნა და 2009 წლის სექტემბრის შემდეგ ლამის გაიორმაგა თავისი აქტიური სახელფასო კლიენტების ბაზა, ხოლო მიკრო-, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების კლიენტთა ბაზა საგრძნობლად გაზარდა. 2017 წლის 30 სექტემბერს მისი ლიკვიდურობის კოეფიციენტი მაღალ ნიშნულზე - 42.9%-ზე - ავიდა, რაც მედეგ ფინანსურ ჯანმრთელობასა და სესხის გაცემის ახალ, სერიოზულ შესაძლებლობებს მოასწავებდა.

2010 წლის ნოემბერში Fitch Ratings-მა ბანკს უცხოური ვალუტის გაცემის გრძელვადიან დეფოლტ-რეიტინგში (IDR) B მიანიჭა, B მიანიჭა მოკლევადიან IDR-შიც, D/E - ინდივიდუალურ რეიტინგში, 4 - მხარდაჭერის რეიტინგში და B - მხარდაჭერის დონის რეიტინგში. გრძელვადიანი IDR-ის სამომავლო პერსპექტივა სტაბილურად გამოიყურებოდა. ამ დრომდე ბანკი საერთოდ არ იყო შეფასებული.

2015-ის აგვისტოში კიდევ ერთმა წამყვანმა საკრედიტო რეიტინგის სააგენტომ, Standard & Poor-მა ბანკს მიანიჭა B შემხვედრი მხარის როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან რეიტინგებში, და მისი პერსპექტივა სტაბილურად შეაფასა.

ამავენივრად, 2017-ის ივლისში, აგრეთვე წამყვანმა საკრედიტო რეიტინგის სააგენტო Moody-მ ბანკს B1 დაუწერა ადგილობრივი და უცხოური ვალუტების დეპოზიტების გრძელვადიან რეიტინგებში, ხოლო შემხვედრი მხარის რისკის შეფასებაში - Ba3, და, კვლავაც, მისი პერსპექტივა სტაბილურად შეაფასა.

ბანკის მენეჯმენტის სწორი სტრატეგიისა და მისი განხორციელების ხარისხის დასტურად, 2015-2017 წლებში ბანკი სამივე სააგენტომ ერთი ნიშნულით დააწინაურა მიუხედავად იმისა,

რომ იმავე პერიოდში მეწილეებთან დაკავშირებით არაერთი გაურკვევლობა არსებობდა.

2017 წლის სექტემბერში ბანკის საკრედიტო რეიტინგები ასე გამოიყურებოდა:

ბანკმა ხარჯების ოპტიმიზების ზომები დანერგა და ეფექტიანობა გაზარდა, რის შედეგადაც, 2017 წლის მესამე კვარტალში, ხარჯი/შემოსავლის თანაფარდობის კოეფიციენტი 57.7% შეადგინა, მაშინ როცა 2009-ში ეს მაჩვენებელი 103.4% იყო.


2010 წლიდან 2017-ის მესამე კვარტალის ჩათვლით, 2008 და 2009 წლების მძიმე ზარალის შემდეგ, ბანკის აგრეგირებული წმინდა შემოსავალი 170.0 მილიონი იყო.

2009 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, ბანკს ბაზარზე რამდენიმე მიმზიდველი პროდუქტი, სერვისი და არხი აქვს გატანილი. მაგალითად:


- ლიბერთის ანგარიში - უნივერსალური, მრავალვალუტიანი მიმდინარე ანგარიში, რომელიც 2010 წლის მაისში ჩაეშვა, და რომელიც, ინდივიდუალურად მორგებული 500 ვარიაციის წყალობით, კლიენტს საშუალებას აძლევს, ანგარიშის კონფიგურაცია საკუთარი არჩევანისამებრ მოახდინოს.
- დეპოზიტი M7 - ინოვაციური დეპოზიტი, რომლის მოგება უკავშირდება შვიდი წამყვანი ქართული ბანკის ყველაზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს.
- ჯადოსნური ბარათი - 2010 წლის აპრილში გამოშვებული ეს საკრედიტო ბარათი მომხმარებელს ბაზარზე არსებულ წლიურ საპროცენტო განაკვეთებს შორის ერთ-ერთ ყველაზე დაბალ განაკვეთს სთავაზობს.
- Sმარტივი© - 2010 წლის ნოემბერში ჩაშვებული, ის ტრადიციული საბანკო ანგარიშის თანამედროვე ალტერნატივაა და გადასახადების გადახდის მრავალარხიან, მომხმარებელთან დამეგობრებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს.
